ერთხელ მეც ვიყავი სკოლის მასწავლებელი. გერმანულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი.

მეტისმეტად პატარა გახლდით მასწავლებლობისთვის. წარმოდგენაც არ მქონდა იმ სირთულეებზე, რასაც ამ პროფესიის ადამიანები ეჯახებიან. ვიყავი თამამი - სკოლის დირექტორთან. ერთხელ მშობელიც კი დაიბარა სკოლაში. უნებლიეთ წამოსცდა და დღემდე მეღიმება. ვიყავი გულწრფელი – კოლეგებთან. მინდოდა, მესწავლებინა განსხვავებულად და, რაც მთავარია, ძალიან მიყვარდა ჩემი მოსწავლეები.

ერთ მშვენიერ დღეს, მასწავლებლობის ხუთი წლის შემდეგ, გადავწყვიტე, სკოლიდან წამოვსულიყავი. ივერი მელაძემ, ქართული ენისა და ლიტერატურის ძალიან კარგმა მასწავლებელმა და შესანიშნავმა ადამიანმა, მითხრა, შენნაირმა მასწავლებლებმა სკოლა ამერიკასავით თავიდან უნდა აღმოაჩინონო და წასვლის გადადება მთხოვა.

მაინც წამოვედი.

არ ვიცი, სწორად მოვიქეცი თუ არა ან ახლა რატომ გავიხსენე ეს ამბავი.

ხშირად მეფიქრება, რომ ყველა პროფესიას აქვს ასაკი და, რაც მთავარია, დრო – უნდა იგრძნო, როდის დამთავრდა და რაღაც სხვა, ახალი დაიწყო, ან საქმიანობის გადახალისება და განახლება მოინდომო. სხვაგვარად ამოიწურები და...

იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს მოსწავლებსაც უნდა ვასწავლოთ ეს ამბავი – წასვლისა და დარჩენისა. მათაც და ჩვენც უნდა ვიცოდეთ, რომ არ შეიძლება, ერთი წრე ამოიჩემო, ერთი საქმე აღიარო და სულ იქ იტრიალო. ისევე როგორც არ შეიძლება, ერთხელ მიღებული ცოდნა ჩაითვალოს საკმარისად, რადგან ნებისმიერმა მოვლენამ ჩვენი ინტერესი რომ გამოიწვიოს, ის რაღაცნაირად ჩვენს გამოცდილებას უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ თავის თავში რაღაც სრულიად ახალსაც მოაზრებდეს...

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N2(39), 2016

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** მანანა ბოჭორიშვილი | **რედკოლეგია:** გიორგი მაჩაბელი, მანანა რატიანი, მარიკა სიხარულიძე, ნათია ნაცვლიშვილი | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: მაია ჯალიაშვილი, მაია ფირჩხაძე, თამარ მოსიაშვილი, ანა ჯანელიძე, ცვატა ბერძენიშვილი, გიორგი ნოზაძე, მარიამ გოდუაძე, ნინო ჭიაბრიშვილი, თამარ ჭანტურია, ქეთევან კობალაძე, სიმონ ჯანაშია.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

ექსპერტი

15 | გიორგი ნოზაძე
გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი უნარ-ჩვევები

სასწავლო საკითხის გააზრებისა და ათვისების ხარისხი რამდენჯერმე უნდა გადამოწმდეს გაკვეთილის განმავლობაში, ხოლო მოსწავლეებისთვის განკუთვნილ აქტივობებში აქცენტი ცოდნის კონსტრუირებასა და სწავლების დიფერენცირებაზე დაისვას.

19 | მაია ფირჩხაძე
პრობლემური დავალებების სწავლება ისტორიის გაკვეთილზე

პრობლემური დავალებების იგულისხმობს იმ ინტელექტუალურ დავალებას, რომლის შესრულებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვეული კვლევითი საქმიანობის ჩატარება, ხოლო შესაფერისმა მეოდურმა მიდგომებმა უნდა უზრუნველყოს ამ საქმიანობის წარმატება.

23 | თამარ მოსიაშვილი
სკოლა და ევროკავშირის საგზაო რუკა

სკოლის ავტონომიურობას სახელმწიფოში არსებული კანონები განსაზღვრავს. ქვეყნებს აქვთ დამტკიცებული სტანდარტები, ეროვნული შეფასებისა და ანგარიშვალდებულების სისტემები; გარკვეულია, რა გადაწყვეტილებების მიღებაა შესაძლებელი სკოლის დონეზე.

ბლოგალური განათლება

8 | სიმონ ჯანაშია
განათლების პოლიტიკის უცხოური გაკვეთილები

რისი სწავლა შეიძლება უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების მაგალითზე? მგონია, რომ უმთავრესად – იმ გზებისა, იმ პრინციპებისა, რომლებითაც შესაძლებელია სისტემის ისე აგება, რომ ჩვენს პრობლემებს, ჩვენს შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს მიესადაგებოდეს.

მოსაზრება

2 | მაია ჯალიაშვილი
მასწავლებლის თვითშეფასების ასამაღლებლად

როგორ უნდა აიმაღლოს მასწავლებელმა თვითშეფასება? ამისთვის სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. მან, უპირველესად, სწორად უნდა შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, რეალობა და სურვილები, არ უნდა მოექცეს ილუზიების ტყვეობაში. თვითშეფასებისას უმნიშვნელოვანესია გულწრფელობა, რათა მასწავლებელმა ცხადად და მკაფიოდ დაინახოს საკუთარი თავი.

39 | ქეთევან კობალაძე
ბავშვის ბუნების ფენომენი და აღზრდის პრობლემები

მნიშვნელოვანი რჩევა, რომელსაც ყველა ფსიქოლოგი და ბავშვების აღზრდის პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტი აუცილებელ პირობად მიიჩნევს: მშობლებმა, აღმზრდელებმა, უახლოესმა სოციუმმა და მასწავლებლებმა უნდა ითანამშრომლონ და თანამიმდევრულად იმოქმედონ ბავშვთან ურთიერთობისას.

43 | მანანა ბოჭორიშვილი
მოსწავლეთა პასუხებზე რეაგირების სტრატეგიები

როგორ მოვიქცეთ, როცა მოსწავლე შეკითხვას სწორად პასუხობს, შევაქოთ თუ არა იგი? როგორ მოვიქცეთ, როცა მოსწავლე არასწორ პასუხს იძლევა, დავმალოთ თუ არა ჩვენი შეშფოთება? რა სახის რეაგირება უნდა მოახდინოს პედაგოგმა, რომ დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის გაუმჯობესებასა და საკუთარი თავის გონივრულად მართვაში?

51 | ანა ჯანელიძე
ტრანზიციები ადრეული ბავშვობის პერიოდში: არსი, მნიშვნელობა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

ტრანზიცია გულისხმობს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. განათლების კონტექსტში ტრანზიცია მოიაზრებს ისეთ პერიოდებს, როდესაც ბავშვი ერთი საგანმანათლებლო კონტექსტიდან მეორეში გადადის, რაც უკავშირდება გარემოს, ადამიანების, მისაღები ქცევის, მოლოდინებისა და როლების გარკვეულ ცვლილებებს.

შინაარსი

გამოცდილება

31 | მარიამ გოდუაძე
აზროვნება და წერის დონეები

წერითი კომპონენტის სწავლების დროს ერთ-ერთი რთული ამოცანაა ახალი იდეების ფორმულირება, პირობითი ცოდნის შექმნა კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით, ტექსტის ტიპებისა და მათი შექმნის სპეციფიკის გათვალისწინება, ტექსტის სტრუქტურული ორგანიზება, ნაწერის შემოწმება.

36 | ცვატა ბერძენიშვილი
სასკოლო ცხოვრება და თვითშეფასება

თვითშეფასება განსაკუთრებით მაშინ იწევს მაღლა, როცა იზრდება მოსწავლის კომპეტენტურობა მისთვის მნიშვნელოვან სფეროებში, მათ შორის – სოციალურშიც, რომელიც მოზარდ ასაკში მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს.

47 | თამარ ჭანტურია
სპექტაკლი ხელისგულზე

აბსტრაქტულია ნებისმიერ ღირებულებაზე საუბარი ბავშვებთან, თუ თავად არ აჩვენე მაგალითი იმისა, რაც გინდა შეასწავლო. შენ მათ ხელისგულზე ჰყავხარ, შენი თითოეული ქცევა, მიმიკა, შეფასება, ჟესტიკულაცია იქნება ის მაგალითი, რომელსაც ღრუბლებივით შეისრუტავენ და არეკლავენ თავიანთ საქციელში.

რესურსი

11 | ნინო ჭიაბრიშვილი
სიტუაციური სავარჯიშოები ინტერკულტურული განათლებისთვის

ინტერკულტურული განათლება პასიური თანაარსებობის მიზანს სცდება და მიზნად ისახავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში განვითარებადი და მდგრადი თანაცხოვრების მიღწევას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის გზით.



მაია ჯალიაშვილი

მასწავლებლის თვითშეფასების ასამაღლებლად

საქართველოში 2015 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით დამტკიცდა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც პედაგოგმა ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უნდა შეავსოს. კითხვარი ისეა შედგენილი, რომ გულისხმობს მასწავლებლის მიერ მთელი სასწავლო პროცესის შეფასებას: ერთი მხრივ – კლასის მართვისა და მოსწავლეებთან, კოლეგებთან ურთიერთობის, მეორე მხრივ კი საკუთარი პროფესიული უნარების შეფასებას. მასწავლებელმა უნდა შეაფასოს, როგორი ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან, როგორ სასწავლო გარემოს ქმნის, როგორ ესმის ინკლუზიური განათლების არსი; როგორ თანამშრომლობს მშობლებთან, კოლეგებსა და სპეციალისტებთან; მოსწავლეებთან საუბრისას ყურადღებას აქცევს თუ არა საკუთარ ლექსიკას და სხეულის ენას (ხმის ტონს, სახის გამომეტყველებას, თვალით კონტაქტს, ჟესტიკულაციას, მიმიკას); ყველა მოსწავლესთან ურთიერთობს თუ არა ინდივიდუალურად, სტერეოტიპებისა და წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობის გარეშე; მნიშვნელოვანია თუ არა თითოეული მოსწავლის პიროვნული ღირებულება და უნიკალურობა; ხელს უწყობს თუ არა მოსწავლეებს, გაბედულად დასვან კითხვები, გამოთქვან მოსაზრებები და გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები; პატივს სცემს თუ არა მოსწავლის რელიგიურ რწმენას, მის კულტურულ თავისებურებებს; ხელს უწყობს თუ არა მოსწავლეთა შორის ერთიანობისა და სოლიდარობის გრძნობის ჩამოყალიბებას, თანამშრომლობითი გარემოს შექმნას საკლასო ოთახში; მოსწავლეებს უვითარებს თუ არა მრავალფეროვან გარემოში ეფექტური კომუნიკაციის, მედიაციის, თანამშრომლობისა და კონფლიქტების გადაჭრის უნარებს; ხელს უწყობს თუ არა თითოეულ მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად წარმოჩენაში; მოსწავლეებს აძლევს თუ არა სტიმულს, რომ ერთობლივად ჩამოაყალიბონ სასწავლო მიზნები; ხელს უწყობს თუ არა მათი თანამონაწილეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ზრდას; წინასწარ გეგმავს თუ არა გაკვეთილს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და სხვ.

ამ ყოველივეს მასწავლებლის თვითშეფასების ამაღლება სჭირდება.

თითოეული მასწავლებელი თავისი მოსწავლეებივით უნიკალურია. ამ ერთნაირი კითხვებისა და, სავარაუდოდ, ერთნაირი პასუხების მიღმა დგას ცოცხალი ადამიანი თავისი პირადი ცხოვრებით, წარსულითა და აწმყოთი, გემოვნებით, ინტერესებით, ვნებებით. ამ უნიკალურობას ვერც ერთი პედაგოგი სკოლის კარში შესვლისას საკიდზე პალტოსავით ვერ ჩამოკიდებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი კითხვარების შევსებას სკეპტიკურად ვეკიდებით; უბრალოდ, სახელმწიფომ და საზოგადოებამ პედაგოგს უნდა მისცენ სტიმული სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

როგორ უნდა აიმაღლოს მასწავლებელმა თვითშეფასება? ამისთვის სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. მან, უპირველესად, სწორად უნდა შეაფასოს

საკუთარი შესაძლებლობები, რეალობა და სურვილები, არ უნდა მოექცეს ილუზიების ტყვეობაში. თვითშეფასებისას უმნიშვნელოვანესია გულწრფელობა, რათა მასწავლებელმა ცხადად და მკაფიოდ დაინახოს საკუთარი თავი.

პედაგოგი უნდა იყოს:

- თავდაჯერებული;
- პრინციპული;
- გამბედავი;
- გამუდმებით უნდა ზრდიდეს თავის გონებრივ პოტენციალს.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, პედაგოგმა უნდა დაამარცხოს ირაციონალური შიში, რომელიც გაბედული გადაწყვეტილებების მიღებაში ხელს უშლის და მის კარიერულ წინსვლას ეღობება. როგორც ნებისმიერი ადამიანი, მასწავლებელიც შეიძლება იყოს ნერვიული, მორცხვი, იმპულსური, ფიცხი, ზარმაცი და ა. შ. თუ მას თავის თავზე მუშაობა, გრძნობების გაკონტროლება უჭირს, მაშინ მოსწავლეთა მართვაც გაუჭირდება და თუ ამას ვერ გააცნობიერებს, სხვაგან დაიწყებს ხელის შემშლელი მიზეზების ძიებას. თუ მასწავლებელი ხართ და იტყვით, რომ ეს ცხოვრებაა და ვერ შეეწინააღმდეგებით, მაშინ გამოდის, რომ თქვენივე სიფიცხისა თუ ნერვიულობის მონა ხდებით. თქვენ ხომ წინასწარ არ გეგმავთ აღელვებას – ღელავთ მაშინაც, როცა ცდილობთ დამშვიდებას, მაგრამ არ გამოგდით. ესე იგი, თქვენს გონებაში რაღაც ხდება თქვენი ნებართვის გარეშე. საჭიროა საკუთარ თავზე დაკვირვება და მოძებნა იმ გზებისა, რომლებიც თვითკონტროლში დაგეხმარებათ.

ამერიკელი ფსიქოლოგი კარლ როჯერსი წერს: „უამრავი პრობლემა ჩნდება, როდესაც ვცდილობთ გავამართლოთ სხვათა მოლოდინი, ნაცვლად იმისა, რომ განვსაზღვროთ და გავიაზროთ ჩვენი, საკუთარი“. ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელმა კარგად უნდა გაიაზროს, რას მოელის საკუთარი თავისაგან. ეს მოლოდინი უნდა იყოს მაქსიმალურად რაციონალური და არა იდეალისტური.

აბრაჰამ მასლოუ ფიქრობდა, რომ ადამიანი პიროვნულ განვითარებას მიაღწევდა მაშინ, როდესაც იქნებოდა თვითრეალიზებული. ის გამოყოფდა რამდენიმე მახასიათებელს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება თითოეულმა პედაგოგმა განსაზღვროს პიროვნულობის განვითარების ხარისხი და იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე:

- რეალობის მიღება და მასთან ურთიერთობა;
- საკუთარი თავის აღქმა და მიღება ისეთისა, როგორიც არის, ასევე – სხვების და გარემოს მიღება;
- უშუალობა, უბრალოება, ბუნებრიობა;
- პრობლემაზე ყურადღების გამახვილების უნარი;
- უნარი განმარტოებისა, განზე გადგომისა;
- კულტურული შტამპებისა და სტერეოტიპებისაგან გათავისუფლების უნარი;
- აღქმის სიხალასე;
- სხვებთან ერთობის განცდა;
- ღრმა და გულწრფელი ურთიერთობები;
- მიზნებისა და მათი განხორციელების, კარგისა და ცუდის შეცნობის უნარი;
- შემოქმედებითობა;
- იუმორის გრძნობა;
- განსხვავებული კულტურის პატივისცემის უნარი.

ცნობილმა უცხოელმა მეცნიერებმა პედაგოგთა გამოკითხვისა და სხვადასხვა გამოკვლევის საფუძველზე დაასკვნეს, რომ თვითშეფასების ფენომენი ხშირად დაკავშირებულია თვითონ პიროვნებასა და მისი განვითარების თავისებურებებთან (ა. ბანდურა, უ. ჯეიმსი, ბ. სკენერი, გ. მიდი, კ. როჯერსი, გ. იუნგი და სხვ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში თვითშეფასების სინონიმურ ტერმინთაგან გამოარჩევენ ორს: „მე-აღქმული“ და „მე-რეალური“. „მე-აღქმულს“ მეცნიერები განიხილავენ ერთგვარ სისტემად, რომელიც მოიცავს თვითშეფასებებს, ადამიანის კონკრეტული საქმიანობა რომ აჩენს. მასწავლებელი საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს აფასებს (როგორი მასწავლებელია, გაკვეთილებს როგორ ატარებს და სხვ.). მნიშვნელოვანია, რა თქმა უნდა, ის, თუ როგორ იღებს საკუთარ საქმიანობას (კრიტიკულად თუ უკრიტიკოდ) და როგორი ემოციური დამოკიდებულება აქვს საკუთარ საქმიანობასა და შედეგებთან (კმაყოფილია, მოსწონს, უყვარს...). ზოგადად, პიროვნებას კარგი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, თუ ის წარმატებულია (მაგალითად, სკოლის კოლექტივში გამოარჩიეს, მოიწონეს მისი გაკვეთილები, დააჯილდოეს და სხვ.). პედაგოგს შეიძლება გაუჩნდეს ცუდი წარმოდგენა საკუთარ თავსა და საქმიანობაზე, თუ გარემოსგან (სკოლის ადმინისტრაცია, კოლეგები) ყურადღე-

როგორ უნდა აიმაღლოს მასწავლებელმა თვითშეფასება? ამისთვის სხვადასხვა სტრატეგია არსებობს. მან, უპირველესად, სწორად უნდა შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები, რეალობა და სურვილები, არ უნდა მოექცეს ილუზიების ტყვეობაში. თვითშეფასებისას უმნიშვნელოვანესია გულწრფელობა, რათა მასწავლებელმა ცხადად და მკაფიოდ დაინახოს საკუთარი თავი.

ბას, დაფასებას, პატივისცემას ვერ იგრძნობს.

თვითშეფასებისას უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ადეკვატურობა. ხანდახან ერთმანეთს არ ემთხვევა „მე-რეალური“ და „მე-იდეალური“. სწორედ მათ შორის განსხვავების ხარისხი განსაზღვრავს თვითშეფასების ადეკვატურობას, ე.ი. რეალობასთან შედარებით რამდენად უკეთესად ან უარესად აღიქვამს მასწავლებელი საკუთარ თავს, შესაძლებლობებს, საქმიანობას.

ასე რომ, საკუთარ მე-ს პედაგოგი უნდა აღიქვამდეს სხვადასხვა პოზიციიდან და რაც უფრო მრავალფეროვანი იქნება ეს აღქმა, მით უფრო ადეკვატურად შეაფასებს საკუთარ თავს და გათავისუფლდება ეგოისტური, ნარცისული წარმოდგენებისაგან.

რაც უფრო პროდუქტიულია მასწავლებელი და რაც უფრო მეტად დაემთხვევა მისი მიზნები და მოტივაციები მისსავე პედაგოგიურ საქმიანობას, მით უფრო მაღალ შეფასებას მისცემენ კოლეგები და მით უფრო მნიშვნელოვნად იმოქმედებს ეს თვითშეფასებაზე.

„მე-აღქმული“ ხშირად არასწორი თვითშეფასების შედეგად შექმნილი წარმოდგენაა საკუთარ თავზე. ამ შემთხვევაში მასწავლებელს უჭირს საკუთარ ნაკლოვანებათა დანახვა, გააზრება და, შესაბამისად, მათ გამოსწორებაზე ზრუნვა. თუ მასწავლებელმა ვერ შეძლო სხვისი თვალით საკუთარი ხასიათის, ქცევის, საქმიანობის დანახვა და შეფასება, მაშინ ვერც პროფესიულად გაიზრდება და ვერც სხვებთან ურთიერთობა მოაგვარებს.

რა თქმა უნდა, ყოველ პიროვნებას სჭირდება დანახვა, აღიარება, დაფასება – ეს გარემოსთან ურთიერთობის ხარისხს განსაზღვრავს. ამავე დროს, საკუთარი თავის აღი-

როდესაც ჰარმონიაშია შინაგანი, პიროვნული, ინდივიდუალური და პროფესიული, სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი, მაშინ მასწავლებლის იმიჯიც მაღალია. მას უნდა შეეძლოს თავისი პროფესიული უნარებისა თუ ხასიათის წარმოჩენა.

არება, შეფასება და დაფასებაც მნიშვნელოვანია. ამგვარად იქმნება მასწავლებლის იმიჯი, რომელიც არ შეიძლება იყოს მყარი და უცვლელი ფენომენი. გარემოსთან (სკოლა, კლასი, მშობლები და სხვ.) ურთიერთობისას პედაგოგის იმიჯიც ტრანსფორმირდება.

ყოველ ჩვენგანს შეუძლია დაასახელოს საკუთარი მასწავლებლები, რომელთა იმიჯიც უცვლელი იყო. იმიჯი შეიძლება დროთა განმავლობაში შეილახოს, ამიტომ პედაგოგი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს და ზნეობრივ კომპრომისზე არ წავიდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კვარცხლბეკზე იდგეს ქანდაკებასავით (ამ შემთხვევაში შეიძლება არასწორი თვითშეფასება შეექმნას). ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობებით უნდა განიმტკიცოს პრინციპულობა და თავდაჯერებულობა.

როდესაც ჰარმონიაშია შინაგანი, პიროვნული, ინდივიდუალური და პროფესიული, სუბიექტური და ობიექტური გარემოებანი, მაშინ მასწავლებლის იმიჯიც მაღალია. მას უნდა შეეძლოს თავისი პროფესიული უნარებისა თუ ხასიათის წარმოჩენა. მასწავლებელი პროფესიონალიც უნდა იყოს და კარგი ხასიათითაც უნდა გამოირჩეოდეს. რა თქმა უნდა, ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ ჩაცმულობასაც.

ამასწინათ ერთ ქართულ სკოლაში მეორეკლასელმა ბიჭუნამ მასწავლებელს ჰკითხა, რატომ გაცვიათ და გიკეთიათ ყველაფერი იისფერიო. ეს მასწავლებელმა შეურაცხყოფად მიიღო, ბავშვი გაკიცხა, მშობელი დაიბარა და უსაყვედურა შვილის უზრდელობის გამო, თან ისიც დააყოლა, ყოველთვის გემოვნებით ვიცვამ, ყველას მოსწონს ჩემი ჩაცმულობა და თქვენი შვილი ვინ არის, რომ დამიწუნოსო. ამაო იყო მშობლის თავის მართლება, რომ ბავშვმა მხოლოდ აღნიშნა ის, რაც თვალში მოხვდა და მისი ნათქვამი სულაც არ გულისხმობდა მასწავლებლის ჩაცმულობის დაწუნებას ან შეურაცხყოფას. არა გვგონია, ვინმემ ეს მასწავლებელი გაამართლოს. მას, რა თქმა უნდა, იდეალური წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე და შენიშვნის გამოთქმასაც ვერ იტანს. საფიქრებელია, რომ მისი თვითშეფასება არ იქნება ადეკვატური და, შესაბამისად, ვერც იმ ნაკლოვანებებს გამოასწორებს, რომლებიც მოსწავლეებთან ურთიერთობასა თუ საგაკვეთილო პროცესის სწორად წარმართვაში უშლის ხელს. თუ მასწავლებელი დაინახავს, რომ მოსწავლე ან კოლეგა ერთგვარად ულახავს იმიჯს, მყისიერ რეაქციას თავი უნდა აარიდოს, სიმშვიდე და მოთმინება უნდა გამოიჩინოს, კარგად აწონ-დაწონოს, საკუთარ თავს გარედან შეხედოს და ისე მოიფიქროს „სადამსჯელო“ ღონისძიება.

მეცნიერები განასხვავებენ პედაგოგის ბუნებრივ და ხელოვნურ იმიჯს. ყალბი იმიჯი მხოლოდ გარკვეული ხნის განმავლობაში შეიძლება არსებობდეს. როგორც ნებისმიერი ნიღაბი, ისიც მალე გაცვდება და დაიმსხვრევა. რაც უფრო დიდხანს ივლის მასწავლებელი ამ ყალბი ნიღბით, მით უფრო მტკივნეული იქნება მისთვისაც და საზოგადოებისთვისაც ნამდვილი სახის გამოჩენა.

შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რა საჭიროა პროფესიული იმიჯი? მეცნიერები პედაგოგიური პროცესისთვის მნიშვნელოვან რამდენიმე საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას:

- იმიჯი საშუალებას იძლევა: წარმოაჩინო საკუთარი პროფესია, საკუთარი საქმე;
- უფრო ადეკვატურად დაამყარო კავშირი მოსწავლეებსა და კოლეგებთან;
- გამოამჟღავნო პროფესიული თავისებურებანი და ინდივიდუალურობა;
- ქცევა გააკონტროლო პროფესიულ ჩარჩოებში.

საკუთარ იმიჯზე მუშაობა ხელს უწყობს თვითშემეცნებასა და პროფესიული სრულყოფილებისკენ სწრაფვას. უარყოფითი იმიჯი პედაგოგის პიროვნებას ანგრევს, ემოციურად აქვეითებს, კვალიფიკაციას აკარგვინებს. ეს ზემოქმედებს მოსწავლეებზეც, განსაკუთრებით – დაწყებით საფეხურზე. პოზიტიური იმიჯი კი პედაგოგის სამასწავლებლო უნარებს ზრდის, უკეთესობისკენ ცვლის, კარგ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლისგან მოსწავლეებს და საზოგადოებას გარკვეული მოლოდინი აქვთ. შექმნილი სტერეოტიპიდან გადახვევა მათ გაღიზიანებას იწვევს. ამიტომ პედაგოგს მართებს იმ პირობითობების დაცვაც, რომლებიც სასწავლო პროცესს პირდაპირ არ უკავშირდება. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ეს მოლოდინიც იცვლება, ამიტომ პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება.

სიმონ ჯანაშია

განათლების პოლიტიკის უცხოური გაკვეთილები

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მიმდინარეობს დისკუსია, რომელი განათლების სისტემაა მისაბაძი. ზოგს გერმანული პროფესიული განათლების მოდელი მოსწონს, ზოგს – სკოლების ორგანიზებისადმი ბრიტანული მიდგომა, მავანს საფრანგეთის მისაღები გამოცდების პრინციპები იზიდავს, ზოგსაც საკუთარი ბავშვობის დროინდელი სკოლები ურჩევნია. მაშ, რომელი განათლების სისტემაა საუკეთესო, რომელს შეიძლება დავაკვირდეთ, რათა საკუთარიც მის მიხედვით ავაგოთ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მრავალი ქვეყანა ცდილობს. მსჯელობას ის აადვილებს, რომ ბოლო ოცი წელიწადია, სულ უფრო იზრდება იმ მონაცემების რაოდენობა, რომელთა მიხედვითაც განათლების სისტემების შედარებაა შესაძლებელი. სახელმწიფოების წარმატება და წარუმატებლობა ხშირად იზომება საერთაშორისო ტესტირებათა შედეგებით. გვესმის, რომ წიგნიერების, მათემატიკისა თუ ბუნებისმეტყველების საერთაშორისო კვლევებში ფინეთის, სამხრეთ კორეისა და ჩინეთის სკოლები საუკეთესო შედეგებს აჩვენებს, საქართველოს შედეგები კი თითქოს მხოლოდ პრობლემებზე მიუთითებს.

სახელმწიფოები ხშირად ასეთ შეფასებათა საფუძველზე ადგენენ განათლების სისტემის რეფორმირების მიზნებს. მაგალითად, ჩვენი მთავრობის მიერ შემუშავებული განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020" ადგენს, რომ ჩვენი განათლების სისტემის წარმატება სწორედ საერთაშორისო შედარებითი ტესტირების შედეგებით გაიზომება. ამავე შედეგებს წარმატებისა თუ წარუმატებლობის ძირითად საზომად ხშირად ისინიც მოიხსენიებენ, ვინც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში არიან ჩართულნი და გადაწყვეტილებათა მიღება ევალებათ.

ამ შედარებითი კვლევების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზანი ამა თუ იმ ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების შესწავლაა, რათა პოლიტიკოსებმა და განათლების სისტემაში ჩართულმა გადაწყვეტილებათა მიმღებმა პირებმა საკუთარი პოლიტიკა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრნობით შეიმუშაონ. ამ მიდგომას ბევრი სუსტი მხარე აქვს, რასაც დაფიქრება და გათვალისწინება სჭირდება.

განათლებისადმი სხვა ქვეყნების მიდგომებზე დაკვირვება და მათი გათვალისწინება საქართველოსთვის ახალი არ არის. სასკოლო განათლების სისტემა თანამედროვე ფორმით ჩვენთან რუსეთის იმპერიასთან ერთად შემოვიდა. თავად რუსეთში კი ეს სისტემა ევროპულ, ძირითადად – გერმანიისა და საფრანგეთის სისტემების, მოდელით აიგო. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებიც, რომლებიც რუსეთის იმპერიას უპირისპირდებოდნენ, მე–19 საუკუნეში იკვლევდნენ რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში გავრცელებულ მიდგომებს.

იაკობ გოგებაშვილის პუბლიკაციებში წააწყდებით მსჯელობას გერმანული სახალხო უნივერსიტეტების შესახებ. შეგიძლიათ წაიკითხოთ მისი სტატია იმაზე, როგორ აწყობენ პროფესიული

განათლების სისტემებს ამერიკაში. გოგებაშვილი წერს ევროპაში გამოცემული სახელმძღვანელოებისა და იაფი საკითხავი წიგნების შესახებაც. ის თარგმნის რუსეთში გამოცემულ სახელმძღვანელოებში არსებულ ტექსტებს თავისი „დედა ენისა“ და „ბუნების კარისთვის“.

დაახლოებით იმავე დროს ევროპის უნივერსიტეტებში განათლების შედარებითი კვლევების მიმართულება ყალიბდებოდა. შედარებითი კვლევების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, სერ მაიკლ სედლერმა, 1900 წელს ოქსფორდში, კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში სწორედ ის კითხვა დასვა, რომელზეც დღეს ჩვენც ვცდილობთ პასუხის გაცემას: რა პრაქტიკული ღირებულება აქვს სხვა ქვეყნის სისტემების შესწავლას?

მნიშვნელოვანია თავად პასუხებიც, რომლებსაც ინგლისელი მკვლევარი გვთავაზობს. სედლერი გვაფრთხილებს, არ დაგვავიწყდეს, რომ განათლების ყოველგვარი სისტემა იმ კულტურის ნაყოფია, რომლის წიაღშიც ის ჩამოყალიბდა. განათლების სისტემები, მისი აზრით, იმ მივიწყებული პოლიტიკური და სოციალური ორთაბრძოლების შედეგია, რომლებიც გარეშე დამკვირვებლისთვის შესაძლოა დაფარულიც კი დარჩეს.

მეორე პრობლემა, რომელზეც სერ მაიკლ სედლერი მსჯელობს, სხვადასხვა ქვეყნიდან განათლების წარმატებული ელემენტების გადმოღებას უკავშირდება. მისი აზრით, სხვადასხვა სისტემიდან ამა თუ იმ ელემენტის გადმოღების მცდელობა იმ ბავშვის საქციელს ჰგავს, რომელიც ბაღში სეირნობისას ერთი ბუჩქიდან ყვავილს წყვეტს, ხოლო მეორიდან – ფოთოლს და ცდილობს, ერთად შეკრული მიწაში ჩარგოს, რათა ახალი მცენარე ამოვიდეს. ასეთი მცენარე კი ვერ იხარებს, რადგან მისი ცალკეული ნაწილები ერთმანეთისთვის არ არის შექმნილი. თითოეულ მათგანს საკუთარი ფესვები, მისთვის საუკეთესო ნიადაგი სჭირდება.

ასეთივე პრობლემას აღწერს სისტემების ცნობილი თანამედროვე მკვლევარი პიტერ სენგეც. ის გვთავაზობს წარმოვიდგინოთ, რას მივიღებთ, თუ სხვადასხვა მანქანის დეტალებისგან იდეალური ავტომობილის აწყობას შევეცდებით. შეიძლება ავიღოთ ერთი მწარმოებლის ძრავა, მივამაგროთ მეორის სავალ ნაწილებს, მესამის სამგზავრო სალონს და მეოთხის ბენზინის მიწოდების სისტემას. ასეთ ავტომობილს შესაძლოა ყველაფერი საუკეთესო ჰქონდეს, მაგრამ მაინც არ მუშობდეს. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თუ სისტემის ელემენტები ერთმანეთისთვის არ არის შექმნილი, სისტემა გამართულად ვერ იფუნქციებს.

რისი სწავლა შეიძლება უცხო ქვეყნების სავალდებულო სისტემების მაგალითზე? მგონია, რომ უმთავრესად – იმ გზებისა, იმ პრინციპებისა, რომლებითაც შესაძლებელია სისტემის ისე ამება, რომ ჩვენს პრობლემებს, ჩვენს შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს მიესადაგებოდეს.

სისტემის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მისი მოქნილობა. მასწავლებელს უნდა შეეძლოს მიდგომების მოდიფიცირება საკუთარი გარემოს, საჭიროებებისა და რესურსების მიხედვით.

ამავე შედეგს ვიღებთ განათლების სისტემებშიც. შეუძლებელია, სასწავლო გეგმა ერთ მოდელს ეფუძნებოდეს, მასწავლებლების მომზადება – მეორეს, მოსწავლეების შეფასება – მესამეს, სკოლების ხარისხის მართვა – მეოთხეს, სამინისტროს მართვის მიდგომები – მეხუთეს, სახელმძღვანელოების გრიფირება – მეექვსეს და ველოდეთ, რომ სისტემა წარმატებული იქნება. ასეთი პრობლემები იმთავითვე იჩენს თავს, როდესაც სხვა ქვეყნებში ვეძებთ სისტემის წარმატებულ ელემენტებს და მათ გადმოღებას ვცდილობთ.

მაშ, რისი სწავლა შეიძლება უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების მაგალითზე? მგონია, რომ უმთავრესად – იმ გზებისა, იმ პრინციპებისა, რომლებითაც შესაძლებელია სისტემის ისე აგება, რომ ჩვენს პრობლემებს, ჩვენს შესაძლებლობებსა და მისწრაფებებს მიესადაგებოდეს.

წარმატებულ მიდგომებს რამდენიმე ნიშან-თვისება აქვს.

პირველი: სისტემის ნებისმიერი ელემენტი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული სხვებთან. მაგალითად, ტექნოლოგიები მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს სასწავლო გეგმას, მასწავლებელთა განვითარების შესაძლებლობებს, სასწავლო რესურსების განვითარებისთვის გაღებულ ძალისხმევასა და სკოლების მართვის პრინციპებს. სხვაგვარად მივიღებთ ისეთ ვითარებას, რომელიც საქართველოში უკვე თვალსაჩინოა: ასიათასობით მოსწავლეს აქვს სახელმწიფოს მიერ შეძენილი კომპიუტერი, რომელსაც მასწავლებლების უმეტესობა სასწავლო პროცესში იშვიათად იყენებს, სახელმწიფო ბიუროკრატია კი ელექტრონული მასალების გავრცელების ამ საუკეთესო შესაძლებლობის პირობებში თავს იმტვრევს, როგორ დაბეჭდოს ორი საუკუნის წინათ შემუშავებული ტექნოლოგიით მომზადებული სასწავლო რესურსები და მიაწოდოს სკოლებს.

მეორე: შედარებით გამართული სისტემების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა მდგრადობა. სახელმწიფო პოლიტიკის სწრაფი ცვლილებები იწვევს რესურსების უაზრო ფლანგვას, მასწავლებლების იმედგაცრუებასა და სიახლეებისადმი უნდობლობას. არ შეიძლება, მასწავლებელთა ნაწილის უკმაყოფილებას სიახლის შემოტანის ფაზაშივე მოსდევდეს მიმართულების ცვლილება. უკმაყოფილება ნებისმიერი ცვლილების ნაწილია და მას მართვა სჭირდება.

იმ კულტურებში, სადაც მასწავლებლები უფრო ნაკლებად მიიჩნევენ თავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების მორჩილ შემსრულებლებად, მათ გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება სჭირდებათ. ამრიგად, სისტემის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მისი მოქნილობა. მასწავლებელს უნდა შეეძლოს მიდგომების მოდიფიცირება საკუთარი გარემოს, საჭიროებებისა და რესურსების მიხედვით. სახელმწიფომაც უნდა გააცნობიეროს, რომ სხვადასხვა ტიპის სკოლებთან, მოსწავლეებსა და მასწავლებლებთან მართვისადმი მიდგომა სხვადასხვანაირი უნდა იყოს. ახალბედა მასწავლებელს სხვაგვარი დახმარება სჭირდება, კარიერის დასასრულისკენ მიმავალს კი – სხვაგვარი.

დაბოლოს, უცხო ქვეყნებისგან შეგვიძლია ისიც ვისწავლოთ, რომ შეუძლებელია გქონდეს კარგი განათლების სისტემა, თუ მას საფუძვლად არ უდევს იდეა, რომლის ირგვლივაც ერთიანდება ყველა, ვინც ამ სისტემაშია ჩართული. საგანმანათლებლო სისტემის საფუძველს საზოგადოების მისწრაფებები წარმოადგენს. თუ ამერიკული საგანმანათლებლო სისტემა დემოკრატიული საზოგადოების განვითარების იდეას ეფუძნება, ფინური განათლების სისტემის მიზანი სოციალურ პასუხისმგებლობაზე აგებული საზოგადოების შექმნაა.

ისევე, როგორც სხვა ქვეყნებმა, ჩვენც უნდა გავიაზროთ ჩვენი საზოგადოების მიზანი, რომელსაც მოემსახურება სკოლა. ჩვენ გვაქვს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომლებიც აღწერს, რა მოეთხოვება სკოლადამთავრებულს, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის წარმოდგენაც, როგორი იქნება საზოგადოება, რომელსაც ამ მიზნების შესაბამისად პატრიოტი, შემოქმედებითი, ტოლერანტი, ბუნებრივი გარემოს დამცველი, ინფორმაციის აქტიურად გადამმუშავებელი ინდივიდები უნდა ქმნიდნენ. მხოლოდ ასეთი საზოგადოებრივი შეთანხმების შემთხვევაში მოიპოვებს ჩვენი სკოლები ნდობას მშობლებისგან, პოლიტიკოსებისგან, თავად მასწავლებლებისგან და, ცხადია, მოსწავლეებისგანაც.

სიტუაციური სავარჯიშოები ინტერკულტურული განათლებისთვის

ნინო ჭიაბრიშვილი

თანამედროვე სამყაროს გამოწვევა. სამყაროში, რომელიც სწრაფ ცვლილებებს განიცდის და სადაც კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდატეხები ცხოვრების ტრადიციული წესის ერთგვარი გამოწვევა ხდება, განათლებამ მთავარი როლი უნდა შეასრულოს სოციალური ერთობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების ხელშესაწყობად. იმ პროგრამების საშუალებით, რომლებიც წაახალისებს განსხვავებული კულტურის, რწმენისა და რელიგიის მქონე ადამიანთა შორის დიალოგს, განათლებას შესწევს ძალა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მდგრადი და ტოლერანტული საზოგადოებების განვითარებაში. ინტერკულტურული განათლება ერთგვარი პასუხია ყველა ადამიანისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის გამოწვევაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაშია მოცემული: „განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად“[i].

ტერმინის შესახებ. ალბათ, საჭიროა დაზუსტდეს ტერმინების – „ინტერკულტურული განათლება“ და „მულტიკულტურული განათლება“ – მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ სფეროს მკვლევრების უმრავლესობა (ბენქსი, ბენეტი, გეი, კუშნერი, გორსკი და სხვ.) განათლებით საკითხებთან მიმართებაში იყენებს ტერმინს „მულტიკულტურული განათლება“, ხოლო სამეცნიერო ნაშრომთა ნაწილში ამ ტერმინებს სინონიმებადაც შეეხვდებით, (1) „ინტერკულტურული განათლების იუნესკოს გზამკვლევის“ მიხედვით, ტერმინი „მულტიკულტურული“ აღწერს ადამიანთა საზოგადოების კულტურულად მრავალფეროვან ბუნებას. ის არა მხოლოდ ეთნიკური ან ეროვნული კულტურის ელემენტებს აღნიშნავს, არამედ მოიცავს ლინგვისტურ, რელიგიურ და სოციოეკონომიკურ მრავალფეროვნებასაც. ინტერკულტურალიზმი დინამიკური კონცეფციაა და აღნიშნავს კულტურულ ჯგუფებს შორის ურთიერთობას. ის განისაზღვრება როგორც „მრავალფეროვან კულტურებს შორის თანასწორი ურთიერთობები და დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე კულტურული თვითგამოხატვის გაზიარებულ ფორმათა შექმნის შესაძლებლობა“[ii]. ინტერკულტურული ურთიერთობები გულისხმობს მულტიკულტურალიზმს და ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეებზე კულტურათაშორისი გაცვლისა და დიალოგის შედეგია. ინტერკულტურული განათლება პასიური თანაარსებობის მიზანს სცდება და მიზნად ისახავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში განვითარებადი და მდგრადი თანაცხოვრების მიღწევას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის გზით. (2)

> კულტურაში, სადაც დაბალი კონტექსტის კომუნიკაციაა უპირატესი, ინფორმაციის გადაცემისას უმთავრესად სიტყვებს ეყრდნობიან. ზუსტი სიტყვების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის ნიშანია და ხშირად ისინი თავისთავად ცხადზე მხოლოდ იმისთვის საუბრობენ, რომ დარწმუნდნენ, რამდენად გაიგო მსმენელმა.

ტერმინ „ინტერკულტურულ განათლებას“ იყენებს ევროპის საბჭო თავის ვებგვერდზე[iii] და თავისივე პუბლიკაციებში; (3) საქართველოს სამეცნიერო წრეებში თანამედროვე მრავალფეროვანი გარემოს აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „მულტიკულტურული“, ხოლო განათლებასთან მიმართებით – ტერმინს „ინტერკულტურული“.

ამრიგად, ინტერკულტურული განათლება ემსახურება მულტიკულტურული გარემოს საგანმანათლებლო მიზნებს.

გთავაზობთ ინტერკულტურული განათლების ხელშემწყობი რამდენიმე სიტუაციური სავარჯიშოს თარგმანს[iv].

ჯიმის შეცდომა

ორი წელია, ჯიმი პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ჯგუფს ხელმძღვანელობს. ახალი ქსელური პროგრამების შექმნისას ის მჭიდროდ თანამშრომლობს არუნასთან – ჯგუფის ინდოელ ლიდერთან. ჯიმის კომპიუტერული პროგრამების განვითარების მხოლოდ 25-წლიანი გამოცდილება აქვს, ხოლო არუნას, როგორც იტყვიან, ჭიპი აქვს მოჭრილი ამ საქმეში.

წინა კვირის ნამუშევრის გადახედვისას ჯიმიმ შენიშნა, რომ პროგრამის კოდირებაში შეცდომა ჰქონდა დაშვებული. ნახა, რომ არუნას გაესწორებინა მისი შეცდომა, თუმცა დაინტერესდა, რატომ არ გააგებინა მას, რომ მომავალში მსგავსი შეცდომა თავიდან აერიდებინა.

კითხვები:

- უნდა ეთქვა თუ არა არუნას ჯიმისთვის შეცდომის შესახებ? დაასაბუთეთ.
- თუკი ჯიმის სურს, რომ მომავალში არუნამ გააგებინოს ხოლმე შეცდომების შესახებ, როგორ უნდა მოიქცეს?

სავარაუდო პასუხი

ამ სიტუაციაში ჯიმი და არუნა ვერ აცნობიერებენ, რომ მათ მოლოდინებზე უდიდეს გავლენას ახდენს მათი კულტურა. ორივე ვარაუდობს, რომ მათი კომუნიკაციის მათეული მეთოდი ერთმანეთის მსგავსია.

აზიურ კულტურათა უმრავლესობაში ხელმძღვანელის კრიტიკა მიუღებელია. არუნა იცავს თავისი კულტურის ნორმებს და ჯიმის შეცდომის შესახებ პირდაპირ კომუნიკაციას თავს არიდებს. მეორე მხრივ, ჯიმი მოელის უფრო პირდაპირ კომუნიკაციას პროექტის ტექნიკური ასპექტების შესახებ. ჯიმიმ უნდა დაარწმუნოს არუნა, რომ პირდაპირი კომუნიკაცია პროგრამული შეცდომების შესახებ წახალისებულია. მან უნდა გაიაზროს, რომ არუნას დრო დასჭირდება კომუნიკაციის მისეულ სტილთან შესაგუებლად და ყოველთვის უნდა ეცადოს გაგებას, როცა არუნა პირდაპირ მიუთითებს შეცდომებზე. ასევე გარკვეული ძალისხმევა დასჭირდება, როცა არუნა არაპირდაპირი გზით ეცდება პროგრამულ შეცდომებზე მითითებას.

ლევანი სამსახურში არ არის

ლევანმა ახლახან დაიწყო მუშაობა დედაქალაქში მდებარე სათავო ოფისში. სწავლისათვის მას 3 თვით შეერთებულ შტატებში მოუწევს გამგზავრება. მერიმ, ნიუ-იორკში მდებარე ოფისის პროექტის მენეჯერმა, სატელეფონო კონფერენცია სამშაბათისთვის დანიშნა. ლევანს ამ დროისთვის საელჩოში აქვს შეხვედრა.

მერი: შეგვიძლია, ხვალ საღამოს, 7:00 საათზე დავილაპარაკოთ, თუ ჯობს შენს დაბრუნებას დაველოდოთ?

ლევანი: უკეთესი იქნება, თუ დაველოდებით, თუმცა შემიძლია ჩავერთო კონფერენციაში, თუ გსურს, თუ საჭიროა.

მერი: გინდა, გადავდოთ? მითხარი, კი თუ არა!

კითხვები:

- რა კულტურული და/ან პერსონალური თავისებურებები ახდენს გავლენას კომუნიკაციაზე?
- სავარაუდოდ, რას ფიქრობს/გრძნობს მერი?

- სავარაუდოდ, რას ფიქრობს/გრძნობს ლევანი?

სავარაუდო პასუხი

ლევანი რთულ სიტუაციაშია. მან, როგორც გუნდის ახალმა წევრმა, არაფერი იცის გუნდის კულტურისა და მერის კომუნიკაციის სტილის შესახებ. კომუნიკაციის პროცესში ის ცდილობს მიახვედროს მერი, რომ შეხვედრის გადადება სურს, მაგრამ მერი ვერ იგებს მის არაპირდაპირ შეტყობინებას. რაკი ლევანი გუნდის ახალი წევრია, მან უნდა შეძლოს პირდაპირი კომუნიკაციის სტილის სწავლა და მერის პირდაპირობა უხეშობად არ მიიღოს. მერი, როგორც პროექტის მენეჯერი, უნდა ეცადოს საკუთარი ვირტუალური გუნდის წევრების კომუნიკაციის განსხვავებული სტილის გაგებას. შესაძლოა, მან კონსულტანტი მოიწვიოს და მისი დახმარებით შეძლოს ღია დიალოგი კულტურული განსხვავებებისა და გუნდის სამუშაო კულტურის შესახებ.

დანიელა

რამდენიმე წელია, მერაბი საინფორმაციო ოფიცრად მუშაობს საელჩოში. მის უფროსს, ჰენდრიკს, სურს, მუყაითობისათვის დააჯილდოოს და სთავაზობს საინფორმაციო კლერკად დაწინაურებას და ხელფასის გაზრდას. მერაბი ზრდილობიანად ამბობს უარს შეთავაზებაზე. ჰენდრიკი დაბნეულია.

კითხვები:

- რატომ შეიძლებოდა, მერაბს უარი ეთქვა დაწინაურებაზე?
- როგორ უნდა მოიქცეს ჰენდრიკი?

სავარაუდო პასუხი

სავარაუდოდ, მერაბი უარს ამბობს ამგვარ დაწინაურებაზე, რადგან საინფორმაციო ოფიცრის წოდება უფრო პრესტიჟულად ეჩვენება, ვიდრე საინფორმაციო კლერკის. თავის მხრივ, ამგვარი დამოკიდებულება შესაძლოა უჩვეულოდ ეჩვენებოდეს ჰენდრიკს, რომელიც ვარაუდობს, რომ ნებისმიერი ადამიანისათვის ხელფასი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სტატუსი და თანამდებობა. მერაბისთვის, მართალია, მნიშვნელოვანია ხელფასის გაზრდა, მაგრამ წუხს, როგორ იმოქმედებს მისი სტატუსის შეცვლა მისი ოჯახის სახელზე საზოგადოებაში. თუკი სტატუსის შეცვლას ვერ შეძლებს, ჰენდრიკმა მერაბის თავდადებული შრომის აღიარების სხვა გზა უნდა მოძებნოს – ამჟამინდელი სტატუსის პირობებში შეძლოს მისთვის ხელფასის გაზრდა ან ხელმძღვანელობას სთხოვოს მერაბისთვის სიგელის მიცემა, რომელსაც ის საკუთარ სახლში თვალსაჩინო ადგილზე დაკიდებს.

სხვებსაც უნდა შეხვდე

ამერიკელი მარკი დელიში ცხოვრობს. ის აჯაის ხვდება, რომელიც საჯარო სექტორში მუშაობს. მარკი დაინტერესებულია ადგილობრივ ბიზნესმენთან სურეშთან პარტნიორობით, რომელთანაც ადრე აჯაი მუშაობდა. მარკს აინტერესებს აჯაის აზრი სურეშთან პარტნიორობის შესახებ.

მარკი: იცნობ სურეშს?

აჯაი: რა თქმა უნდა, 10 წლის განმავლობაში ერთად ბევრ პროექტზე ვიმუშავეთ. მას კარგად ვიცნობ.

მარკი: მასთან შეხვედრას ვგეგმავ, მინდა მოვსინჯო, შევძლებთ თუ არა თანამშრომლობას. შენ რას ფიქრობ?

აჯაი: მასაც უნდა შეხვდე და სხვებსაც.

მარკი: მადლობა. კიდევ ვის უნდა შევხვდე?

აჯაი: ხომ იცი, ბევრი გოგოა, რომელსაც სწრაფად უყვარდება პოპულარული, კარგად ჩაცმული და სიმპათიური ბიჭი. როცა დაქორწინდებიან, მიხვდებიან ხოლმე, რომ შეცდომა დაუშვეს, რადგან ბიჭი „ცარიელია“. ზოგი გოგო კარგი ხასიათის ბიჭს ეძებს, მისი ოჯახის შესახებ იგებს ინფორმაციას და მის მეგობრებს ესაუბრება. დაქორწინების შემთხვევაში ეს გოგოები უფრო ბედნიერები არიან, ვიდრე პოპულარულ ბიჭზე გათხოვილები.

კითხვები:

- უნდა შეხვდეს თუ არა მარკი სურეშს? დაასაბუთეთ.
- რატომ იკითხა მარკმა სხვა ადამიანებთან შეხვედრის შესახებ?
- რატომ საუბრობს აჯაი ჰიპოთეტურ ქორწინებაზე?

სავარაუდო პასუხი

მარკის ადგილზე ბევრი ამერიკელი არასწორად გაუგებდა აჯაის და იფიქრებდა, რომ აჯაი

ინტერკულტურული განათლება პასიური თანაარსებობის მიზანს სცდება და მიზნად ისახავს მულტიკულტურულ საზოგადოებებში განვითარებადი და მდგრადი თანაცხოვრების მიღწევას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის ურთიერთგაგების, ურთიერთპატივისცემისა და დიალოგის გზით.

ცდილობს წაახალისოს ის და შეახვედროს სურეშს. აჯაის ადგილზე კი მრავალი ინდოელი იფიქრებდა, რომ ის სწორედ საპირისპიროს თქმას ცდილობს („არ შეხვდე სურეშს"). აქ, სულ მცირე, ორ კულტურულ განზომილებასთან გვაქვს საქმე. პირველი – ეს არის პირდაპირი და არაპირდაპირი კომუნიკაცია. ამერიკელები პირდაპირ კომუნიკაციას ამჯობინებენ, თითქოს მოსაუბრეს ეუბნებიან: „პირდაპირ მითხარი, რისი თქმა გსურს", „მითხარი, რას გულისხმობ", „რა შორიდან უვლი". ინდოელები უფრო არაპირდაპირ კომუნიკაციას ამჯობინებენ, უფრო თავაზიან სტილს, განსაკუთრებით – როცა საქმე უარყოფით ინფორმაციას ეხება.

მეორე კულტურული განზომილება, რომელიც გავლენას ახდენს მარკისა და აჯაის საუბარზე, არის განსხვავება მაღალი და დაბალი კონტექსტის კომუნიკაციებს შორის. კულტურები, რომლებიც მაღალი კონტექსტის კომუნიკაციას ანიჭებენ უპირატესობას, ძირითადად სიტუაციის კონტექსტს ეყრდნობიან ინფორმაციის გადაცემისას. მოსაუბრის ვარაუდით, მსმენელი იმდენად გონიერია, რომ შეუძლია სიტუაციის კონტექსტში შეტყობინების გაგება. კულტურაში, სადაც დაბალი კონტექსტის კომუნიკაციაა უპირატესი, ინფორმაციის გადაცემისას უმთავრესად სიტყვებს ეყრდნობიან. ზუსტი სიტყვების შერჩევა და გამოყენება წარმატებული კომუნიკაციის ნიშანია და ხშირად ისინი თავისთავად ცხადზე მხოლოდ იმისთვის საუბრობენ, რომ დარწმუნდნენ, რამდენად გაიგო მსმენელმა.

შენიშვნები

[i] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948, მუხლი 26.2.

[ii] UNESCO Convention on the Protection and Promotion of the Diversity of Cultural Expressions (2005), Article 8

[iii] http://www.coe.int/t/dg4/linguistic/EducInter_en.asp

[iv] http://www.shanticonsulting.com/multicultural-communication-case-studies/



ვიორგი ნოზაძე

გაკვეთილის დაგეგმვის ძირითადი უნარ-ჩვევები

ყველა მასწავლებელს მოეთხოვება, გაკვეთილების წარმატებით დაგეგმვისთვის განსაზღვრული უნარ-ჩვევები განივითაროს. მათგან უპირველესია **ყოველი გაკვეთილის დაგეგმვის** ჩვევა. მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალს თუ შეუძლია, გაკვეთილი ექსპრომტად ჩაატაროს და ეს უმალ გამონაკლისია, ვიდრე ტიპური შემთხვევა. დაგეგმვის ფაზის გამოტოვება უმეტესად გაკვეთილის ჩავარდნის ტოლფასია და ასეთი გაკვეთილები, როგორც წესი, დაკარგული დროა და მეტი არაფერი.

მეორე ძირითადი უნარ-ჩვევა ის არის, **თქვენს ყოველდღიურ განრიგში გამოყოთ დრო გაკვეთილების დაგეგმვისთვის**. პედაგოგიური კარიერის საწყის ეტაპზე დაგეგმვის ფაზას საკმაოდ ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ წარმატებული რეფლექსიური პრაქტიკისა და გამოცდილებისა თუ რესურსების დაგროვების კვალდაკვალ მასწავლებელი ეჩვევა მინიმალურ დროში საგაკვეთილო იდეების გენერირებასაც, მათ ჩანიშვნასაც სახელმძღვანელო დირექტივების სახით და ამა თუ იმ ჩარჩო-სქემისთვის მორგებასაც. თუ პედაგოგიური კარიერის დასაწყისში ძალისხმევა უმთავრესად ყურადღების კონცენტრაციასა და შემოქმედებითობაზე იხარჯება, გამოცდილი მასწავლებლები უკვე ფოკუსირებას ახდენენ იმპროვიზაციაზე საგაკვეთილო პირობების შეცვლისას.

შესაბამისად, მესამე ძირითადი უნარ-ჩვევაა, **დეტალურად ჩაინიშნოთ გაკვეთილის კომპონენტები და არ ეცადოთ მათ დამახსოვრებას.** ჩანაწერების სარგებელი აშკარაა – ისინი საშუალებას იძლევა:

- ადვილად მოხდეს კომპონენტების მოდიფიცირება მომავალში იმავე გაკვეთილის ჩატარებისას ან მისი პარალელურ კლასში ჩატარებისას;
- საფუძვლიანად გაანალიზდეს დაგეგმილ აქტივობათა თანაწყობა მათი ეფექტიანობის თვალსაზრისით;
- უფრო ფაქიზად დამუშავდეს მნიშვნელოვანი დეტალები;
- მეორე დღეს, გაკვეთილის ჩატარებამდე, ჩანაწერისთვის თვალის გადავლებით, საკუთარი ნამუშევრისგან გაუცხოების ეფექტის წყალობით, მხოლოდ რეალისტურზე მოხდეს ფოკუსირება, მხოლოდ ადეკვატური გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული, მხოლოდ ოპტიმალური ძალისხმევა იქნეს გაღებული.

მეოთხე ძირითადი უნარ-ჩვევა უკავშირდება პრობლემას, რომელსაც გამოცდილი მასწავლებლებიც კი ეჯახებიან – **საგაკვეთილო დროის მენეჯმენტს**. ყველას უჭირს იმის წინასწარმეტყველება, რამდენ დროს მოითხოვს ესა თუ ის აქტივობა, რადგან ეს უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა ნაწილს მასწავლებელი ვერც კი აკონტროლებს. ჯგუფური მუშაობის დომინირების შემთხვევაში (რასაც თავიდან ვერ ავიცილებთ დიფერენცირებული ან თუნდაც არადიფერენცირებული, მაგრამ თანამშრომლობითი სწავლებისას) დროითი დანახარჯის პროგნოზირება კიდევ უფრო რთულია, ამიტომ **მიზანშეწონილია გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე გათვლილი**

მხოლოდ მაღალი დონის პროფესიონალს თუ შეუძლია, გაკვეთილი ექსპრომტად ჩაატაროს და ეს უმალ გამონაკლისია, ვიდრე ტიპური შემთხვევა. დაგეგმვის ფაზის გამოტოვება უმეტესად გაკვეთილის ჩავარდნის ტოლფასია და ასეთი გაკვეთილები, როგორც წესი, დაკარგული დროა და მეტი არაფერი.

სასწავლო საკითხის გააზრებისა და ათვისების ხარისხი რამდენჯერმე უნდა გადამოწმდეს გაკვეთილის განმავლობაში, ხოლო მოსწავლეებისთვის განკუთვნილ აქტივობებში აქცენტი ცოდნის კონსტრუირებასა და სწავლების დიფერენცირებაზე დაისვას.

საგაკვეთილო გეგმების მომზადება, მერე კი იმ აქტივობათა შერჩევა, რომლებიც შეიძლება უმტკივნეულოდ ამოაგდოთ გეგმიდან ან, პირიქით, ჩაამატოთ, თუ ისინი შეეფერება გაკვეთილის მიზანს და არ აზარალებს მას. გამოცდილების დაგროვების კვალდაკვალ იმატებს დროითი დანახარჯის შეფასების სიზუსტეც, თუმცა ყველაზე დიდი განსხვავება ვეტერან და ახალბედა მასწავლებლებს შორის ისაა, რომ ვეტერანმა იცის: როგორც არ უნდა დაგეგმოს და წარმართოს გაკვეთილი, რამე გაუთვალისწინებელი მაინც მოხდება, ამიტომ მისი მხრივ გონივრული იქნება, მზად იყოს წინასწარ შერჩეული აქტივობების საშუალებით გეგმაში ცვლილებების შესატანად.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მასწავლებლის გონებაში მომწიფდა საინტერესო იდეა გაკვეთილისთვის და ჩაინიშნა კიდეც მისი ცალკეული ეტაპები თუ აქტივობები. როგორ მიხვდეს გაკვეთილის მსვლელობის მისეული ხედვის მიხედვით, ტრადიციულია ჩაფიქრებული გაკვეთილი თუ მოსწავლეებსა და შედეგზე ორიენტირებული?

იოლი მისახვედრია, რომ გაკვეთილი ვერ ჩაითვლება მოსწავლეებზე ორიენტირებულად, როდესაც მასწავლებელი:

- ცდილობს, წინასწარ დაგეგმილი გაქვავებული განრიგის მიხედვით გაუყვეს სასწავლო გეგმას, რათა დროულად „გაიაროს პროგრამა“ და არ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს იმ პერიოდისთვის, როდესაც გაკვეთილი უნდა ჩაატაროს;
- ჯეროვან, ხშირად კი გამორჩეულ ყურაღებას უთმობს მხოლოდ „მის საგანში ნიჭიერ“ მოსწავლეებს (ცნობილია, რომ ამა თუ იმ სასწავლო დისციპლინისადმი გამოკვეთილი მიდრეკილებების მქონე მოსწავლეთა წილი კლასში 10% თუა);
- „დაღეჭვის“ დონეზე ხსნის გაკვეთილს და მოსწავლეებს თავს ახვევს ცალკეული მეცნიერების, ხანდახან კი საკითხის საკუთარ ინტერპრეტაციებს ან დამკვიდრებულ სტერეოტიპებს; განსხვავებული აზრი არ გამოითქმის ან არ წახალისდება, მოსწავლეებს ამ „დაღეჭილი“ ლუკმის გადაყლაპვაღა დარჩენიათ;
- უხვად მოჰყავს ფაქტები (მაგალითად, ბიოგრაფიული ცნობები) ან მოსწავლეებს შორიდან აჩვენებს მოდელებსა თუ ბუნების ქმნილებების მაკეტებს, რითაც დემონსტრირებას უკეთებს საკუთარ ერუდიციას და ძალისხმევას დამატებითი რესურსების მოსაძიებლად, ამასთან, მოსწავლეებისგან მოითხოვს მხოლოდ ამ ფაქტების დამახსოვრებას და მომდევნო გაკვეთილზე მათ გახსენებას;
- დაფასთან მორიგეობით იძახებს ცალკეულ მოსწავლეებს სავარჯიშოების შესასრულებლად, მაშინ როდესაც დანარჩენები დაფიდან იწერენ სხვის შესრულებულ დავალებას, რომლის გააზრებასაც ვერ ასწრებენ, რადგან ჩანაწერის დასრულებამდე უკვე სხვა მოსწავლეა გამოძახებული დაფასთან და ახალი სავარჯიშოს შესრულებას იწყებს;
- ზრუნავს წესრიგზე, გაკვეთილს ავტორიტარულ რეჟიმში წარმართავს, ამიტომ ყველა მოსწავლე გასუსულია, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩუმადაა არა იმიტომ, რომ შესასწავლ საკითხზე ფიქრობს, არამედ უბრალოდ პასიურია;
- შეჯიბრების ტიპის ურთიერთობას ამკვიდრებს მოსწავლეთა შორის, როდესაც მათი შეფასების დროს ერთმანეთს ადარებს მოსწავლეთა პრეზენტაციებს და გამორიცხავს ნიშნებში ინდივიდუალური პროგრესის წილს;
- დაუყოვნებლივ მოითხოვს პასუხს დასმულ კითხვაზე და თვითონვე ირჩევს მოპასუხეს ისე, რომ კითხვას არ მიუსადაგებს მისი მზაობის დონეს.

გაკვეთილი მოსწავლეებზე ორიენტირებულად ვერც მაშინ ვერ ჩაითვლება, როდესაც:

- მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას გამორიცხავს მერხების უცვლელი განლაგება მწკრივებად, როდესაც მოსწავლეები მხოლოდ წინ მსხდომთა კეფას ხედავენ და ვერ იჭერენ ერთმანეთის მზერას;
- გაკვეთილები კომბინირებული ტიპისაა და მიუხედავად მოსწავლეთა მიერ გაკვეთილზე გამომჟღავნებული საჭიროებებისა, ერთმანეთს ენაცვლება საშინაო დავალების შემოწმების, ინდივიდუალური გამოკითხვის, ახალი მასალის ახსნის, მისი განმტკიცებისა და საშინაო დავალების მიცემის ეტაპები, რომლებიც ზუსტად 45 წუთში უნდა დასრულდეს.

ეს სია კიდევ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ მოყვანილი მაგალითები საკმარისია, რათა ცხადი გახდეს ამგვარი „სწავლების“ მიუღებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის,

რადგან აშკარაა, რომ:

- ასეთი გაკვეთილის მიზანი იყო კიდევ ერთი საპროგრამო საკითხის „დაფარვა“ და არა მოსწავლეთა მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კომპეტენციების დაუფლება;
- მასწავლებელს დაგეგმილი ჰქონდა მხოლოდ ის, რას გააკეთებდა თვითონ და არა ის, რას გააკეთებდნენ მოსწავლეები;
- მას არ აინტერესებდა მოსწავლეთა წინარე ცოდნა და ხარვეზების მიგნებასა და აღმოფხვრაზე ზრუნვას დროის ფუჭ ხარჯვად მიიჩნევდა („მე ხომ ავხსენი საკითხი და ვინც ისწავლის – ისწავლის, ვინც არა და – რას იზამ, ყველა ვერ იქნება ნიჭიერი ჩემს საგანში“);
- მან მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო გაკვეთილის მოსამზადებლად და უშურველად დაიხარჯა, თუმცა ამ დროს მოსწავლეთა შედეგებზე არ უფიქრია – იმით დაკმაყოფილდა, რომ საგაკვეთილო პროცესი დაძაბული და შთამბეჭდავი გამოვიდა;
- მან ნიშნები დაწერა და ჟურნალი შეავსო, მაგრამ არ გაუაზრებია, რა ნაბიჯი გადადგეს მოსწავლეებმა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგებისკენ, რადგან შესაძლოა, არც კი იცნობდა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის იმ ნაწილს, სადაც მისაღები შედეგები და ინდიკატორებია მითითებული;
- არ აღელვებდა გაკვეთილის შემდგომი რეფლექსია და არც აპირებდა შეფასებას, რა გამოუვიდა კარგად და რა – არა, რათა მომავალში გაეთვალისწინებინა.

ცხადია, რომ ასეთი სწავლება არც მოსწავლეზეა ორიენტირებული და არც შედეგებზე. შესაბამისად, ასეთი გაკვეთილების შემთხვევაში მოსწავლეთა მიღწევები მინიმალურია:

- **რაოდენობრივად** – წარმატებულია მაქსიმუმ „საგანში ნიჭიერი“ 10% + ყველაფერში ბეჯითი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე 10% + საგნის მასწავლებლის ხათრის

მქონე და პატივისმცემელი 10% = 30% და არა მოსწავლეთა 100% ან თუნდაც 90%;

თვისებრივად – მიიღწევა მხოლოდ ტრივიალური „საკონტროლოს“ დასაწერად ან ფაქტობრივ ცოდნაზე ანუ მეხსიერებით უნარებზე გათვლილი და „გამოცდის ჩაბარებისთვის“ აუცილებელი მინიმალური კომპეტენციების განვითარება და არა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი კომპეტენციებისა.

ბუნებრივია, ასეთი გაკვეთილები ვერც სკოლის შიდა და ვერც გარე შეფასებისას ვერ დაიმსახურებს მაღალ შეფასებას, ამიტომ აუცილებელია გაკვეთილების დაგეგმვაზე მუშაობის ხერხების გაცნობიერება, რათა დაგეგმვის ეტაპზევე ავიცილოთ თავიდან ტრადიციული სწავლების ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები და გავითვალისწინოთ გაკვეთილის სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც, მაგალითად, ვიდეოჩანაწერში აისახება ან, პირიქით, მიიჩქმალება.

შევაჯამოთ: მხოლოდ სტატიის დასაწყისში ნახსენები ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება აძლევს მასწავლებელს საშუალებას, წარმატებას მიაღწიოს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვასა და წარმართვაში. ასეთ გაკვეთილებზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი მოსწავლეთა საჭიროებები და თავისებურებები, მათი ჩართულობის რაოდენობრივი მაჩვენებლები და მონაწილეობის ინტენსივობის პროცენტული მაჩვენებლები გაცილებით მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ტრადიციულ გაკვეთილებზე, სასწავლო საკითხის გააზრებისა და ათვისების ხარისხი რამდენჯერმე უნდა გადამოწმდეს გაკვეთილის განმავლობაში, ხოლო მოსწავლეებისთვის განკუთვნილ აქტივობებში აქცენტი ცოდნის კონსტრუირებასა და სწავლების დიფერენცირებაზე დაისვას.

მაია ფირჩხაძე

პრობლემური დავალებების სწავლება ისტორიის გაკვეთილზე

ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ინფორმაციის მოცულობა, რომელიც უნდა აითვისოს მოსწავლემ საგაკვეთილო პროცესში, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს სასწავლო პროცესის სრულყოფის აუცილებლობას. ამგვარი სირთულეები მასწავლებლისაგანაც მოითხოვს შესაბამისი მეთოდური მიდგომების გამოყენებას პრაქტიკაში. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრობლემურ სწავლებაზე, პრობლემური დავალებების გადაწყვეტაზე აქცენტირებული მეთოდების გამოყენებას გაკვეთილზე. პრობლემური დავალებების გულისხმობს იმ ინტელექტუალურ დავალებას, რომლის შესრულებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვეული კვლევითი საქმიანობის ჩატარება, ხოლო შესაფერისმა მეოდურმა მიდგომებმა უნდა უზრუნველყოს ამ საქმიანობის წარმატება.

იმისათვის, რომ მოსწავლეებს ვუბიძგოთ პრობლემურ საკითხებზე მუშაობისაკენ, საჭიროა გავუღვივოთ შემეცნებითი ინტერესი და ხელი შევუწყოთ კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვაში, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მათ მიერ ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებას. ამ ტიპის საქმიანობისთვის მასწავლებელს აუცილებლად დასჭირდება სასწავლო პროცესის შესაბამისი ორგანიზება. ორგანიზების ფორმა მრავალნაირია და დამოკიდებულია საგაკვეთილო მიზანზე, იმ კონკრეტულ საკითხზე, რისი სწავლებაც განზრახული აქვს მასწავლებელს გაკვეთილზე (სურ.1).

ზოგადად პრობლემის შესწავლაზე ორიენტირებული გაკვეთილის ორგანიზაციის ეტაპებია: თემის გაცნობა; პრობლემური შეკითხვის ჩამოყალიბება; თემიდან გამომდინარე კონფლიქტური და პრობლემური სიტუაციის შექმნა; შეკითხვის ირგვლივ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება; საკითხის შესასწავლად ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობის ორგანიზება. ამავდროულად, გასათვალისწინებელია რამდენიმე საკითხი



– აუცილებელია, რომ პრობლემური შეკითხვა იყოს:

- რთული და წინააღმდეგობრივი;
- საინტერესო, სამუშაოდ სასიამოვნო და ლოგიკურად დასაშვები;
- გადასაწყვეტად შესაძლებელი.

რაც შეეხება კონფლიქტურ და პრობლემურ სიტუაციას, ის გამოწვეული უნდა იყოს:

- პრობლემურ შეკითხვაში ჩაძიებით, ჩაღრმავებით, საკითხის გამოძიებით;
- მისი გადაწყვეტისთვის აუცილებელი გზების მოძიებით;
- გადაწყვეტისთვის საჭირო ვარიანტების მოძებნით.

ეფექტური სწავლებისთვის სასურველია, საგაკვეთილო პროცესში გათვალისწინებული იყოს **პრობლემური სიტუაციების შექმნის მეთოდური მიდგომებიც:**

- მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს, თავად განსაზღვრონ პრობლემა და მოძებნონ მისი გადაწყვეტის გზა;
- უბიძგებს პრაქტიკული საქმიანობისაკენ;
- მიუთითებს ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა პოზიციის არსებობის შესაძლებლობაზე;
- სთავაზობს, საკითხს შეხედონ სხვადასხვა პოზიციიდან (როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური, იურისტი, ფინანსისტი, პედაგოგი, ხელოსანი და ა.შ.);
- უღვივებს შედარების, განზოგადების, ფაქტების შეპირისპირების, დასკვნების გამოტანის ინტერესს;
- ხელს უწყობს კონკრეტული შეკითხვების, თეორიული და პრაქტიკული დავალებების პრობლემების განსაზღვრაში, ზოგადად, პრობლემური დავალებების ფორმირებაში (მაგალითად, არასაკმარისი ანდა საწყისი მონაცემების დალაგებაში, შეცდომების აღმოჩენასა და გასწორებაში, დროის რეგლამენტირებაში და ა.შ.).

პრობლემის შესწავლაზე ორიენტირებული მაკვეთილის ვარიანტი:

1 მას შემდეგ, რაც მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს თემას, მოხდება **პრობლემური შეკითხვის ჩამოყალიბება,** რომლისთვისაც აუცილებელია მოსწავლეთა „ინტერესის გაღვიძება“ (ამისთვის, კონკრეტული თემის სწავლებისას, შესაძლებელია გამოვიყენოთ ისეთი ფაქტები და იდეები, რომლებიც მოსწავლეებში გაოცებას იწვევს. მაგალითად, დავით IV აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლისას შევთავაზოთ ასეთი იდეა: „თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები წინადადებით გამოვიდნენ, აიღონ დავით აღმაშენებლის ძეგლი იმ ადგილიდან, სადაც დგას“. მოსწავლეთა პასუხი – „ნუთუ ასეთმა ღორსეულმა პიროვნებამ არ დაიმსახურა უფლება, მისი ძეგლი ამ ადგილზე იდგეს?“);

2 **კონფლიქტური სიტუაციის შექმნა თემიდან გამომდინარე,** როდესაც ახალი ფაქტები და შედეგები ეწინააღმდეგება მეცნიერებაში არსებულ წარმოდგენებს და თეორიებს (მაგალითად, რა შინაგანი ნიშნების მიხედვით დაადასტურეს მეცნიერებმა დავით აღმაშენებლის მიერ „სომეხთა მეფის“ ტიტულის მიღება, თუკი ეს ფაქტი არსადაა ნახსენები „ქართლის ცხოვრებაში?“)

3 **პრობლემური სიტუაციის შექმნა** თემასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია იმ შეუსაბამობით, რომელიც არსებობს მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მეცნიერულ მონაცემებს შორის (მაგალითად, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ველზე 56 ათასი ჯარისკაცით მოწინააღმდეგის 300-ათასიან ჯარს სძლია. ნუთუ შესაძლებელია ასეთი განსხვავებით და მცირერიცხოვანი ძალებით ბრძოლის მოგება?“);

4 **შეკითხვის ირგვლივ ჰიპოთეზის ჩამოყალიბება** („დავით IV აღმაშენებლის მოღვაწობა და პრაქტიკული ნაბიჯები გახდა მისი ყველა წარმატების საფუძველი“; „მან თავად გამოიწვია გარდაუვალი კონფლიქტი მეზობლებთან და საფრთხე შეუქმნა ყველას და ყველაფერს“; „მან თვითონ შექმნა თავისი ისტორია და თავისი დრო“);

5 **საკითხის შესასწავლად ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობის ორგანიზება** (დისკუსია, განხილვა, თამაში და სხვ.).

6 **პრობლემის გადაწყვეტა;**

7 **შეფასება და რეფლექსია.**

მანვიდლოთ პრობლემური სწავლების მეშვეობით ახალი მასალის შესწავლის საფუძველზე

II **ახალი მასალის ათვისებისათვის მომზადება/მოტივირება**, რომლის დროსაც, ახალი მასალის მიზნის შესაბამისად, ჩამოყალიბდება **პრობლემური კითხვები:**

საოკუპაციო ზონები; ბ) პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილება; გ) საინფორმაციო ბარათი – ისტორიული პირების მნიშვნელობის შესახებ (XX ს-ის გერმანიისა და მსოფლიოს პოლიტიკური ლიდერები.

გაკვეთილზე პრობლემური სწავლების წინწამოწევით იზრდება მოსწავლეთა ცოდნის დონე, ინფორმაციის ანალიზისა და აზროვნების კულტურა. მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა სიტუაციაში გადაწყვეტილებების მოძიების გზებს და უვითარდებათ შემოქმედებითი და კვლევითი, დამოუკიდებელი მუშაობის და ზოგადკომუნიკაციური უნარები, რითაც მიიღწევა კიდეც გაკვეთილის ძირითადი მიზანი.

კლასი – XII;

გაკვეთილის თემა: პოლიტიკური პროცესები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. გერმანიის გაყოფა და გაერთიანება.

გაკვეთილის მიზანი: პრობლემური სიტუაციის შექმნა; პრობლემის ფორმირება; პრობლემის გადაწყვეტა.

რესურსი: დავალების შესრულებისთვის საჭირო და თემის შესაბამისი ისტორიული დოკუმენტები; ისტორიული და გეოგრაფიული რუკები და სამახსოვრო ბარათები.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

I **ორგანიზაციული მომენტი** (კლასი იყოფა ჯგუფებად);

- განსაზღვრეთ, რა მნიშვნელობა აქვს ჩერჩილის სიტყვებს.
- როგორ აისახა ისინი ევროპის მომავალზე?

იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს ამ შეკითხვებს, მოსწავლეებმა თავად უნდა გამოკვეთონ პრობლემური სიტუაცია, გადაწყვიტონ იგი და დაამტკიცონ გაკვეთილზე ჩატარებული კვლევით.

მოცემული დავალების შესრულებისთვის თითოეულ ჯგუფს ურიგდება თავისი დავალება. მასწავლებელი მიუთითებს, რომ ჯგუფებმა პასუხისთვის უნდა გამოიყენონ ისტორიული დოკუმენტები და სხვა საინფორმაციო მასალები, გამოიტანონ დასკვნები და გააცნონ ისინი დანარჩენ მოსწავლეებს. ეს დოკუმენტებია: ა) გერმანიის

ახალი ცოდნის ფორმირების ეტაპი – „1946 წელს დიდი ბრიტანეთის მინისტრმა უ. ჩერჩილმა ქ. ფულტონში კონფერენციაზე გამოსვლისას აღნიშნა: „რკინის ფარდა დაეშვა მთელ კონტინენტზე... ამ ხაზზე მდებარეობს... ვარშავა, ბერლინი, პრაღა... ამ სფეროს მე დავარქმევდი „საბჭოთა სფეროს“.

აქტივობის შედეგი: საკითხი აქტუალურია თანამედროვე პოლიტიკური პროცესების უკეთ გააზრებისთვისაც;

III **კონფლიქტური სიტუაციის შექმნა** – გერმანია II მსოფლიო ომის შემდეგ გაიყო 4 საოკუპაციო ზონად. პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, ისინი ატარებდნენ დემილიტარიზაციის და დემოკრატიზაციის პოლიტიკას. სსრ კავშირსა და ყოფილ მოკავში-

პრობლემური დავალებები გულისხმობს იმ ინტელექტუალურ დავალებას, რომლის შესრულებითაც მოსწავლემ უნდა შეძლოს გარკვეული კვლევითი საქმიანობის ჩატარება, ხოლო შესაფერისმა მეთოდურმა მიდგომებმა უნდა უზრუნველყოს ამ საქმიანობის წარმატება.

რეებს შორის (ინგლისი, აშშ და საფრანგეთი) წარმოიშვა კონფლიქტი დასავლეთ ბერლინთან დაკავშირებით. თანდათან, წინააღმდეგობის გამწვავების შედეგად, ჯერ საელჩოები გააუქმეს, ბერლინის კრიზისის შემდეგ კი გერმანია შუაზე გაყვეს. დასავლეთი ბერლინი, რომელიც მდებარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიაკუთვნეს.

შეკითხვები:

- რომელი ტერიტორია შევიდა სსრ კავშირის ზონაში? როგორ წარმოიქმნა „ორი“ გერმანია?
- როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ბერლინის კრიზისი? განიხილეთ ბერლინის კედლის საკითხი ორივე მხრიდან. რაშია განსხვავება? რატომ ფიქრობთ ასე?

IV **პრობლემური სიტუაციის შექმნა და პრობლემის ფორმირება** – „რატომ გახდა შესაძლებელი 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევა? რამდენად შეესაბამებოდა გერმანიასა და მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს?“

V **პრობლემური სიტუაციის საფუძველზე მოსწავლეები წამოაყენებენ ჰიპოთეზებს:**

- „ჩერჩილის სიტყვა გახდა ცივი ომის დასაწყისი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის“;
- „ის მიუთითებდა საზღვარზე, რომელიც ევროპაში საბჭოთა კავშირმა ჩამოუშვა და სიმბოლურად, იდეოლოგიურად და ფიზიკურად ყოფდა ევროპას ორ ნაწილად“;
- „პიროვნებები ცვლიან ისტორიას“.

VI გადაწყვეტილების მიღების **ეტაპზე მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, უპასუხონ შეკითხვას:**

- „რა გახდა ომის დამთავრების შემდეგ ახალი ტიპის ომის დაწყების მიზეზი?“ **გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები** (მიზეზი გახდა დასავლეთი და აღმოსავლეთი ევროპის განსხვავებული იდეოლოგია და შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუციები, რომელთა არსებობითაც გამოწვეული იყო პირთა გარკვეული ქმედებები);
- **და გადაწყვიტონ პრობლემა** (გერმანიის გაერთიანება მოხდა მშვიდობიანი შეთანხმების გზით).

VII **ამის შემდეგ მასწავლებელი შეაფასებს მოსწავლეებს; მისცემს საშინაო დავალებას და განსაზღვრავს შემდგომ შემოქმედებითი ხასიათის სამუშაოს:** „ევროპა ოცი წლის შემდეგ“;

VIII **რეფლექსია** („მიუხედავად სირთულეებისა, გერმანია, რომლის ირგვლივ განვითარდა მეოცე საუკუნის უმნიშვნელოვანესი და საოცრად რთული პოლიტიკური მოვლენები, ლამაზი ქვეყანაა და იმისათვის, რომ მასზე სწორი შთაბეჭდილება დარჩეთ მოსწავლეებს, შესთავაზებს ვიდეორგოლს/სლაიდშოუს გერმანიის კულტურის ძეგლების შესახებ, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენენ).

ისტორიის გაკვეთილზე პრობლემური სწავლების წინ წამოწევით მოსწავლეთა ცოდნის დონე, ინფორმაციის ანალიზისა და აზროვნების კულტურა გაცილებით იზრდება, მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა სიტუაციაში გადაწყვეტილების მოძიების გზებს და უვითარდებათ შემოქმედებითი და კვლევითი, დამოუკიდებელი მუშაობისა და ზოგადკომუნიკაციური უნარები, რითაც მიიღწევა კიდეც გაკვეთილის ძირითადი მიზანი. ამიტომ ამგვარი მეთოდური მიდგომების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში და, ზოგადად, ჰუმანიტარული ციკლის ყველა საგნის სწავლებაში სასურველი და მისასალმებელია.

თამარ მოსიაშვილი

სკოლა და ევროკავშირის საგზაო რუკა

შესავალი

ადვილია შეთანხმების მიღწევა იმ საკითხზე, რომ განვითარებული ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა ნიშნავს 2100 საჯარო სკოლის კარგ ინფრასტრუქტურას, სკოლაში დასაქმებულ პროფესიონალ მასწავლებლებს, მოსწავლეზე ორიენტირებულ სასკოლო კულტურას, სკოლის ეფექტურ მენეჯმენტსა და ეკონომიკურად დაწინაურებულ საზოგადოებას.

სკოლების ავტონომიურობის შესახებ დისკუსიები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარეობს. საქართველო გამონაკლისი არ არის.

წარმოდგენილი სტატია მიზნად არ ისახავს ახალი მიგნების დემონსტრირებას ან რაიმე აღმოჩენის გაკეთებას. მისი მიზანია ახალი გამოწვევების ფონზე სკოლების ავტონომიურობის შესახებ დისკუსიის გააქტიურება.

2005 წლის 8 აპრილს ამოქმედდა კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მისი მთავარი სულისკვეთება სკოლების ავტონომიურობა იყო. ამ მიზნით 2005 წელს სკოლას მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და დიდი ავტონომია. თუმცა ნაბიჯ-ნაბიჯ გატარებულმა ცვლილებებმა სკოლების ავტონომიურობას მყარი საფუძველი გამოაცალა. ცვლილებების მიუხედავად, სკოლა დღესაც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომლის მმართველობაც მონაწილეობით პრინციპზეა აგებული. არსებობს თვითმმართველი სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა. თუმცა თვითმმართველობები სუსტია და ვერ ხერხდება მონაწილეობაზე დაფუძნებული მმართველობის ეფექტური ამოქმედება.

სკოლის ავტონომია

სკოლებს, უნივერსიტეტებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ ჯგუფებს შორის ეფექტურ თანამშრომლობაზე საუბარი რთულია, თუ არ განვიხილავთ სკოლას როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც უფლება აქვს, ითანამშრომლოს სხვა ორგანიზაციებთან. ამ თანამშრომლობის რეალიზების საფუძველი კი სკოლების ავტონომია და განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის ხარისხია.

სკოლების ავტონომიურობაში ვგულისხმობთ მათ გათავისუფლებას ცენტრალიზებული და ბიუროკრატიული კონტროლისგან.

სკოლები შეიძლება ავტონომიურები იყვნენ: მართვაში, კურიკულუმის შემუშავებასა და ბიუჯეტის შედგენაში.

მკვლევრები სხვადასხვა გზით ზომავენ სკოლების ავტონომიურობას. მაგალითად, ერიკ ჰანუშეკი (Eric A. Hanushek, 2011) გვთავაზობს ასეთ მოდელს:

სკოლების ავტონომიურობის ხარისხის შეფასებისას მნიშვნელოვანია, რამდენიმე კითხვას გაეცეს პასუხი: 1. ვინ იღებს გადაწყვეტილებას, რომელი

სკოლის ავტონომიურობას სახელმწიფოში არსებული კანონები განსაზღვრავს. ქვეყნებს აქვთ დამტკიცებული სტანდარტები, ეროვნული შეფასებისა და ანგარიშვალდებულების სისტემები; მარკვეულია, რა გადაწყვეტილებების მიღებაა შესაძლებელი სკოლის დონეზე.

საგნები/კურსები ისწავლონ სკოლაში? 2. ვინ საზღვრავს კურსის შინაარსს? 3. ვინ ირჩევს სახელმძღვანელოებს? 4. ვინ ქირაობს მასწავლებლებს? 5. ვინ იღებს გადაწყვეტილებას მასწავლებლების ანაზღაურების შესახებ? 6. ვინ გეგმავს სკოლის ბიუჯეტს?

გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლები შეიძლება იყვნენ: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი ნახევრად ავტონომიური სსიპ-ები და სკოლა, სკოლაში კი, მონაწილეობითი მმართველობის დროს – დირექტორი, კათედრა, მასწავლებლები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ზოგიერთი კვლევის შედეგის მიხედვით, ავტონომიურობა ეფექტურია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო განუვითარებელი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ავტონომიურობა ნეგატიურად მოქმედებს მოსწავლეთა მიღწევებზე, განსაკუთრებით – თუ სკოლებს საგნის აკადემიურ შინაარსზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება აქვთ. აკადემიურ შინაარსზე პასუხისმგებლობა გულისხმობს პერსონალურ ავტონომიურობას და ნაკლებად უკავშირდება სკოლის მართვის სხვა ასპექტებზე პასუხისმგებლობის დელეგირებას (ჰანუშეკი, 2011).

როდესაც სკოლების ავტონომიურობაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ ორ უკიდურესობაზე არ უნდა ვიფიქროთ, კერძოდ: ა) სკოლას აქვს სრულად დელეგირებული უფლებები, შეუძლია კურიკულუმის შედგენა, სახელმძღვანელოების შერჩევა, პერსონალის დაქირავება, შეფასების კომპონენტების განსაზღვრა, მასწავლებლის შეფასება; ბ) ცენტრალური ხელისუფლება საზღვრავს ყველაფერს და სკოლებს ხისტ ინსტრუქციებს უწესებს.

განათლების პოლიტიკის მოქმედ დოკუმენტებში არის მცდელობა, ხაზი გაესვას დეცენტრალიზაციის ნიშას, თუმცა რეგულირებული განათლების სისტემისა და ნაკლებად ავტონომიური სკოლის პირობებში ეს ნიშა უფერული ან უხილავია.

რატომ უნდა გაიზარდოს სკოლის ავტონომიურობა?

ავტონომიურობის შესახებ დისკუსიები მიმდინარეობს როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. დეცენტრალიზაციის მომხრეთა მთავარი არგუმენტი ისაა, რომ სკოლებმა უკეთ იციან საკუთარი საჭიროებები და შესაძლებლობები, ასევე – ის მოთხოვნები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს. ამიტომ სკოლებში მიღებული გადაწყვეტილებები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ცენტრალიზებულად მიღებული ინსტრუქციები. ცენტრალიზაციის მომხრეთა მოსაზრებით კი, ცალკეული სკოლის მიერ მიღწეული შედეგები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ქვეყნის მიერ დასახულ მიზნებს.

საზოგადოება ჯერ უნდა შეთანხმდეს, უნდა თუ არა ძლიერი ავტონომიურობის მქონე სკოლები და შემდეგ იმსჯელოს, რა სახის ძალაუფლების დელეგირება უნდა მოხდეს სკოლის დონეზე. სკოლის ავტონომიურობის გაძლიერება გულისხმობს სკოლების მხრიდან იმ ტვირთისა და პასუხისმგებლობის ზიდვას, რასაც სასკოლო შედეგები ჰქვია. დღეს ამ შედეგებზე პასუხისმგებლობა აქვს მას, ვის ხელშიცაა სკოლების ადამიანური რესურსების მართვა, კურიკულუმის შინაარსის შედგენა, სკოლის ბიუჯეტის განსაზღვრა.

სკოლის ავტონომიურობას სახელმწიფოში არსებული კანონები განსაზღვრავს. ქვეყნებს აქვთ დამტკიცებული სტანდარტები, ეროვნული შეფასებისა და ანგარიშვალდებულების სისტემები; გარკვეულია, რა გადაწყვეტილებების მიღებაა შესაძლებელი სკოლის დონეზე.

სკოლის ავტონომიურობის დაკავშირება მოსწავლეთა მიღწევებთან რთულია. მკვლევრებს ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. OECD-ის მიერ 2012 წელს გამოქვეყნებულ საერთაშორისო შეფასების (PISA) ანგარიშში ნათქვამია, რომ მოსწავლეებს მაღალი მიღწევები აქვთ იმ ქვეყნებში, სადაც რესურსები თანაბრადაა გადანაწილებული. ამ ქვეყნებში სკოლებს აქვთ კურუკულუმისა და შეფასების სეგმენტში მაღალი ავტონომიურობა. ცხადია, მოსწავლის წარმატებაზე გავლენას სხვა ფაქტორებიც ახდენს, მაგალითად, სკოლის ანგარიშვალდებულების მექანიზმები, მასწავლებლისა და სკოლის დირექტორის თანამშრომლობა, მასწავლებლის დაქირავება და სხვ.

სკოლების ავტონომიურობაზე მსჯელობის დროს, საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად, ოპონენტებს მოჰყავთ ფილოსოფიური და იდეოლოგიური არგუმენტები. პროფესიულ და სოციალურ მედიაში ამ თემაზე გამართულ დისკუსიებში ნაკლებად ისმის სასკოლო საზოგადოების, მშობლის ხმა, რომლის უპირველეს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს ძლიერი და განვითარებული სკოლა.

ვის წინაშეა სკოლა ანგარიშვალდებული?

სკოლას უწევს ანგარიშის ჩაბარება სახელმწიფო უწყებებთან. ადმინიტრაციის წარმომადგენლები და მასწავლებლები გზავნიან ანგარიშს საკუთარი საქმიანობის შესახებ სახელმწიფო უწყებებში, თუმცა ადგილობრივი საზოგადოება ნაკლებად იცნობს სკოლის მიღწევებსა და პრობლემებს. არადა, სწორედ თემშია ის რესურსები, რომელთა დახმარებით სკოლა ზოგიერთი პრობლემის მოგვარებას შეძლებს.

სტატიის დაწერამდე საჯარო სკოლის რამდენიმე ვებგვერდსა და ბლოგს გადავხედე. ვერ ვიპოვე სკოლის ყოველწლიური ანგარიშები. რა იცის ადგილობრივმა საზოგადოებამ სკოლის პრობლემების შესახებ? იცის, რატომ ვერ აგვარებს პრობლემას? რატომ არ არის ისტორიის კაბინეტში პროექტორი ან ქიმიის კაბინეტში ლაბორატორია? ვინმემ იცის, რა წიგნებით გამდიდრდა სასკოლო ბიბლიოთეკა და რა წიგნებს კითხულობენ ბავშვები? რა ინფორმაციას უზიარებს სკოლა საზოგადოებას, რითია განსაკუთრებული კონკრეტული სკოლა?

კერძო სკოლის ვებგვერდები კი უფრო სრულყოფილად ასახავს სასკოლო ცხოვრებას, მნიშვნელოვან მიღწევებს. ძლიერია მარკეტინგული გზავნილებიც. კერძო სკოლა მეტადაა ორიენტირებული მშობელსა და საზოგადოებაზე, ვიდრე საჯარო.

კერძო სკოლები იწვევენ საზოგადოების წარმომადგენლებს, მასპინძლობენ მასწავლებლების მასტერკლასებსა თუ კონფერენციებს, უზიარებენ გამოცდილებას საზოგადოებას. მათი ამგვარი აქტიურობა მხოლოდ მეტი ფინანსური რესურსით არ აიხსნება. ამ სკოლებს მეტი ავტონომიურობა აქვთ და უფრო სწრაფად და ეფექტურად იღებენ გადაწყვეტილებებს.

კერძო სკოლები იწვევენ საზოგადოების წარმომადგენლებს, მასპინძლობენ მასწავლებლების მასტერკლასებსა თუ კონფერენციებს, უზიარებენ გამოცდილებას საზოგადოებას. მათი ამგვარი აქტიურობა მხოლოდ მეტი ფინანსური რესურსით არ აიხსნება. ამ სკოლებს მეტი ავტონომიურობა აქვთ და უფრო სწრაფად და ეფექტურად იღებენ გადაწყვეტილებებს.

ევროკავშირის საგზაო რუკა

სკოლების ავტონომიურობის საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული ვექტორი.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოსა და მის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემას. ეს ხელშეკრულება და ევროპასთან დაახლოების საგზაო რუკა აღწერს იმ გზას, რაც ერთად უნდა გავიაროთ ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერების მიმართულებით.

2013 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა ევროკავშირის საგზაო რუკა – სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის სახელმძღვანელო. სახელმძღვანელო შემუშავდა „სამოქალაქო საზოგადოების თაობაზე ევროკავშირის კომუნიკეს“ პრიორიტეტების გათვალისწინებით. ეს პრიორიტეტებია:

- პარტნიორ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ხელშეწყობის ძალისხმევის გაძლიერება;
- პარტნიორი ქვეყნების საშინაო პოლიტიკაში, ევროკავშირის პროგრამების ციკლსა და საერთაშორისო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აზრიანი და სტრუქტურირებული თანამონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მათი, როგორც განვითარების პროცესებში დამოუკიდებელი აქტორების, როლის შესრულების შესაძლებლობის გაძლიერება.

საგზაო რუკაში მოცემულია ის შედეგები, რომლებსაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს 2014-2017 წლებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი სამოქალაქო განათლების პრაქტიკული ასპექტების გაძლიერებაა. ამ მიზნით სასურველია, გაიზარდოს იმ სკოლების რაოდენობა, რომლებიც თანამშრომლობენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მოსწავლეებმა სკოლის ასაკიდანვე უნდა შეძლონ მოხალისეობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, უნდა გაძლიერდეს სამოქალაქო ჩართულობა და თემების განვითარება.

როგორაა შესაძლებელი სკოლაში სამოქალაქო განათლების პრაქტიკული ასპექტების გაძლიერება? ცხადია, სკოლა მარტო ვერ განახორციელებს ცვლილებებს ამ მიმართულებით. სკოლებსა და უნივერსიტეტებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება შესაძლებელია თემსა და სკოლაში ერთობლივი პროექტების განხორციელებით. ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სკოლასა და თემში არსებული პრობლემების ერთობლივად მოგვარებას.

სკოლების გაძლიერება შეუძლებელია კრიტიკული დისკუსიის გარეშე. მნიშვნელოვანია ამ დისკუსიაში საზოგადოების ყველა სექტორის მონაწილეობა. ხიდჩატეხილობა სკოლას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ბიზნესს შორის უნდა დამთავრდეს. თუ გვინდა ჩვენს ქვეყანაში ძლიერი სკოლები, მაშინ პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ მათ გაძლიერებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევროკავშირის საგზაო რუკები სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობისათვის 2014 – 2017 წწ. სახელმძღვანელო http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/civil_society_library/eu_roadmap_georgia.pdf
2. „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“
3. http://www.oecd.org/pisa/keyfindings/pisa-2012-results-volume-IV.pdf PISA 2012 Results: What Makes Schools Successful? Resources, Policies and Practices Volume IV
4. Does School Autonomy Make Sense Everywhere? Panel Estimates from PISA Eric A. Hanushek Hoover Institution, Stanford University, CESifo and NBER Susanne Link University of Munich and ifo Institute Ludger Woessmann University of Munich, ifo Institute, CESifo and IZA Discussion Paper No. 6185 December 2011
5. Child friendly schools, Chapter 4, School and community, UNICEF, 2009

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

შეცდომების მდინარე

ირმა ტაველიძე

ერთხელ წიგნის თარგმნისას ისეთი შეცდომა დავუშვი, რომელიც თავზარდამცემი სიცხადით მიუთითებდა არა მხოლოდ მთარგმნელის უმეცრებაზე, არამედ ამ საქმიანობისთვის მისი ჩამოშორების აუცილებლობაზეც. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ მიწას ურმით არ ხნავენ, მაგრამ, რატომღაც, სწორედ ასე დავწერე და შეუსაბამობა არც წინადადების გამართვისას მომხვედრია თვალში. ფრანგული სიტყვის ქართული შესატყვისის ძებნისას წარმოსახვაში გაჩენილ სურათ-ხატს ენაზე მომდგარი სიტყვა გადაეფარა და ძიების გაგრძელებაზე ხელი ამაღებინა. მიწას ურმებით ხნავდნენ-მეთქი. თავის მართლებას არ მოვყვები, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში „ურემსა“ და „გუთანს“ აღარ ვხმარობთ, რომ ისინი ჩვენი ყოფის განუყოფელ ნაწილს აღარ წარმოადგენენ… არ უნდა დამვიწყებოდა. მართალია, ერთიც და მეორეც მხოლოდ ილუსტრირებულ წიგნებსა და ისტორიულ ფილმებში მინახავს, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ასეთი შეცდომების დაშვებისას გამაოგნებელი სწორედ ისაა, რომ წამიერად ბრმავდები და ყველაზე იოლად გასარჩევ ობიექტებსაც კი ველარ ხედავ. გრძნობის ორგანოები, გონება, ენა – თითქოს პირი შეკრესო, რაღაც სასტიკ თამაშში გითრევენ.

ყოველდღიურ საუბრებში მექანიკური შეცდომის სახელით ვიხსენიებთ იმას, რისი მაგალითიც ზემოთ მოვიყვანე. ეს არაფერს ცვლის. რა სახელიც უნდა დავარქვათ, შეცდომა შეცდომაა. მექანიკურად მოუვიდაო, პოლიტიკოსებზე ამბობენ ხოლმე – ძირითადად, ორაზროვნად.

არსებობს უხეში, ყოველმხრივ გაუმართლებელი, სრულიად უპატიებელი შეცდომებიც – წიგნებშიც და ცხოვრებაშიც.

ალბათ არაფერია ადამიანისთვის იმაზე ბუნებრივი, რომ ცდებოდეს. ეს მისი უფლებაცაა, ბედისწერაც, უბრალო ყოველდღიურობაც. თანამედროვეთაგან ყველაზე დიდი ამერიკელი მწერლის, ფილიპ როთის რომანში „ამერიკული პასტორალი“ ვკითხულობთ: „ვცდებით და ამით ვხვდებით, რომ ცოცხლები ვართ“. ვცდებით, მაშასადამე, ვარსებობთ.

მაშ, რატომღაა თავზარდამცემი თითოეული შეცდომის გაცნობიერება? იმიტომ ხომ არა, რომ არავინ გვასწავლა, რა ფასი აქვს თითოეულ მცდარ ნაბიჯს, მცდარ პასუხს, არასწორად არჩეულ მიმართულებას ,ზოგადად, ადამიანის არსებობისთვის? არავინ გვითხრა: გიყვარდეთ თქვენი შეცდომები, რადგან ისინი თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. არავინ გაგვაფრთხილა: თქვენ უმთავრესად წყლისა და შეცდომებისგან შედგებით, სხვადასხვა შემთხვევაში – სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლით.

წამიკითხავს სტატიები, რომელთა ავტორებიც – ქართველი თუ უცხოელი მკვლევრები, განათლების სფეროს ექსპერტები – ამ თემას უტრიალებენ, აფასებენ საგანმანათლებლო პროცესის დროს შეცდომების დაშვების ალბათობასა თუ მათგან მიღებულ სარგებელს. ბოლო ათწლეულებში დამოკიდებულება შეიცვალა და მოსწავლეს აღარ აქვს – დიდი ალბათობით, აღარ

გაგრძელება მომდევნო გვერდზე

წინა გვერდიდან

უნდა ჰქონდეს – ისეთი განცდა, რომ მცდარი პასუხისთვის ან უნებლიე უზუსტობისთვის ეშაფოტი ელის.

მე ეს განცდა მქონდა. რაც მართალია, მართალია.

ალბათ ამიტომაც ვიგრძენი სრული სასოწარკვეთა სკოლის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ, როცა გავაცნობიერე, რამდენად საბედისწერო შეცდომა დავუშვი. ასეთი მთარგმნელისთვის ყველა სასჯელი მცირეა – მხოლოდ მიწას თუ ახვნევინებ ურმით. ფრანგული სიტყვის ქართული შესატყვისი – „გუთანი“ უცებ, გაუფრთხილებლად, აღსასრულის მაუწყებლად მომადგა ენაზე. წიგნის თარგმანი გამომცემლობაში უკვე გაგზავნილი მქონდა – გამოსაცემად ამზადებდნენ. შეცდომის გამოსწორება – სიტყვების შეცვლა მოვასწარი, რაც ნიშნავს, რომ ამ ამბავს კეთილი დასასრული აქვს, მაგრამ სინამდვილეში არც არაფერი დასრულებულა.

ვის შეუძლია თქვას, შეცდომების მდინარიდან მშრალი გამოვედიო?

სკოლა – ისეთი, როგორიც მახსოვს – აღრმავებდა და აღრმავებდა სწავლის დაწყებისთანავე გაჩენილ დანაშაულის განცდას. ყველაზე დიდი დანაშაული იყო, რომ ის იყავი, ვინც იყავი და ამდენად, აუცილებლად ჩაიდენდი რაღაც ცუდს, რომელიღაც წესს დაარღვევდი, შენი რომელიღაც ქმედება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდებოდა, რომელიღაც საქციელი – ყოველმხრივ დასაგმობი. არავინ ამბობდა, რომ ასეც უნდა მომხდარიყო; რომ, მართალია, პატარა, მაგრამ მაინც ადამიანი იყავი და უამრავი მექანიკური, უხეში, ძნელად საპატიებელი, სასაცილო თუ სატირალი შეცდომის დაშვების უფლება გქონდა.

საკუთარი თუ სხვისი შეცდომების მიმართ ასეთი დამოკიდებულება სულაც არ გულისხმობს მათ გააზრებასა და შეფასებაზე უარის თქმას. ეს, უბრალოდ, იმ მოცემულობის მიღება და გათავისებაა, რომ ამგვარია ჩვენი ბუნება – წყალზე სიარული არ შეგვიძლია, არც – შეცდომების გარეშე არსებობა, არც – ყოველთვის სწორი გადაწყვეტილების მიღება, სწორი სიტყვების პოვნა.

არ დამვიწყებია, რომ ამ ტექსტს მასწავლებლების ინტერნეტჟურნალისთვის ვწერ.

და ვის უჭირს ყველაზე მეტად საკუთარი შეცდომების აღიარება?

და ვინ იცის, რომ ყველაფერი იცის?

ლევან ლორთქიფანიძე

„მე და საზოგადოების“ დასაცავად

მეექვსე წელია, უნივერსიტეტში ვსწავლობ. მთელი ამ დროის განმავლობაში საქართველოს განათლების ყველა მინისტრის რადიკალურ ოპონენტად მიმაჩნდა თავი. ჩემი პოზიციები დღემდე უცვლელია. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე განათლებისა და მეცნიერების სისტემის რომელიმე პირველ პირს საკუთარი გადაწყვეტილების ბოლომდე დაცვისა და მტკიცე მოქმედებისკენ მოვუწოდებდი. ეს დღეც დადგა.

ცოტა ხნის წინ განგსტერული კაპიტალიზმის პოსტსაბჭოურ ეპოქაში გამდიდრებულმა ერთ-ერთმა ქართველმა მულტიმილიონერმა ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ნაწილი ახალი საგნის დამკვიდრების წინააღმდეგ დარაზმა და აღშფოთებულ ხალხს საკუთარ პეტიციაზე მოაწერინა ხელი. მომხრეებს პეტიციის ინიციატორმა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დაწერილი სახელმძღვანელო წარუდგინა და წიგნი განათლების სამინისტროს მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ მასალად გამოაცხადა. ცხადია, მან იქვე აღნიშნა, რომ ახალი საგნის დანერგვით სახელმწიფო „ანტიეროვნული“ და „ანტიქართული“ იდეების მასობრივ გავრცელებას ისახავს მიზნად. თურმე, სოციალური მეცნიერებების საფუძვლების სწავლება დაანგრევს ტრადიციულ ოჯახს და დამატებით ფუნქციას შესძენს ტოტალიტარულ სახელმწიფოს, რომლის ერთადერთი მოვალეობა, წესით, მხოლოდ მილებისა თუ გზების დაგება უნდა იყოს.

საგნის „მე და საზოგადოება“ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანის საწინააღმდეგო მეორე არგუმენტად საგაკვეთილო ცხრილებში სხვა დისციპლინებისათვის (მაგალითად, მათემატიკისათვის) გამოყოფილი დროის შემცირებას ასახელებენ. თითქოს საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლით სხვა დარგების სწავლების ხარისხი გაუარესდება.

ჩვენმა დამსახურებულმა მომღერლებმა, საბჭოთა დოცენტებმა, უსამართლოდ დავიწყებულმა მწერლებმა და ადამიანებმა, რომელთა ღირსებაც მხოლოდ და მხოლოდ თბილისში დაბადებით განისაზღვრება, უსიტყვოდ, წაკითხვის გარეშე მოაწერეს ხელი პეტიციას. წარსულში მათი უდიდესი უმრავლესობა (და არა ყველა) წინააღმდეგობის გარეშე ემორჩილებოდა პარტიულ დირექტივებს. დღეს კი პარტია მდიდარმა ადამიანებმა ჩაანაცვლეს, ურთიერთობისა და დაქვემდებარების ტრადიციული ფორმები კი სრულიად უცვლელად შემოგვრჩა.

შევეცდები, თქვენი ყურადღება გავამახვილო რამდენიმე გარემოებაზე, რომლებიც სოციალური მეცნიერებების სწავლების

წინააღმდეგ ატეხილი აჟიოტაჟის სიყალბესა და სიმცდარეზე მიგვანიშნებს.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახალი საგნის შეტანა ურთულეს პროცედურებთან არის დაკავშირებული. თავდაპირველად რამდენიმე თვის განმავლობაში მუშავდება საგნის სტანდარტი. სტანდარტის დახვეწის პროცესში ჩართულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ჯგუფები, განათლების დარგის ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები. დისციპლინის შინაარსს ერთპიროვნულად ვერავინ განსაზღვრავს, მათ შორის – ვერც განათლების სამინისტრო. შემდგომ ეტაპზე ხდება სახელმძღვანელოს ერთი ან რამდენიმე ვარიანტის მომზადება, მათი განხილვა. სახელმძღვანელო გადის გრიფირებას, რაც ასევე დამატებითი კონტროლის მექანიზმია საგნის კონტექსტის გასააზრებლად. გრიფირების შემდეგ ხდება მასწავლებლისა და მისი მეთოდური თუ სხვა ტიპის გზამკვლევების მომზადება. თუმცა, ამითაც არ მთავრდება ყველაფერი. შესრულებული სამუშაოს შედეგის ტესტირებისა და აპრობაციის გარეშე დისციპლინის დანერგვა მაინც ვერ მოხდება.

ამ დრომდე მხოლოდ საგნის სტანდარტის მონახაზია მზად. არც ერთი სხვა პროცედურა ჯერ არ დაწყებულა, პროცესების დასრულებაზე საუბარიც კი ზედმეტია. შესაბამისად, რომელიღაც არასამთავრობოს მიერ მომზადებული, გრიფის არმქონე კრებულით მანიპულირება ჩვეულებრივი ყალთაბანდობაა და მეტი არაფერი.

განვიხილოთ საგნის შინაარსის რამდენიმე ძირითადი დეტალიც. რა არის ცუდი იმაში, თუ მესამე- და მეოთხეკლასელი მოსწავლეები გაიგებენ საქართველოს კონსტიტუციაში გაცხადებული ძირითადი ღირებულებების შესახებ? გაიგებენ იმას, რომ საქართველოში მხოლოდ მდიდარი ქართველი ფსევდორელიგიური მეწარმეები არ ცხოვრობენ და სხვებსაც აქვთ არსებობისა თუ წარმატების უფლება? ვფიქრობ, არც იმით დაშავდება რამე, თუ მოსწავლეებს ექნებათ ცოდნა ძალადობის გავრცელების შესაფერხებლად და საკუთარი ან ირგვლივ მყოფთა სიცოცხლის გადასარჩენად. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ჰიგიენური ნორმების დაცვის პოპულარიზება სრულიად უსაფრთხოა უმცროსკლასელთათვის. არავინ აპირებს მოსწავლეებისა და მათი ოჯახების არჩევანის იგნორირებას.

ძალიან სამწუხაროა ისიც, რომ მოქალაქეთა ნაწილი სოციალური მეცნიერებებისადმი რეპრესიულ განწყობას ინარჩუნებს. ადამიანის ქცევისა და საზოგადოებაში თანაცხოვრების შემსწავლელი დარგების მიმართ რეპრესია საბჭოთა კავშირს მაგონებს. მხოლოდ საბჭოთა პარტიული მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ლენინიზმის გარდა არც ერთ სხვა თეორიას არსებობის უფლება არ ჰქონდა. მხოლოდ ისინი ებრძოდნენ საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარებას და მათ არასრულყოფილ დისციპლინებად განიხილავდნენ. ჩვენდა სასიხარულოდ, მანკიერი მიდგომების ეპოქა დამთავრდა. დღეს პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, კულტუროლოგია და საზოგადოებრივი გეოგრაფია კვლევის ჩვეულებრივ, დოგმებისგან თავისუფალ, სხვა დარგებთან გათანაბრებულ მიმართულებებად ითვლება. როგორც ალგებრის შესწავლაა შეუძლებელი არითმეტიკისა და გამრავლების ტაბულის გარეშე, ასეთივე წინაპირობები სჭირდება ჩვენი მეცნიერებების უკეთ დაუფლებასაც.

ჩემმა სოციოლოგიის ლექტორმა მასწავლა, რომ ადამიანის მიერ ღირებულებების ათვისებისა და ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბების პროცესს სოციალიზაცია ეწოდება. ქ-ნმა ნათელამ ისიც მითხრა, რომ სოციალიზაციის ძირითად აქტორებად მედია, სკოლა, ოჯახი და თანატოლთა წრე გვევლინებიან ხოლმე. ყველამ გადასარევად ვიცით, თუ როგორი ხარისხის სტანდარტს გვთავაზობს დღეს ქართული მასმედია. ბევრი ჩვენგანი ამჩნევს გაჭირვებული და გაღატაკებული ოჯახების ყოველდღიურ ყოფას, სადაც ფიზიკური არსებობისათვის მებრძოლ მშობლებს საკმარისი რესურსები აღარ რჩებათ შვილებისათვის. თანატოლთა შორის სოციალური ფონი საერთოა. ერთადერთი აქტორი, რომელსაც კონსტიტუციის (და არა ლიბერალიზმის ან რომელიმე სხვა იდეოლოგიის) ღირებულებებისადმი პატივისცემისა და სოციალური მეცნიერებების საფუძვლების სწავლება და გავრცელება შეუძლია, სახელმწიფო გახლავთ. ნუ შევუშლით ხელს სახელმწიფოს, ჯობს, დავეხმაროთ მას.

ნინია მაჭარაშვილი

ინტროვერტების „მშვიდი ძალა“

სიუზენ კეინის „ინტროვერტების მშვიდი ძალა“ იმ წიგნთაგანია, რომლებზეც საუბარი არ წყდება. მისი ფოტო ჟურნალ TIME-ის გარეკანზე დაიბეჭდა, ხოლო თავად წიგნს, მერამდენე თვეა, წამყვანი პოზიცია უკავია New York Times-ის ბესტსელერთა სიაში. TED Talks-ზე ვიდეო წიგნის შესახებ 13 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა ნახა.

„ბავშვები ამ ამბის მთავარი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილები არიან“, – ამბობს კეინი. ინტროვერტები, შესანიშნავი, განათლებული, ნიჭიერი და საყვარელი ბავშვები, გამუდმებით გრძნობენ, რომ მათ თავს რაღაც ვერ არის რიგზე. წიგნის ავტორის მიზანი ის იყო, უფროსებს მეტი გაეგოთ ინტროვერტების შესახებ და ასეთ ბავშვებს აღარ ჰქონოდათ პრობლემები, რომლებსაც დღეს ეჯახებიან.

რას ნიშნავს ინტროვერტობა, როგორია ინტროვერტი ბავშვი?

თანატოლებს ინტროვერტი ბავშვი სრულიადაც არ მიაჩნიათ განსხვავებულად. განსხვავებას ხშირად მხოლოდ უფროსები ხედავენ. ინტროვერტები თავიანთ მაქსიმალურ შესაძლებლობას შედარებით მშვიდ, წყნარ გარემოში ამჟღავნებენ. იქვე გრძნობენ თავს ყველაზე კომფორტულად. სწორედ ესაა განსხვავება ინტროვერტებსა და ექსტრავერტებს შორის. უფრო ზუსტად რომ ავხსნათ, მათ სხვადასხვანაირი ნერვული სისტემა აქვთ. ინტროვერტები საუკეთესოდ გრძნობენ თავს, როცა ირგვლივ სიმშვიდეა და არა ქაოსი, ურჩევნიათ, მშვიდ გარემოში ხატვით ან ერთ-ორ მეგობართან ერთად საყვარელი სპორტით შეიქციონ თავი, ხოლო ექსტრავერტებს ხალხმრავალი ადგილები უფრო იზიდავთ. დაბადების დღეზე უამრავი ხალხის დაპატიჟება და გართობა მათთვის საუკეთესო სტიმულატორი და მოტივატორია.

დასასრული მომდევნო გვერდზე

▶ წინა გვერდიდან

რა საერთო აქვს ინტროვერტობასა და სიმორცხვეს?

ეს ორი სრულიად სხვადასხვა რამაა. სიმორცხვე გახლავთ განსჯის, შეფასების შიში. ეს არის ქცევა, როცა ადამიანს არ სურს, სხვების ყურადღება მიიპყროს და მათი ესა თუ ის შეფასება დაიმსახუროს. ბევრი ინტროვერტი ბავშვი სინამდვილეში სულაც არ არის მორცხვი და პირიქით, შესაძლოა, ექსტრავერტი მორცხვი იყოს. როცა ექსტრავერტი ბავშვები მორცხვობას სძლევენ, ისინი თავიანთი თემის, ჯგუფის, მეგობრების წრის ეპიცენტრში ექცევიან. ასე რომ, ბავშვთან მუშაობის დროს უმნიშვნელოვანესია, კარგად გავარკვიოთ, რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ის და ერთმანეთში არ ავურიოთ ინტროვერტობა, ექსტრავერტობა და მორცხვობა.

გრძნობენ თუ არა ინტროვერტი ბავშვები სკოლაში თავს კომფორტულად?

უამრავი სკოლა მონდომებით ეძებს ინფორმაციას იმის თაობაზე, როგორ მიუდგნენ ინტროვერტ მოსწავლეებს, რათა მათ თავი კომფორტულად იგრძნონ. ისინი სვამენ კითხვებს: როგორ გავუჩინოთ ინტროვერტს მოტივაცია, აქტიურად ჩაერთოს საკლასო მუშაობაში? ხომ არ შევცვალოთ სწავლების მეთოდები? ზედმეტ უპირატესობას ხომ არ ვანიჭებთ მოსწავლეებს, რომლებსაც გაკვეთილზე ხელი სულ აწეული აქვთ და საპასუხოდ მზად არიან? რა უნდა იყოს მოსწავლის შეფასების კრიტერიუმი – წერილობით გამოცდაზე ნაჩვენები შედეგი თუ საკლასო ოთახში გამოჩენილი აქტიურობა? „ჩემს წიგნში, – ამბობს კეინი, – სკოლები წავახალისე, წერილობითი გამოცდებისთვის მეტი ყურადღება მიექციათ, ვიდრე კლასში აქტიურობისთვის, რადგან ინტროვერტებს და მორცხვ ბავშვებს უჭირთ გაკვეთილის პროცესში კითხვებზე პასუხის სხარტად გაცემა, ვერ ამჟღავნებენ თავიანთ მაქსიმუმს. ამ დროს ისინი ფიქრობენ: „როგორ მოიქცევიან თანაკლასელები, თუ არასწორად ვუპასუხე?“

კარგია თუ არა საკლასო ოთახში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება? ეხმარება თუ არა ამგვარი მიდგომა ინტროვერტებს? იქნებ პირიქით?

სიუზენ კეინი ამბობს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება საკლასო ოთახში ინტროვერტი და მორცხვი ბავშვებისთვის ძალიან სასარგებლოა. მაგალითად, ინტროვერტი თავს უფრო კომფორტულად გრძნობს, როცა საშინაო დავალებისა თუ საკლასო სამუშაოს შესრულება ეკრანთან, საკუთარ კომპიუტერში უწევს. ის მარტივად კრეფს პასუხებს, რომლებსაც თანაკლასელები მხოლოდ ეკრანზე ხედავენ. განხილვა და დისკუსია საჭირო აღარ არის.

როგორ გავხადოთ ჯგუფური სამუშაო ინტროვერტებისთვის კომფორტული და სასარგებლო?

„ჩემი გამოცდილებით, – ამბობს სიუზენ კეინი, – ეს ჯგუფის სტრუქტურაზეა დამოკიდებული. მინახავს ძალიან კარგად წარმართული ჯგუფური სამუშაო, სადაც ყველა ბავშვმა იცის საკუთარი როლი და მინახავს უილიამ გოლდინგის „ბუზთა ბატონიც“, სადაც მხოლოდ რამდენიმე დომინანტი ბავშვი საუბრობს, ყველა დანარჩენი კი გარიყულია. ასე რომ, ჯგუფური სამუშაოს წარმატება მთლიანად მასწავლებელზეა დამოკიდებული.

წყარო: http://www.npr.org/sections/ed/2016/02/18/465999756/how-parents-and-teachers-can-nurture-the-quiet-power-of-introverts

მარიამ გოდუაძე

აზროვნება და წერის დონეები

დღესდღეობით სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარება ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, თუმცა უნდა ითქვას, რომ აზროვნების სწავლება საკმაოდ ძველი იდეაა. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში ახალგაზრდები აზროვნების გავარჯიშების მიზნით ეუფლებოდნენ არაერთ დისციპლინას, რაც იმთავითვე წერით აქტივობასთან იყო დაკავშირებული. ბოლო დროს დასავლეთის საგანმანათლებლო სივრცეში სულ უფრო ხშირად საუბრობენ რთული სააზროვნო უნარ-ჩვევების – კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების და რეფლექსიური აზროვნების სწავლებაზე. ჯერ კიდევ ჯონ დიუიმ (1859-1952), იმის გამო, რომ რაციონალისტები თუ ემპირისტები მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან „გონებას“ და „სამყაროს“, დაიწყო ახალი ეპისტემოლოგიური მოდელის კონსტრუირება, რომელსაც განათლების თეორიაში **პრაგმატულ ეპისტემოლოგიას** უწოდებენ. წინა ეპისტემოლოგიებისაგან განსხვავებით, რომელთათვისაც აზრი განიხილებოდა როგორც გონების მარტივი გამოვლენა, დიუის გენეტიკური ეპისტემოლოგიის მიხედვით, აზროვნება ორგანიზმსა და გარემოს შორის ურთიერთობის შედეგს წარმოადგენდა. გონება მისთვის კოლექტიური აქტივობის შედეგი იყო სიმბოლოების, განსაკუთრებით კი ენის შუამავლობით. „სწავლა არის **აზროვნების სწავლა** და შედგება აზროვნების ვრცელი, ფრთხილი, დეტალურად გააზრებული ჩვევებისაგან“, – აცხადებდა ჯონ დიუი და აფასებდა იმგვარ განათლებას, რომელშიც აზროვნება მიჩნეულია ხელოვნებად და „აზროვნების პროცესზე სისტემატურ ზრუნვად“ იმისათვის, რომ „აზროვნების პროცესი ჭეშმარიტად რეფლექსური გახდეს“ [1933, გვ. 85].

წერითი აზროვნების პროცესი სამ უმთავრეს კომპონენტს მოიაზრებს. ესენია:



როდესაც ვსაუბრობთ მოწაფეზე როგორც ავტორზე, უნდა გავითვალისწინოთ და მასაც გავაზრებინოთ კონტექსტი, რომელიც ყოველთვის მოიცავს გრძნობებს, რწმენა-წარმოდგენებს, წარსულ გამოცდილებას, მიზნებს, საჭიროებებსა და ფიზიკურ გარემოს. გარდა ამისა, წერითი კომუნიკაციისას ასევე ითვალისწინებენ **გზავნილს, კონტაქტსა** და **კოდს**. რომან იაკობსონის აზრით, სწორედ ეს ფაქტორები ქმნის მოტივსა და სხვა სუბიექტურ ფაქტორებს, რომელთა წარმატებული ამოქმედებისთვის გადამწყვეტია გარემო.

ორგანიზებული და წარმატებული წერის პროცესის სწავლებისას უნდა შეიქმნას ისეთი გარემო,

მეტაკოგნიტური/ რეგულატიური აქტივობები არეგულირებს კოგნიტურ და აფექტურ პროცესებს და, აქედან გამომდინარე, აკონტროლებს სწავლის შედეგების მიღების პროცესს

რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლესა თუ სტუდენტს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი და გამოიყენოს სწავლის მისთვის ყველაზე მოხერხებული და დასაძლევი აქტივობები. თანამედროვე თავისუფალ და ინტერაქციულ სასწავლო გარემოში მასწავლებელი კარგავს მაკონტროლებლის ფუნქციას და იძენს ფასილიტატორის როლს. ჯერ კიდევ 1933 წელს **ჯონ დიუი** მიიჩნევდა, რომ მასწავლებელს მწყემსის, ფასილიტატორის როლი უნდა ჰქონდეს და არა ავტორიტეტული ფიგურის ან ექსპერტის. იგი რუკის მეტაფორას იყენებდა და ამბობდა: „რუკა, შინაარსი, წინა გამოცდილების წესრიგში მოყვანა და სწორად გააზრება შემდგომი გამოცდილების გზამკვლევს წარმოადგენს. ის აჩვენებს მიმართულებას და ეხმარება კონტროლის განხორციელებაში ამაო მცდელობების შემცირების ხარჯზე“, მაგრამ **„რუკა ვერასდროს დაიკავებს მოგზაურის ადგილს“** (1902, 199). მისი აზრით, სკოლები შეფასებაზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე ცოდნის გადაცემაზე. ისინი ხშირად რეპრესიულ სასწავლო დაწესებულებებს წარმოადგენენ, რომლებიც არ აღვივებენ და არ იძლევიან ზრდის საშუალებას. სწორედ ამიტომ დიუის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ჩიკაგოს უნივერსიტეტის ექსპერიმენტული ლაბორატორიული სკოლის დაარსება, სადაც დაცული იყო მასწავლებლების უფლებები და აკადემიური თავისუფლება.

დღესდღეობით მასწავლებლის როლი შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული სასწავლო ამოცანების მიხედვით წარმატებული გაკვეთილის/ლექციის ჩატარების მიზნით. თანამედროვე კვლევებში გამოიყოფა მასწავლებლის რვა შესაძლო მთავარი როლი საგაკვეთილო თუ სალექციო პროცესში:

- **მაკონტროლებელი**
- **ორგანიზატორი**
- **მონაწილე**
- **ტუტორი**
- **დამკვირვებელი**
- **ექსპერტი**
- **მოკარნახე** (ჰარმერი, 2001, 57-62)

ასევე:

- **მედიატორი**
- **მხარდამჭერი** (ჰეჯი, 2000, 28-29).

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ამა თუ იმ აქტივობისათვის საჭირო როლის მიხედვით აუცილებლად ითვალისწინებს და ცვლის სწავლის სტრატეგიებს. სასწავლო პროცესში სწავლის აქტივობები პირდაპირ უკავშირდება აზროვნების ფორმასა და მექანიზმებს, რომლებიც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს სწავლის სტრატეგიებს. სტრატეგიული კომპეტენციების განვითარების მიზნით ამ დონეზე სრულდება სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო მარტივი და რთული წინადადებების ფარგლებში. მოწაფეს უნდა შეეძლოს როგორც წინადადებაში არასწორი ფორმების ამოცნობა და გასწორება, ისე, კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, სხვადასხვა შინაარსისა და მოდალობის წინადადებების შედგენა. **საწყის დონეზე** წერითი პროცესის ეფექტურად წარმართვაში დაგვეხმარება შემდეგი აქტივობები:

- სიტყვების ჩასმა;
- მოცემული სიტყვების მიხედვით წინადადებების შედგენა;
- წინადადების დასრულება;
- წინადადების გამართვა;
- კითხვებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა;
- კითხვების შედგენა;
- მარტივი დიალოგის შედგენა;
- წინადადების შეცვლა ზმნის პირის, დროისა და რიცხვის მიხედვით;
- მოცემულ თემაზე წინადადებების შედგენა.

ენის ფლობის დაბალ საფეხურზე მყოფი მოწაფეებისთვის ნელ-ნელა აქტიურდება **აბზაცის დონეც.** ცოდნის გადმოცემის მოდელის პარალელურად, მათ აქ ეტაპობრივად მიეწოდებათ რამდენიმე კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგია. ლინგვისტური კომპეტენციის მიხედვით გამართული წინადადებების საფუძველზე ეუფლებიან ერთ კონკრეტულ საკითხთან, მოვლენასთან, ფაქტსა თუ ნივთთან დაკავშირებული აბზაცის (მოკლე მარტივი ტექსტის) შექმნის უნარებს. მათ შეიძლება შევთავაზოთ **საკუთარი მოდალური წინადადებების განვრცობა კონკ-**

რეტული მაგალითებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ამ ეტაპზე უნდა გავითვალისწინოთ, არის უნარი, მოწაფემ შეძლოს თავისივე ან თანაჯგუფელის მიერ შექმნილი აბზაცის გადაკითხვა, გადამოწმება, გააზრება. სწორედ აბზაცის დონეზე უნდა გავააქტიუროთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოგნიტური სტრატეგია: ნაწერის შემოწმება. იმისათვის, რომ წერის პროცესში მოწაფემ ლოგიკურად შეძლოს აბზაცის გამართვა, მისი ყურადღება უნდა გავამახვილოთ წინადადებების გადაბმის მიზნით წევრკავშირების გამოყენებაზე და ამ თვალსაზრისით საგანგებოდ შექმნილი სავარჯიშოები შევთავაზოთ მას. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ სწორედ აბზაცის დონეს უნდა დავუკავშიროთ მოწაფის სოციოკულტურული კომპეტენციის ამაღლება. ამდენად, ამ შემთხვევაში **საკლასო გარემოში უნდა შევიტანოთ სპეციალური და ადაპტირებული ტექსტები**, რომელთა გააზრების საფუძველზეც, ერთი მხრივ, შეასრულებენ წერით დავალებებს, ხოლო მეორე მხრივ გაეცნობიან მათთვის საინტერესო სოციუმის კულტურულ სპეციფიკას. წერილობითი ტექსტის შესაქმნელად მათ შეიძლება ვთხოვოთ:



- მოვლენის / ფაქტის / ნივთის აღწერა რამდენიმე წინადადებით;
- კავშირებისა და წინადადებების გადაბმის საშუალებების გამოყენება;
- ასოციაციურ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- კითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა;
- საკვანძო წინადადების შექმნა;
- საკვანძო წინადადების განვრცობა კონკრეტული მაგალითებით / არგუმენტებით;
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- წინადადებების ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება;
- აბზაცში შინაარსობრივად შეუსაბამო წინადადებების პოვნა და ამოღება;
- კონკრეტული მიზნის შესაბამისად ლოგიკურად გამართული აბზაცის შექმნა;
- შემოწმება.

ტექსტის დონე

წერითი კომპონენტის სწავლების დროს ერთ-ერთი რთული ამოცანაა ახალი იდეების ფორმულირება, პირობითი ცოდნის შექმნა კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით, ტექსტის ტიპებისა და მათი შექმნის სპეციფიკის გათვალისწინება, ტექსტის სტრუქტურული ორგანიზება, ნაწერის შემოწმება. ლოგიკურად გამართული არგუმენტირებული / ანალიტიკური ტექსტის შექმნისას მოწაფე თუ სტუდენტი ახორციელებს რამდენიმე თანამდევ პროცესს. ესენია: ინფორმაციის კონსტრუირება, ინფორმაციის ტრანსფორმაცია და მისი ორგანიზებულად გავრცობა (მელი, ჩამოტი, 1990, 42). ამავე დროს, ტექსტის შემოქმედმა უნდა გაითვალისწინოს სოციალური და სოციოკულტურული ასპექტების სპეციფიკა, ადეკვატურად გაიაზროს მწვრთნელის მიერ მიწოდებული მასალა ან სხვადასხვა წყაროდან მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. ბუნებრივია, რომ ამ დონეზე ტექსტის შექმნა შედარებით მაღალ ლინგვისტურ კომპეტენციას მოითხოვს, მიუხედავად ამისა, ენობრივი შეცდომების ანალიზი და აქტივობები მოწაფეს ამ შემთხვევაშიც უნდა მივაწოდოთ. ენობრივი ტრანსფერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კოგნიტური ფაქტორია, რომელიც ენობრივი შეცდომების დაშვების სიხშირეს უკავშირდება (მაილესი, 2002), თუმცა მისი გამოყენება დასაშვებია ტექსტის შექმნის პროცესში. ტექსტის დონეზე წამოჭრილი სირთულეებისა და ამოცანების დასაძლევად აუცილებელია საკლასო გარემოში შემდეგი ტიპის აქტივობების განხორციელება:

- იდეების გენერაცია, ზეპირი მსჯელობა;
- ადაპტირებული/ავთენტური ტექსტის კრიტიკული წაკითხვა, გააზრება, დამუშავება, ანალიზი;
- კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ტექსტიდან არსებითი ინფორმაციის ამოღება და მის საფუძველზე საკუთარი მოსაზრებებისა და დამოკიდებულების წერილობით გადმოცემა სათანადო არგუმენტებით, ციტირებისა და პერიფრაზის ხერხების მეშვეობით;
- მოკლე შინაარსის შექმნა;
- ტექსტის სტრუქტურის გაცნობა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა);
- ტექსტის ცალკეული ნაწილების შექმნა;

სხვადასხვა ტიპის (არგუმენტირებული, ფუნქციური) ტექსტის შექმნის წინ შეიძლება დაფაზე დავწეროთ **საკითხი**, რომელზეც უნდა შეიქმნას წერილობითი ტექსტი. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს „ბუნებრივი რესურსების არამიზნობრივი გამოყენება“. ასეთ დროს აუცილებელი აქტივობაა **მიზნის განსაზღვრა.** სანამ წერას შეუდგებოდნენ, მოსწავლეები საკუთარ თავს ეკითხებიან, თუ *რა არის ამ ნამუშევრების მიზანი.* ეს შეიძლება იყოს:

- საკუთარი გრძნობებისა და შთაბეჭდილებების გამოხატვა;
- წარმოდგენა-წარმოსახვა (მაგალითად, „რა იქნება, რომ...?);
- თხრობა;
- აღწერა;
- ინფორმირება ანდა ახსნა-განმარტება
- რწმუნება და დათანხმება;
- თხოვნა / მოთხოვნა;
- აზრების შესწავლა და კვლევა;
- მოსაზრებების ჩამოყალიბება და სხვ.

საკლასო გარემოში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს რამდენიმე სტრატეგია ერთდროულად ან თანმიმდევრულად, რათა მოწაფეებს ჰქონდეთ მაღალი მოტივაცია და გამოუმუშავდეთ კომუნიკაციური კომპეტენციები. ამაში მათ ხელს შეუწყობს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის სტრატეგიები.

ზოგადად, გამოყოფილია სწავლის აქტივობების სამი ძირითადი ფორმა: **კოგნიტური, აფექტური, მეტაკოგნიტური**/რეგულაციური (შორტი, ვაისბერგი-ბენჩელი, 1989; ვერმუნტი, 1989). **კოგნიტური აქტივობების** დროს შემსწავლელი ააქტიურებს შინაარსის/მოცემულობის ათვისების პროცესს. ისინი მიმართულია სწავლის პროცესის შედეგების მისაღებად, გასააზრებლად, სწავლის უნარების გამოსამუშავებლად. მაგალითად, ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა, პრობლემის შემადგენელ ნაწილებს

წერითი კომპონენტის სწავლების დროს ერთ-ერთი რთული ამოცანაა ახალი იდეების ფორმულირება, პირობითი ცოდნის შექმნა კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით, ტექსტის ტიპებისა და მათი შექმნის სპეციფიკის გათვალისწინება, ტექსტის სტრუქტურული ორგანიზება, ნაწერის შემოწმება

შორის კავშირების მოძებნა და გამოყოფა, შესაბამისი მაგალითების მოძებნა. **აფექტური აქტივობები** უშუალოდ უკავშირდება მოწაფის ემოციურ მდგომარეობას, ნეგატიურ, ნეიტრალურ ან პოზიტიურ დამოკიდებულებას სწავლისა და ამა თუ იმ ფაქტის, პრობლემისა თუ მოცემულობისადმი. ეს გამოიხატება სწავლის პროცესში მასალის ათვისებისა და პროდუცირების მოტივირებით, ემოციების კონტროლით, სწავლის შედეგებისა და ცხოვრებისეული ფაქტების დაკავშირებით. **მეტაკოგნიტური/რეგულაციური აქტივობები** არეგულირებს კოგნიტურ და აფექტურ პროცესებს და, აქედან გამომდინარე, აკონტროლებს სწავლის შედეგების მიღების პროცესს. მაგალითად: სწავლის მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირება, მონიტორინგი იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის პროცესი წინასწარ დასახული გეგმის მიხედით, სირთულეებისა და მათი გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა და, საჭიროების შემთხვევაში, სწავლის პროცესის დარეგულირება (ვერმუნტი, 1996).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მასწავლებლის მიერ კარგად უნდა განისაზღვროს სწავლის ტიპი და კატეგორიები, ცნებები და მოვლენები ერთმანეთს კოგნიტურად დაუკავშირდეს, მოხდეს სტრუქტურირება, გაანალიზდეს და დაკონკრეტდეს მოცემულობები, შერჩევისა და აფექტური მოტივაციის საფუძველზე ტექსტს დაერთოს სხვადასხვა ინფორმაცია, წარიმართოს მეტაკოგნიტური, რეგულაციური ორიენტირება, დაგეგმვა, ტესტირება, დიაგნოსტიკა, მოწესრიგება-რეგულირება. ადგილი უნდა ჰქონდეს მცდელობასა და, შესაბამისად, მოლოდინს. ყველაზე მიშვნელოვანი კი არის ისეთი შეფასება, რომელიც განავითარებს მოსწავლის საბაზოვნო უნარებს, აამაღლებს მოტივაციას უკეთ წერისათვის და შთააგონებს მას მეტ შემოქმედებითობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დიუი, 1933 –Dewey John, (1933) How We Think: A Restatement of the Relation of Reflective Thinking of the Educative Process. Boston: D. C Heath.
2. ვერმუნტი, 1996 – D. Vermunt, Metacognitive, cognitive and affective aspects of learning styles and strategies: A phenomenographic analysis, Higher Education 31: pp.25-50, 1996. Kluwer , Academic Publishers. Printed in Netherlands.
3. ო'შელი, ჩამოტი, 1987 – Chamot, A.U. & O'Malley, J.M. A cognitive academic language learning approach: A bridge to the mainstream. TESOL Quarterly, 21, 227-249.
4. შაბაშვილი, 2012 – შაბაშვილი, გ. მეორე ენა, წერა, მიდგომები, სტრატეგიები, თბილისი, 2012.
5. შორტი, ვაისბერგი-ბენჩელი, 1989 – Short, E.J. WeisbergBenchell, J. A. The triple alliance for learning: cognition, metacognition and motivation. In C.B. McCormick, G.E. Miller &M. Pressley, Cognitive strategy research: from basic research to educational applications (pp.33-63). New York: Springer
6. ჰეჯი, 2000 – Hedge, T. Teaching and learning in the language classroom, Oxford University Press.
7. ჰილანდი, 2003 – Ken Hyland, Second Language Writing, City University of Hong Kong, Cambridge University Press.

ცვეტა ბერძენიშვილი

სასკოლო ცხოვრება და თვითშეფასება

თვითშეფასება განსაკუთრებით მაშინ იწევს მაღლა, როცა იზრდება მოსაწავლის კომპეტენტურობა მისთვის მნიშვნელოვან სფეროებში, მათ შორის — სოციალურშიც, რომელიც მოზარდ ასაკში მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს.

როგორ აფასებს და განიცდის მოსწავლე საკუთარ თავს? თვითშეფასებასთან დაკავშირებით მასწავლებელმა, სულ მცირე, ორი კითხვა უნდა დასვას:

1. როგორია მოსწავლის თვითშეფასების გავლენა სკოლაში მის ქცევაზე?
2. რა გავლენას ახდენს სასკოლო ცხოვრება მოსწავლის თვითშეფასებაზე?

ვუპასუხოთ პირველ კითხვას. კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლაში წარმატების მეტი შანსი აქვთ მაღალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეებს, თუმცა ამ ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იცვლება იმის მიხედვით, კვლევის რომელ მეთოდებს ვიყენებთ მოსწავლის მახასიათებლების გათვალისწინებით. ლონგიტუდური კვლევა ცხადყოფს, რომ პოზიტიური თვითრწმენა დაკავშირებულია აკადემიურ მიღწევებთან, განსაკუთრებით – თუ ის სპეციფიკურია და შეესაბამება შესასწავლ საგანს, მაგრამ ამ ურთიერთდამოკიდებულების მაჩვენებელი, საზოგადოდ, დაბალია. რა თქმა უნდა, ორ პარამეტრს შორის კავშირი არ ნიშნავს, რომ ერთი მეორეს იწვევს. შესაძლოა, სწორედ წარმატებას და პოპულარობას მივყავდეთ საკუთარი თავის პატივისცემასთან (მაღალ თვითშეფასებასთან) და არა პირიქით. ფაქტობრივად, ორივე ვარიანტი დასაშვებია.

მეორე კითხვაა, რა გავლენას ახდენს სკოლა თვითშეფასებაზე, მნიშვნელოვანია თუ არა მისი როლი ამ კუთხით. მოსწავლეთა თვითშეფასებაში სკოლის როლი არაერთხელ ქცეულა კამათის საგნად. ერთ-ერთი სკოლის მე-6 კლასზე ორწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ როცა მოსწავლე კმაყოფილია სკოლით, მოსწონს მასწავლებლები და გაკვეთილებიც აინტერესებს, ყოველივე ეს, მასწავლებელთა შეფასებასთან ერთად, დიდ გავლენას ახდენს მის თვითშეფასებაზე. ფიზიკურ აღზრდაში მასწავლებლის აზრს განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოაჩნდა მოსწავლეთა მიერ საკუთარი ათლეტური უნარის გაცნობიერებისთვის. დაბალუნარიანთა ჯგუფში ყოფნას ან სწავლაში ჩამორჩენას თვითშეფასებაზე, როგორც ჩანს, ნეგატიური გავლენა აქვს, ხოლო თანადგომისა და თანამშრომლობის პირობებში სწავლა დადებითად მოქმედებს.

დაახლოებით 125 წლის წინ ფსიქოლოგმა უილიამ ჯეემსმა (1890) განაცხადა, რომ თვითშეფასება იმით განისაზღვრება, როგორი წარმატებით ვაღწევთ ჩვენთვის ფასეულ მიზნებს. როდესაც მიზანი მნიშვნელოვანი არ არის, მისი მიუღწევლობა თვითშეფასებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. მოწაფეებმა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებში უნდა მიაღწიონ წარმატებას. ასევე მნიშვნელოვანია, რით ხსნის პიროვნება თავის წარმატებასა თუ მარცხს. მაღალი თვითშეფასებისთვის საჭიროა, მოსწავლემ წარმატება საკუთარ ქმედებებს მიაწეროს და არა იღბალს ან ვისიმე დახმარებას.

მასწავლებელთა დამოკიდებულებამ, შეფასებამ, მზრუნველმა ურთიერთობამ შესაძლოა შეცვალოს მოსწავლის წარმოდგენა საკუთარ უნარ-შესაძლებლობებზე ამა თუ იმ საკითხში. თვითშეფასება განსაკუთრებით მაშინ იწევს მაღლა, როცა

იზრდება მოსაწავლის კომპეტენტურობა მისთვის მნიშვნელოვან სფეროებში, მათ შორის – სოციალურშიც, რომელიც მოზარდ ასაკში მეტად დიდ მნიშვნელობას იძენს. ამგვარად, მასწავლებლის უმთავრესი ამოცანაა, მოსწავლეს მნიშვნელოვან საკითხებში გარკვევასა და უნარ-ჩვევების ათვისებაში დაეხმაროს.

როგორ უნდა მოიქცნენ მასწავლებლები, რომელთაც ასეთი პასუხისმგებლობა აკისრიათ? გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას:

- დააფასეთ და მიიღეთ ყველა მოსწავლე, მათი მცდელობები და მიღწევები.
- შეუქმენით მოსწავლეებს ფიზიკურად და ფსიქიკურად უსაფრთხო გარემო.
- გააანალიზეთ თქვენი წინასწარი განწყობა და მოლოდინი.
- დარწმუნდით, რომ სწავლებისთვის თქვენ მიერ გამოყენებული ხერხები და მოსწავლეთა დაჯგუფება ნამდვილად საჭიროა და არ არის მხოლოდ მოხერხებული გზა რთული



მოსწავლეების სამართავად თუ ზოგიერთი მოსწავლისთვის თავის ასარიდებლად.

- შეიმუშავეთ შეფასების მკაფიო სტანდარტები; დაეხმარეთ მოსწავლეებს, ისწავლონ საკუთარი მიღწევების შეფასება.
- შეიმუშავეთ თვითკრიტიკის, შეუპოვრობისა და თვითდაჯილდოების შესაბამისი მეთოდები.
- თავი არიდეთ დესტრუქციულ შედარებებსა და შეჯიბრებას, წააქეზეთ მოსწავლე, შეეჯიბროს საკუთარი მიღწევის უმაღლეს დონეს და არა სხვა მოსწავლის მიღწევებს.
- მაშინაც კი ნუ უგულებელყოფთ მოსწავლეს, როცა თქვენთვის მიუღებელია მისი ქცევა ან

თვითშეფასება იმით განსაზღვრება, როგორი წარმატებით ვაღწევთ ჩვენთვის ფასეულ მიზნებს. როდესაც მიზანი მნიშვნელოვანი არ არის, მისი მიუღწევლობა თვითშეფასებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

შედეგი. ტესტირებაში ჩაჭრა ან შენიშვნის მიღება მოსწავლისთვის იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ის „ცუდი“ ადამიანია.

- გახსოვდეთ, პოზიტიურ თვითშეფასებას წარმატება და თქვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანების მხრივ თქვენი დაფასება განაპირობებს.
- ხელი შეუწყვეთ მოსწავლეებს, იკისრონ პასუხისმგებლობა თავიანთ რეაქციებზე. აჩვენეთ, რომ აქვთ არჩევანი და აჩვენეთ ისიც, როგორი უნდა იყოს პასუხი.
- სკოლაში შექმენით მხარდამჭერი ჯგუფები და ასწავლეთ მოსწავლეებს, როგორ დაეხმარონ ერთმანეთს.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს მკაფიო მიზნების დასახვაში; კოლექტიურად განიხილეთ მიზნის მიღწევის რეალური გზები.
- ხაზი გაუსვით სხვადასხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის ფასეულობებს, მათ კულტურასა და მიღწევებს.

ქეთევან კობალაძე

ბავშვის ბუნების ფენომენი და აღზრდის პრობლემები

ამ სტატიის დაწერა თბილისის ერთ-ერთი სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებსა და აღმზრდელებთან შეხვედრამ გადამაწყვეტინა. შეხვედრაზე საუბარი იყო 6-9 წლის ბავშვების განვითარების ასაკობრივ თავისებურებებზე. მასწავლებლები და აღმზრდელები ამ ასაკიდანვე აწყდებიან სერიოზულ სირთულეებს როგორც ბავშვებთან ურთიერთობისას, ასევე მათ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესშიც. შეხვედრის დროს პედაგოგებმა რამდენიმე „რთული“ შემთხვევა აღწერეს. ისინი ცდილობდნენ, მიეღოთ პასუხები საკუთარ შეკითხვებზე:

- რომელი ასაკიდან ხდებიან ბავშვები „რთულები“?
- რატომ ხდება, რომ მათ მიერ დახარჯული ძალისხმევა ზოგ შემთხვევაში სრულიად უშედეგოა?

შევეცდები ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

„რთული“ მოზარდების კატეგორია საკმაოდ ფართო და მრავალგვარია. ამ კატეგორიას ზოგადად მიაკუთვნებენ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებთანაც მშობლებს, აღმზრდელებსა და მასწავლებლებს უჭირთ მუშაობა. უფროსები ფიქრობენ, რომ ასეთ ბავშვებთან ოჯახში თუ საკლასო ოთახში მისაღები ქცევის ნორმების შესახებ ბრძნულ საუბრებს აზრი არ აქვს. გარშემო სოციუმი დარწმუნებულია, რომ ასეთი ბავშვები ჯიუტი, თავნება, უყურადღებო, გონებაგაფანტული, ზარმაცი, ზოგ შემთხვევაში აგრესიული და უმართავიც კი არიან.

და მაინც, ცხოვრების რომელი პერიოდიდან უყალიბდება ბავშვს ისეთი თვისებები, რომლებიც აფიქრებინებს ზრდასრულ ადამიანებს, რომ ისინი „რთული“ ქცევისანი არიან? ფსიქოლოგების უმრავლესობა დიდი ხანია შეთანხმდა, რომ ბავშვის პიროვნება ხუთი წლის ასაკისათვის უკვე ფორმირებულია. ფართოდ გავრცელებულია ის მოსაზრებაც, რომ ხუთი წლის შემდეგ ბავშვის აღზრდაში დაშვებული სერიოზული შეცდომების გამოსწორება ძალზე რთულია. აქვე მინდა აღვნიშნო – ასევე არსებობს მოსაზრება, რომ არასწორი და არაადეკვატური აღზრდის სტილის მიუხედავად, ბევრი ბავშვი ზრდასრულ ასაკში ყალიბდება დამოუკიდებელ, ძლიერ პიროვნებად და აღწევს გარკვეულ წარმატებას პროფესიულ კარიერასა და პირად ცხოვრებაში.

„რთულ“ ბავშვებთან, მოზარდებთან, ახალგაზრდებთან, მათი ოჯახის წევრებთან მუშაობის ჩემი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების შედეგად ვემხრობი მოსაზრებას, რომ მიზეზები, რომელთა გავლენითაც ბავშვების ქცევა „რთულის“ კატეგორიას მიეკუთვნება, განპირობებულია აღზრდაში სულ მცირე ასაკიდანვე დაშვებული შეცდომებით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობლობა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო მოვალეობაა. ახალგაზრდა მშობლებს არავინ ასწავლის და არც ტრენინგებს უტარებს. როდესაც ოჯახში პატარა ჩნდება, მაშინვე მის ფიზიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის უზრუნ-

„რთული“ ქცევის მქონე შვილისა და მოსწავლის მშობლობა და მასწავლებლობა არ არის გადაულახავი პრობლემა, მით უმეტეს მათთვის, ვინც ამას აცნობიერებს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ პრობლემის მოგვარების სწორი გზის დასახვისათვის აუცილებელი წინაპირობა ამ პრობლემის გაცნობიერებაა.

ველყოფაზე გადადის მთელი ძალისხმევა: რამდენი გრამი შეჭამა; კბილები ხომ დროზე ამოუვიდა; სიარული როდის დაიწყო; ავად ხომ არ გახდა და უამრავი მსგავსი საზრუნავი.

შვილი წამოიზარდა, საჭიროა საბავშვო ბაღში შეყვანა. აქ ოჯახში ახალი საზრუნავი ჩნდება: როგორი ბაღი ავირჩიოთ? სადაც კვებაა დაბალანსებული თუ „ინგლისურს“ რომ ასწავლიან განსაკუთრებული ხერხებით? ზეიმებზე აუდიოჩანაწერებს ხომ აკეთებენ? აბა როგორ, სოციალურ ქსელში მისი ვიდეო არ უნდა დაიდოს?

შემდეგი ეტაპი – „კარგი“ სკოლის შერჩევა. როგორ ირჩევენ დღეს მშობლები სკოლას? ჩემი დაკვირვებით, ოჯახების უმრავლესობა საკუთარი ნაცნობებისა და მეგობრების რჩევა-დარიგებას მისდევს. და არჩევანიც გაკეთებულია, სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება უცხო ენები, ფუნქციონირებს სხვადასხვა დამატებითი სპორტული და შემეცნებითი ე.წ. „წრე“. მშობელი კმაყოფილია. სად არის აქ ბავშვის საუკეთესო ინტერესები? რომელმა მშობელმა სცადა, საკუთარ პატარას დალაპარაკებოდა და ისე მიეღო გადაწყვეტილება? ჩვენს კულტურაში ბავშვი, მშობლების არარეალიზებული სურვილების რეალიზების „ინსტრუმენტია“. მას გამუდმებით ესმის უფროსებისგან: „მშობლების იმედები გაგემართლებინოს. მასზე კარგად არავინ იცის, შენთვის რა არის საუკეთესო“. განა ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც საკუთარი შვილის შესაძლებლობებს ობიექტურად აფასებს?

მაგრამ მივუბრუნდეთ დასაწყისში ჩემ მიერ ნახსენებ სკოლას, რომელიც კერძო სკოლებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად ითვლება და რომლის მეორე კლასში სწავლობენ ის „რთული“ ბავშვები.

შეფიქრიანებულ მასწავლებლებთან პრობლემაში უფრო სიღრმისეულად გარკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ:

- ერთ ბავშვს მშობლები არ ჰყავს (უცხოეთში არიან სამუშაოდ წასულები), მას ბებია ზრდის;
- მეორის ოჯახში დიდი არეულობაა, მშობლები

გაყრის პროცედურას აწარმოებენ;

- მესამის მშობლები დაძაბული სამუშაო გრაფიკის შემდეგ სახლში ძალიან დაღლილები მიდიან და ბავშვთან კონტაქტს თითქმის ვერ ახერხებენ;
- მეოთხეს სულ ახლახან პატარა ძამიკო შეეძინა და ამიტომ დარწმუნებულია, რომ ის მშობლებს ისე ძალიან აღარ უყვართ;
- მეხუთეს ძალიან „მზრუნველი“ მშობლები ჰყავს და ახლახან ბოლო თაობის მობილური და პლანშეტი უყიდეს. ის დარწმუნებულია, რომ ყველა მისი სურვილი ყოველთვის უნდა ასრულდეს;
- მეექვსეს უფროსი დაიკო ჰყავს, რომელიც სწავლაში წარჩინებულია და ყველა „წრეზე“ დადის. დედიკოს უნდა, რომ მანაც იაროს იმავე წრეებზე და თანაც უფრო მეტად წარმატებული იყოს. მას კი სულ სხვა სურვილები აქვს;
- მეშვიდე ბავშვის მშობლები გარკვეულწილად აცნობიერებენ საკუთარი შვილის ქცევით პრობლემებს. მაგრამ დარწმუნებული არიან, რომ „გაიზრდება და თავისთავად გადაუვლის“, რადგან მის ასაკში თავადაც ცელქები და ჯიუტები იყვნენ, მაგრამ ახლა წარმატებული ადამიანები არიან;
- მერვეს მშობლები თვლიან, რომ ბავშვი ზედმეტად არ უნდა აკონტროლო და შეზღუდო, ამიტომ ის მთელ თავისუფალ დროს ხან ტელევიზორთან და ხანაც კომპიუტერთან ატარებს.

ალბათ მიხვდით, რომ ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ სათქმელი, ვფიქრობ, ისედაც ნათელია: მასწავლებლებს ძალიან უჭირთ ასეთ კლასში საგანმანათლებლო პროცესის წარმატებით წარმართვა და მაქსიმალური შედეგის მიღება.

ბავშვები სკოლაში ოჯახებიდან მიდიან და, შესაბამისად, მათ უკვე გავლილი აქვთ აღზრდის ოჯახური სტილის სპეციფიკური „კურსი“. ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ადამიანის ძირითადი პიროვნული თვისებები სწორედ ოჯახში ყალიბდება. რაც არ უნდა კვალიფიციური, პროფესიონალი პედაგოგი შეხვდეს სკოლაში ბავშვს, რომელსაც უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვს სიკეთესა და ბოროტებაზე, გამომუშავებული აქვს საკუთარი პოზიტიური და მავნე ჩვევები, ძალიან გაუჭირდება ცვლილებების შეტანა მის ღირებულებათა სისტემაში.

საინტერესოა, სინამდვილეში რატომ „იწებებენ“ ბავშვები მცირე ასაკიდანვე „რთული“ ბავშვის იარლიყს. ჩემი ფიქრით, იმის მიზეზი, რომ მათ თავად ძალიან უჭირთ, ოჯახში არსებული ფსიქოლოგიური კლიმატია. ეს გასაჭირი კი სწორედ სწავლის საწყის ეტა-

მნიშვნელოვანი რჩევა, რომელსაც ყველა ფსიქოლოგი და ბავშვების აღზრდის პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტი აუცილებელ პირობად მიიჩნევს: მშობლებმა, აღმზრდელებმა, უახლოესმა სოციუმმა და მასწავლებლებმა უნდა ითანამშრომლონ და თანამიმდევრულად იმოქმედონ ბავშვთან ურთიერთობისას.



პებზევე იჩენს თავს. მიზეზთა გამო მათ ეწყებათ სწავლისა და ქცევის პრობლემები, უძნელდებათ კლასში არსებული სასწავლო ტემპისთვის ფეხის აწყობა, ზოგადად, ნებისმიერი დავალების წარმატებულად შესრულება. მაგრამ არსებობენ წარმატებული „რთული“ მოსწავლეებიც, მათთვის ადვილია სასწავლო პროგრამის დაძლევა. სამაგიეროდ, მათ უჭირთ თანატოლებსა და უფროსებთან ურთიერთობა.

ბავშვებთან მომუშავე დაკვირვებული პერსონალი ხედავს, რომ ზოგიერთი ბავშვი თანატოლებს ფიზიკური განვითარებით ჩამორჩება, ზოგი, პირიქით, სწრაფი ტემპით ვითარდება. ზოგიერთი გონებრივი განვითარების შენელებული ტემპით ხასიათდება, ზოგიერთი პირდაპირ ვუნდერკინდია. ზოგი მათგანი უფროსებს უგულებელყოფის, ზოგიც ჰიპერმზრუნველობის მსხვერპლია. ზოგი საერთოდ ცდილობს ყველაფრით გამორჩეული და სრულიად ორიგინალური იყოს. ამით იმის თქმა მინდა, რომ უფროსი „სირთულის“ უამრავ ნაირსახეობას ხვდება და ნებისმიერი მათგანი ყურადსაღებია.

რა ტიპურ შეცდომებს უშვებენ მშობლები აღზრდის პროცესში:

- ბავშვის ინტერესებისა და სურვილების გაუთვალისწინებლობა;
- ჰიპერმზრუნველობა/ ჰიპერმეურვეობა, რაც აფერხებს ბავშვის დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას;
- აქცენტის გადატანა ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე, პიროვნული განვითარების სერიოზულობის გაუცნობიერებლობა;
- ბავშვის მიღწევების გადამეტებულად შეფასება;
- არარეალისტური მიზნების დასახვა, რამაც მომავალში შესაძლოა მას თვითშეფასება დაუქვეითოს;
- სხვა ბავშვებთან გამუდმებული შედარება: „ნახე, შენი თანატოლი ნინიკო უკვე ინგლისურად ლაპარაკობს, შენ კი ერთი ლექსიც ვერ დაიმახსოვრე“, „შენზე პატარა გიორგიმ გამრავლების ტაბულა ზეპირად იცის, შენ კი ჯერ სწავლაც არ დაგიწყია“...

დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია, რომ „აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩასწვდება ბავშვის ბუნებას“. ხშირ შემთხვევაში მშობლები ბავშვებთან ურთიერთობისას საკუთარი მიზნებით ხელმძღვანელობენ და ცდილობენ, მიზანს მბრძანებლური, ჭკუის დამრიგებლური დამოკიდებულებით მიაღწიონ.

როგორ მოიქცეს მშობელი და მასწავლებელი?

- „დაივიწყეთ“ საკუთარი საქმეები და პრობლემები, რათა შეძლოთ ბავშვის პრობლემის დანახვა/გაცნობიერება;
- შეეცადეთ შეხედოთ ბავშვების პრობლემებს ბავშვის თვალით – მას ხომ ჩვენზე მეტად უჭირს პრობლემასთან გამკლავება;
- თუ არ გავარკვევთ, რატომ უჭირს ბავშვს, ვერ მოვახერხებთ მიზეზების აღმოფხვრას და ბავშვის დახმარებას;
- არ იფიქროთ სხვა „მსუბუქ“ ბავშვებზე. ბავშვების აღზრდის პროცესი ყოველთვის რთულია, მიუხედავად საუკეთესო პირობებისა, რომელშიც შეიძლება იმყოფებოდეს ბავშვი;
- არ ჩავარდეთ პანიკაში და არ იფიქროთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ხართ. არ შეაფასოთ ბავშვი, როგორც „ცუდი/გამოუსწორებელი“, მხოლოდ იმიტომ, რომ ის გარკვეულ შეცდომებს უშვებს;
- მნიშვნელოვანი რჩევა, რომელსაც ყველა ფსიქოლოგი და ბავშვების აღზრდის პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტი აუცილებელ პირობად მიიჩნევს: მშობლებმა, აღმზრდელებმა, უახლოესმა სოციუმმა და მასწავლებლებმა უნდა ითანამშრომლონ და თანამიმდევრულად იმოქმედონ ბავშვთან ურთიერთობისას.

დაბოლოს, „რთული“ ქცევის მქონე შვილისა და მოსწავლის მშობლობა და მასწავლებლობა არ არის გადაულახავი პრობლემა, მით უმეტეს მათთვის, ვინც ამას აცნობიერებს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ პრობლემის მოგვარების სწორი გზის დასახვისათვის აუცილებელი წინაპირობა ამ პრობლემის გაცნობიერებაა.

მოსწავლეთა პასუხებზე რეაგირების სტრატეგიები

მანანა ბოჭორიშვილი

როგორ მოვიქცეთ, როცა მოსწავლე შეკითხვას სწორად პასუხობს, შევაქოთ თუ არა იგი? როგორ მოვიქცეთ, როცა მოსწავლე არასწორ პასუხს იძლევა, დავმალოთ თუ არა ჩვენი შეშფოთება? რა სახის რეაგირება უნდა მოახდინოს პედაგოგმა, რომ დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის გაუმჯობესებასა და საკუთარი თავის გონივრულად მართვაში? მასწავლებლის სწორი რეაქცია სასწავლო პროცესს უფრო ნაყოფიერს ხდის. ამ სტატიაში განვიხილავთ სტრატეგიებს, რომლებიც ამ მიზანს ემსახურება.

სტრატეგია 1 – სწორი პასუხის დადასტურება

მიზანი: პასუხის სისწორის დადასტურება ემოციების გარეშე

აღწერა: მოსწავლეებს, უბრალოდ, ვამცნობთ, რომ პასუხი სწორია.

მოსწავლის სწორ პასუხზე საუკეთესო რეაქციაა პირდაპირი და უემოციო განცხადება: „დიახ, ეს პასუხი სწორია“ ან, უბრალოდ, „სწორია“, „მართალია“, „დიახ, გმადლობთ“, „დიახ, ეს ზუსტად ის არის, რისი მოსმენაც მსურდა“. ეს რეაქცია შევადაროთ შემდეგ განცხადებებს: „გასაოცარია! არაჩვეულებრივი პასუხია! ბრწყინვალეა!“ სწორედ ეს არის გადაჭარბებული შექება, რომელიც უმჯობესია, ჩავანაცვლოთ პასუხის სისწორის უბრალო დადასტურებით. ამ სტრატეგიის გამოყენებით პედაგოგი მოსწავლეს უდგება როგორც გონიერ და ღირსეულ პიროვნებას, რომელსაც ურჩევნია, პირდაპირ უთხრან, ვიდრე გადაჭარბებულად შეაქონ. ამგვარად, მოსწავლეებს ვაწვდით პირდაპირ გზავნილს: თქვენი პასუხი სწორია. შექებისგან განსხვავებით, ის მხოლოდ კონკრეტულ პასუხს აფასებს და არა – თვით მოსწავლეს. პასუხის სისწორის უბრალო დადასტურება არის ექსპერტის, ამ შემთხვევაში – მასწავლებლის, შეფასება პასუხის სიზუსტესთან დაკავშირებით. ის არ იწვევს ემოციას, რამაც შეიძლება მოაცდინოს მოსწავლე სწავლის პროცესში. ზოგჯერ სასარგებლოა, პასუხის სისწორის დადასტურებას დავამატოთ ინფორმაციის გამეორება, მაგალითად: „პასუხი სწორია. ეს წესი არ ვრცელდება არაწესიერი წილადების შეკრებაზე“. ამ მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას.

სტრატეგია 2 – არასწორი პასუხების დადასტურება ემოციის გარეშე

მიზანი: არასწორი პასუხის დადასტურება ემოციების გარეშე

აღწერა: მოსწავლეებს, უბრალოდ, ვამცნობთ, რომ პასუხი არ არის სწორი.

წინა სტრატეგიის მსგავსად, მოსწავლის მცდარ პასუხზე საუკეთესო რეაქციაა მოკლე და უემოციო განცხადება, მაგალითად:

- არა, სწორი პასუხია...
- არა, ეს ის არ არის, რისი მოსმენაც თქვენგან მინდოდა.
- მართალი არ ბრძანდებით. სწორი პასუხია...
- ეს პასუხი შეესაბამება სხვა რამეს. ამ კითხვაზე სწორი პასუხია...
- არა, მაგრამ კარგია, რომ ეს საკითხი წამოსწიეთ, რადგან სხვებიც ასე ფიქრობენ. სწორი პასუხია...

პასუხის სიმცდარის დადასტურების შემდეგ პედაგოგმა უნდა თქვას სწორი პასუხი და გადავიდეს სხვა შეკითხვაზე.

უნდა ვეცადოთ თუ არა, რომ სწორი პასუხი როგორმე ვათქმევინოთ იმ მოსწავლეს, ვინც არასწორად უპასუხა?

ამის გაკეთება საკმაოდ მიმზიდველია, როგორც შემდეგ მაგალითშია მოცემული: „არა, ნინო, კალიფორნიის დედაქალაქი ლოს-ანჯელესი არ არის. სწორი პასუხი იწყება ასო „ს“-ზე. აბა, თუ გამოიცნობ. მოდი, კიდევ სცადე. გინდა, კიდევ ერთი მინიშნება მოგცე?“ ამ დროს მოსწავლე ხშირად განიცდის ზეწოლას, უფრო მეტად იბნევა და ღირსება ელახება. გარდა ამისა, ეს მეთოდი აგდებს გაკვეთილის ტემპს და ასუსტებს მოსწავლეების ჩართულობას. ამიტომ, უმჯობესია, პედაგოგმა მაშინვე გასცეს სწორი პასუხი და სხვა საკითხზე გადავიდეს.

სტრატეგია 3 – პასუხის ერთმერთებულობის დადასტურება პატივისცემის მამოხატვით

მიზანი: მოსწავლის ძალისხმევის დაფასება

აღწერა: არასწორი პასუხის შემთხვევაში გამოვხატავთ, რომ ვაფასებთ და პატივს ვცემთ მოსწავლის ძალისხმევას.

მაგალითები:

- პასუხი არასწორია, მაგრამ მაინც კარგი მოსაზრებაა.
- კარგი პასუხია, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუსაბამოა. საუკეთესო პასუხი იქნებოდა...
- თქვენი პასუხის პირველი ნაწილი სწორია. ნამდვილად სწორ გზას ადგახართ. სრული პასუხია...

ამ სტრატეგიით კონცენტრირება ხდება არა თვით პასუხზე, არამედ აზროვნების პროცესზე და პასუხის გაცემის სურვილზე, რაც, გულწრფელად რომ ვთქვათ, იმსახურებს შექებას. მოსწავლის იმედგაცრუებას აწონასწორებს მასწავლებლის პოზიტიური კომენტარი. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლებად თავდაჯერებული მოსწავლეებისთვის.

სტრატეგია 4 — შექება და ჯილდო ყველას

მიზანი: მთელი ჯგუფის წახალისება და კლასში მტკიცე ერთობის შექმნა

აღწერა: მთელი ჯგუფის შექება ან დაჯილდოება

მოსწავლეების უმრავლესობას სიამოვნებს შექება და დაჯილდოება. ამ დროს ისინი თავს ღირსეულ ადამიანებად გრძნობენ, რაც სტიმულს აძლევს, უფრო გულმოდგინედ ისწავლონ და უკეთ მოიქცნენ. თუმცა ამ სტრატეგიამ შესაძლოა უარყოფითი შედეგები გამოიღოს:

მიჩვევა. თუ მოსწავლეები განებივრებულები არიან შექებით და ადვილად იღებენ ჯილდოებს, ეს იწვევს უარყოფით შედეგს: სიადვილე აფერხებს დამოუკიდებლობის, შრომისმოყვარეობის, თვითკონტროლის და ინიციატივის უნარების განვითარებას. შექებამ და ჯილდოებმა შესაძლოა გამოიწვიოს მიჩვევა. როგორც ნებისმიერი მავნე ჩვევა, ესეც იწვევს უფრო მეტის და მეტის მიღების სურვილს, რაც მოსწავლეს სხვებზე დამოკიდებულს ხდის.

დევალვაცია. ზოგიერთი მოსწავლე ამჩნევს, რომ მასთან შედარებით სხვა თანაკლასელებს უფრო ხშირად აქებენ ან მეტ ჯილდოს აძლევენ. ამ დროს მოსწავლეს უყალიბდება ასეთი შეხედულება: „ამ კლასში ყველას ერთნაირად არ გვაფასებენ. მე არ ვარ პატივისცემის ღირსი“.

მანიპულაცია. მასწავლებელი ამბობს: „შეხედეთ, რა კარგები არიან პირველ რიგში მსხდომი მოსწავლეები“, და ყველა მოსწავლის ყურადღებას მათკენ მიმართავს. მოსწავლეებს უჩნდებათ ასეთი გრძნობა: „მასწავლებელს ჩვენ არ ვედარდებით. მას მხოლოდ გარკვეული მოსწავლეები მოსწონს“.

გაზვიადება. მასწავლებელი ამბობს: „ბრწყინვალე პასუხია! არაჩვეულებრივია! სენსაციურია! განსაცვიფრებელია! მოდი, ამ პასუხისთვის სანდრას ტაში დავუკრათ“. გაზვიადებული ქება იწვევს მის გაუფასურებას, მოსწავლეები კი მასწავლებელზე ფიქრობენ: „მას მიაჩნია, მე იმდენად სულელი ვარ, რომ ამ უაზრობის მჯერა“, ან „მე იმდენად სუსტი ვარ, რომ ასეთი გაზვიადება მჭირდება“.

ჩვენი მიზანია მოსწავლეების ჩამოყალიბება ღირსეულ ადამიანებად, გულმოდგინე სწავლის მოტივირება, თვითდისციპლინის განვითარება ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მოვლენების გარეშე.

იქნებ უმჯობესია, არასოდეს შევაქოთ მოსწავლე?

სულაც არა. ერთ-ერთი მეთოდი ამ გვერდითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად არის მთელი ჯგუფის შექება ან დაჯილდოება მაშინ, როდესაც ჭეშმარიტად იმსახურებს ამას.

მაგალითები:

- ეს ჯგუფი სწრაფად ვითარდება. მე ვაფასებ ამას. ჩემთვის დიდი სიამოვნებაა თქვენთან მუშაობა;
- რა კარგი ჯგუფი ხართ! მიუხედავად იმისა, რომ მასალა რთული იყო, თქვენ მაინც დაძლიეთ ის. მოხიბლული ვარ თქვენი შეუპოვრობით;
- ჩვენ ზუსტად ჩავეტიეთ დროში! დიდი მადლობა ამისთვის;
- ეს ყველაზე ძლიერი გუნდია. ხომ ასეა?
- მოდი, ვიამაყოთ იმით, რაც დღეს შევძელით;
- თქვენ ძალიან კარგად მუშაობთ ერთად! მე უკვე მოვახსენე სკოლის დირექტორს, რა კარგები ხართ ყველანი;
- თქვენი კლასი იმდენად კარგად სწავლობს, რომ დღეს მე გიმასპინძლდებით ყველას.

სტრატეგია 5 — შეცდომებზე ჩუმი რეაგირება

მიზანი: მოსწავლის შეცდომებზე არაპროდუქტიული რეაქციის თავიდან აცილება

აღწერა: შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში მისი მოგვიანებით განხილვა ან გამოსწორება

ზოგჯერ საუკეთესო რეაქცია შეცდომაზე ჩუმი რეაგირება და მისი მოგვიანებით განხილვა ან გამოსწორებაა.

მაგალითად:

- გიორგი კლასის წინაშე აკეთებს თავისი სამუშაოს ანგარიშს. საუბრის დროს ის რამდენჯერმე უშვებს ერთსა და იმავე შეცდომას. ამ შეცდომაზე რეაგირება უმჯობესია ანგარიშის დასრულების შემდეგ იმგვარად, რომ სხვებმა „არ გაიგონ“.
- მოსწავლე აბარებს მასწავლებელს საშინაო დავალებას, რომელშიც რამდენჯერმე მეორდება შეცდომა ერთი და იმავე სიტყვის მართლწერაში. მოვნიშნოთ თუ არა ეს შეცდომა? თუ

შეცდომას მოვნიშნავთ, ამ ქმედებას შეიძლება მოჰყვეს ორგვარი შედეგი:

1) რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მოსწავლე მაინც არ გამოასწორებს ამ სიტყვის მართლწერას.
2) მოსწავლეს ნაკლებად გაუჩნდება სურვილი, გამოიყენოს ეს სიტყვა ნაწერებში.

შეცდომის რვეულში მონიშვნის ნაცვლად, უმჯობესია, დავიმახსოვროთ ის და გაკვეთილზე ზოგადად განვიხილოთ. თუმცა შეცდომებზე ჩუმი რეაგირება ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის. საერთოდ, მოსწავლეები წინააღმდეგი არ არიან, მათი შეცდომები მასწავლებელმა მონიშნოს რვეულში, თუმცა, როცა ამაში დარწმუნებული არ ხართ, მიმართეთ ჩუმი რეაგირების სტრატეგიას. ეს უფრო უსაფრთხოა.

სტრატეგია 6 — შეკითხვა „შეგიძლია...?"

მიზანი: მოსწავლისთვის შეკითხვის იმგვარად დასმა, რომ შემცირდეს მისი ღირსების შელახვის ალბათობა

აღწერა: იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ მოვთხოვოთ პასუხი, მოსწავლეებს ჯერ ვეკითხებით, შეუძლიათ თუ არა შეკითხვაზე პასუხის გაცემა. იმისთვის, რომ უკეთ ჩავწვდეთ ამ სტრატეგიის არსს, ერთმანეთს შევადაროთ შემდეგი შეკითხვები:

„შეგიძლიათ მითხრათ, რას გულისხმობთ?"
„რას გულისხმობთ?"
„შეგიძლიათ მაგალითის მოყვანა?"
„რა არის ამის მაგალითი?"
„შეგიძლიათ მითხრათ, რა შეიძლება გამოიწვიოს ამან?"
„რას იწვევს ეს?"
„შეგიძლიათ დაასახელოთ ილინოისის შტატის დედაქალაქი?"
„რომელია ილინოისის შტატის დედაქალაქი?"

შეკითხვის დასმის დროს ამ სიტყვის – „შეგიძლიათ?" – გამოყენება ნაკლებად შელახავს მოსწავლეთა ღირსებას. როდესაც მათ არ იციან პასუხი, ამას თავისუფლად ამბობენ და არ ცდილობენ შემთხვევითი ვერსიის შეთხზვას. მოსწავლეებს ადვილად შეუძლიათ თქვან: „არა, არ შემიძლია". ამგვარი შეკითხვების გამოყენების დროს მასწავლებელიც უფრო კომფორტულად გრძნობს თავს, რადგან დარწმუნებულია, რომ მოსწავლეს კლასის წინაშე ღირსება არ შეელახება იმ შემთხვევაშიც კი, თუ პასუხი არ აქვს.

სტრატეგია 7 — გულახდილი „მე ვაფასებ"

მიზანი: შევახსენოთ მოსწავლეებს, რომ თითოეულ მათგანს ერთი ზრდასრული ადამიანი მაინც სცემს პატივს.

აღწერა: მოსწავლეებს ვეუბნებით, თუ რას ვცემთ პატივს მათში. როდესაც მოსწავლე შეკითხვას სწორად პასუხობს და გვსურს, რომ შევაქოთ, ვეუბნებით: „ყოჩაღ!" გაითვალისწინეთ, რომ ეს

როგორ მოვიქცეთ, როცა მოსწავლე შეკითხვას სწორად პასუხობს, შევაქოთ თუ არა იგი? როგორ მოვიქცეთ, როცა მოსწავლე არასწორ პასუხს იძლევა, დავმალოთ თუ არა ჩვენი შეშფოთება? რა სახის რეაგირება უნდა მოახდინოს პედაგოგმა, რომ დაეხმაროს მოსწავლეს სწავლის გაუმჯობესებასა და საკუთარი თავის მონივრულად მართვაში?

ფრაზა განკუთვნილია მხოლოდ ერთი ადამიანისთვის, ანუ მასწავლებელი პატივს სცემს რომელიმე კონკრეტული მოსწავლის ძალისხმევას. შეგვიძლია მივმართოთ სხვანაირად: „დამატებით ქულას გიწერ ამ პასუხისთვის". ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია არა შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, არამედ მის გასამრჯელოზე.

კიდევ ერთი მიდგომა: „მე ვაფასებ, თუ როგორ ჩამოაყალიბე პასუხი". ამ ფრაზით კი არ ვაქებთ მოსწავლეს, არამედ გამოვხატავთ გულწრფელ პატივისცემას. ეს არის გულახდილი განცხადება და არაბანალური ან გაზვიადებული ფრაზა.

ქვემოთ მოცემულია გულწრფელი პატივისცემის გამომხატველი ფრაზები:

- უღრმესი მადლობა;
- მე ვაფასებ ამას;
- მე მომწონს თქვენი განაცხადი;
- უდიდესი სიამოვნება მომანიჭა თქვენმა გამოსვლამ;
- კარგია, რომ დამისვით ეს შეკითხვა;
- ეს ღიმილს მგვრის;
- დიდი მადლობა, რომ სცადეთ;
- მომეწონა თქვენი გამოხედვა, როდესაც ამას აკეთებდით.

შექებისა და დაჯილდოებისგან განსხვავებით, გულახდილი პატივისცემის გამომხატველი ფრაზები ნაკლებად მანიპულაციური, განსჯითი და მექანიკურია. თუ მოსწავლე სამართლიანად იმსახურებს პატივისცემას, ეს კომენტარები იშვიათად იწვევს უარყოფით მოვლენებს. რაკი ნებისმიერ ადამიანს აქვს რაღაც, რაც პატივისცემას იმსახურებს, ამიტომ არც ერთი მოსწავლე არ უნდა უგულებელვყოთ კლასში და გამოვხატოთ გულახდილი პატივისცემა მათ მიმართ.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პატივისცემა თანაბარი უნდა იყოს ყველა მოსწავლის მიმართ. ადრე თუ გვიან ისინი მიხვდებიან, რომ ზოგიერთი უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს. ეს ცხოვრებისეული რამაა, რასაც ვერ გავექცევით. პატივისცემის გამოხატვაში მცირე დისბალანსი სავსებით მისაღებია მოსწავლეებისთვის.

სტრატეგია 8 — „მე შენთან ვარ“

მიზანი: მოსწავლეებს ვაგრძნობინოთ, რომ ისინი მარტო არ არიან.
აღწერა: მოსწავლისადმი მასწავლებლის თანაგრძნობა

- შეიძლებოდა, მეც იგივე შეცდომა მომსვლოდა;
- მეც ანალოგიურად ვფიქრობ;
- შემიძლია გითხრა, რომ ძალიან ღელავ ამ ანგარიშის თაობაზე;
- ვფიქრობ, მესმის, როგორ გრძნობ ახლა თავს;
- ძალიან სამწუხაროა;
- მე მესმის, რატომაც გააკეთე ეს;
- ვფიქრობ, შენთვის დიდებული დღე იყო.

ამ კომენტარების გზავნილი ნათელია: „შენ არ ხარ მარტო. მე შენთან ვარ. ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები პიროვნება ხარ“.

სწავლა-სწავლების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგების მოქმედება იმგვარად, რომ ხელი შეუწყონ მოსწავლეების საუკეთესო უნარების განვითარებას. მნიშვნელოვანია მათი ღირსების, ენერგიის, საკუთარი თავის მართვის უნარის, სოციალურობისა და ცნობიერების განვითარების ხელშეწყობა. მათ უნდა შეძლონ, ღირსეულად დაიცვან თავიანთი მოთხოვნები, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, ჰქონდეთ საკუთარი თავის მართვის უნარი, სოციალურობის შეგრძნება და მდიდარი ცნობიერება. ასეთი მონაცემებით და მისწრაფებებით ნებისმიერი ადამიანი მიაღწევს წარმატებას. მასწავლებლების მოვალეობაა, ყოველდღიური საქმიანობით ხელი შეუწყონ მოსწავლეების ყოველმხრივ განვითარებას, ამიტომ მნიშვნელოვანია მათი ზომიერი, გაწონასწორებული გამოხმაურებები სხვადასხვა მიმართულებით:

ღირსება:

- მე ნამდვილად ვაფასებ, რომ გამოავლინეთ თქვენი თავი;
- აღფრთოვანებული ვარ თქვენი თავდაჯერებულობით;
- მომეწონა, როგორც დაიცავით თქვენი მეგობარი;
- მომეწონა, რომ, თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, ეს ზუსტად ისეა, როგორც მე ვფიქრობ;
- მე ვაფასებ, რომ თქვენ ხალხს თვალებში ჩახედეთ.

ენერგია:

- მომწონს, რომ ამ საკითხზე დიდხანს ჩერდებით;
- მომწონს, რომ იყენებთ თქვენს გონებრივ შესაძლებლობებს;
- ვაფასებ თქვენს სისხარტეს;
- მომწონს, როდესაც ენერგიულად ლაპარაკობთ;
- მომწონს, რომ მაშინვე არ ნებდებით.

საკუთარი თავის მართვა:

- მომწონს, როდესაც თქვენს ნამუშევრებს ფაქიზად ალაგებთ;
- მომწონს, როდესაც ადგენთ დროის განრიგს;
- ვაფასებ თქვენს სისწრაფეს;
- მომწონს თქვენი თვისება, როდესაც დაჟინებით მოითხოვთ იმას, რაც გჭირდებათ;
- მომწონს, როდესაც საკუთარ თავზე ფიქრობთ;
- მომწონს, რომ ითხოვთ დახმარებას, როცა გჭირდებათ.

სოციალურობა:

- მომწონს, როდესაც თანაკლასელს დახმარების ხელს უწვდით;
- მომწონს, რომ უფრო მეტს აკეთებთ, ვიდრე ამბობთ თქვენი სამუშაოს შესახებ.

ცნობიერება:

- დიდი მადლობა, რომ ყველაფერს გონივრულად აღიქვამთ;
- დიდი მადლობა, რომ ისევ უთმობთ ყურადღებას ამ საკითხს;
- დიდი მადლობა, რომ ყურადღებას არ აქცევთ გონების გამფანტავ ფაქტორებს.

თამარ ჭანტურია

სპექტაკლი ხელისგულზე

მასწავლებელი უნდა იყოს მსახიობი, არტისტი, რომელიც თავდავიწყებითაა შეყვარებული თავის საქმეზე.
ა.პ. ჩეხოვი

მასწავლებლობის დაახლოებით ათწლიანი გამოცდილება მაქვს. ათი წელი არცთუ ბევრია, მაგრამ არც ძალიან ცოტა. ყოველ შემთხვევაში, იმის გასაცნობიერებლად მეყო, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, შემოქმედებითი პროფესია, რომელიც მუდმივად ტონუსში გამყოფებს. პროფესია წრეზე მბრუნავი ენერგიით – გასცემ და გიბრუნებენ პატარა ადამიანები. კიდევ გასცემ – კიდევ გიბრუნებენ. გგონია, აღარ დაგრჩა გასაცემი, გამოწურული ხარ... მაგრამ მეორე დღეს კვლავ აღდგები ფენიქსივით და კვლავ ირთვება ენერგიების გაცვლის უჩინარი მექანიზმი. სულ პატარა, ოცდაერთი წლისა აღმოვჩნდი სკოლაში. მაშინ ბევრი არც სწავლების თანამედროვე მეთოდებზე ვიცოდი რამე და არც ბავშვთა უფლებებზე. ერთადერთი, რაც არ მეშლებოდა, თექვსმეტამდე თვლა იყო, რადგან სწორედ ამდენი პირველკლასელი მოსწავლე მყავდა, რომლებიც სულ გარს მეხვივნენ და რომელთაც გამუდმებით ვითვლიდი. ოდნავ მოგვიანებით, როდესაც მათი სახელები და სახეები ერთმანეთში აღარ მერეოდა და მათი ჩემ გარშემო ტრიალი თავბრუს აღარ მახვევდა, მივხვდი – ერთდროულად ყველაზე რთული და მარტივია, მიიჩვიო, მოათვინიერო, დააინტერესო, გააქტიურო, შეიყვარო პატარა ადამიანები. შეიყვარო არა როგორც მშობელმა, არც როგორც მოვალეობის პირნათლად შემსრულებელმა პირმა, არამედ როგორც ადამიანმა, რომელიც ითავისებს თავის პასუხისმგებლობას, რომ მას უდიდესი წვლილი მიუძღვის პატარა ტვინების, პატარა გულების, ცნობიერების ფორმირების საქმეში. შეიყვარო იმ ადამიანის დაჟინებული, ფრთხილი სიყვარულით, რომელიც აცნობიერებს, რომ სწორედ მისი შრომის ანარეკლი იქნება ის საზოგადოება, რომელსაც რამდენიმე წელიწადში ხალხთან ერთად თავადაც შეაქებს ან აძაგებს.

ზემოთ ვახსენე, ეს ერთდროულად რთული და მარტივია-მეთქი. სწორედ ამ პასუხისმგებლობის გამოა რთული. ხანდახან მეგონა, ეს გიგანტური პასუხისმგებლობა, ღამე რომ არ გაძინებს, არდადეგებზე რომ გაფუსფუსებს, დაღლილს რომ მაღაზიაში წაგალასლასებს მეორე დღისთვის რესურსების შესაძენად, ქვეშ მომიყოლებდა და გამსრესდა. მაგრამ იმხელაა ბავშვებისგან წამოსული ენერგია და იმდენად ჯადოსნურად მაცოცხლებელი, მთების გადადგმაც კი გიღირს მის ფასად! აი, სწორედ ამიტომაა რთულთან ერთად მარტივიც. ბავშვები ძალიან მარტივად გენდობიან, უშურველად გაძლევენ სიყვარულს, მუხტებს... მთავარია, მთელი ეს ემოციური არსენალი სწორად მიმართო და შედეგი აუცილებლად მოვა! შეიძლება გვიან, მაგრამ უეჭველად!

ამ ყველაფრის გაცნობიერებასთან ერთად მუდმივად ვფიქრობდი იმაზე, როგორ დამემყარებინა მათთან სწორი კომუნიკაცია, როგორ მომეხერხებინა, რომ დამეცვა ოქროს შუალედი მაგიდაზე დიდი ბეჭდით დამკაკუნებელ, თვალებდაწკურულ, მკაცრსახიან პედაგოგსა და იმ მასწავლებელს შორის, რომლის გაკვეთილიც შეიძლება არ ვისწავლოთ, რადგან მაინც არაფერს იტყვის – „ჯიგარია“; როგორ მომეხერხებინა, რომ მე და მათ ერთ ენაზე გვესაუბრა; როგორ მეგრძნობინებინა, რომ

აბსტრაქტულია ნებისმიერ ღირებულებაზე საუბარი ბავშვებთან, თუ თავად არ აჩვენე მაგალითი იმისა, რაც გინდა შეასწავლო. შენ მათ ხელისგულზე ჰყავხარ, შენი თითოეული ქცევა, მიმიკა, შეფასება, ქესტიკულაცია იქნება ის მაგალითი, რომელსაც ღრუბლებივით შეისრუტავენ და არეკლავენ თავიანთ საქციელში.

მართლა ვგულშემატკივრობ, მართლა მიხარია მათთან ერთად რაღაცების კეთება, მართლა მაინტერესებს მათი ამბები...

გამოცდილების, მიგნებების გაზიარება ხომ მნიშვნელოვანი, საჭირო და კეთილშობილური საქმეა...

ჰოდა, აი, რამდენიმე რჩევა რიგითი მასწავლებლის პირადი გამოცდილებიდან:

რჩევა 1.
ჩამოდი კვარცხლბეკიდან!

პირველი, რასაც მივაგენი, ის იყო, რომ დიდობის კვარცხლ-ბეკიდან უნდა ჩამოვსულიყავი და მათი სიმაღლიდან ცქერა, მსჯელობა, დაკვირვება მეს-წავლა.
აგრძნობინე, რომ მათ აღიქვამ ინდივიდებად, რომ შენთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქ-რობენ ისინი შენზე, რომ მათი რჩევა მნიშვ-ნელოვანია, რადგან რაღაცების მიხვედ-რაში, შეცვლაში დაგეხმარება. ლაღად იცინე, იხუმრე მასთან

ერთად და ნუ შეგეშინდება, რომ თავს გაუვა და გაგითამამდება. სწორედ შენი სწორი დამოკიდებულებები, შენი ქცევის მაგალითი იქნება მათთვის ნიმუში, თუ როგორ კალაპოტში უნდა მიედინებოდეს თქვენი ურთიერთობა.

რჩევა 2. ესაუბრე – მაივებს!

ხანდახან სულ მარტივი რამეა საჭირო – დაელაპარაკო. მხოლოდ საქმეზე, გაკვეთილის ცოდნაზე, წესიერად მოქცევაზე საუბრებს არ ვგულისხმობ (თუმცა, ცხადია, ეგეც მნიშვნელოვანია), არც ჭკუის დამრიგებლური გამოგონილი სიუჟეტების მოყოლას. უბრალოდ, ესაუბრე. მოუყევი, რამ გაგაკვირვა დღეს დილით, რა გაგახსენდა ავტობუსში და გაგეცინა, რა დაინახე ფანჯრიდან, რას აკეთებდით შენ და შენი მეგობარი არდადეგებზე, როგორ გიკითხავდა დედა, რა გეზარება, რა შეგშლია, რისი გრცხვენია...

მოუყევი შესვენებაზე, კლასში, ეზოში, სოციალურ ქსელში, წერილში...

მოუყევი და ნახავ, როგორ გაქრება თვალსა და ხელს შუა მისი შებოჭილობა. მოუყევი და ნახავ, როგორი კარგი მსმენელია. ეს საუბრები იქნება ის ხიდი, რომელიც მის შინაგან სამყარომდე მიგიყვანს.

რჩევა 3. მოუსმინე!

როცა მასწავლებელი ხარ, თვალი, ყური, გული – ყველაფერი ორმაგად გაწაფული და გამახვილებული გაქვს. სულ მარტივად შეატყობ, როდისაა საჭირო, გვერდით მიუჯდე, ცალკე დაელაპარაკო, აგრძნობინო, რომ მის გვერდით ხარ, შენი პედაგოგიური ოსტატობა გამოიყენო და გაიგო, რამე ხომ არ უჭირს, ხომ არ შეგიძლია დახმარება. იქნებ მას უბრალოდ უნდა, ვინმეს გაუზიაროს, როგორ აჭამა ეზოში ძაღლს, იქნებ კლასელი ეუხეშა და მან თავის დაცვა ვერ მოახერხა, იქნებ უნდა, ვინმეს წერილი მისწეროს და რჩევა სჭირდება, იქნებ უნდა, გკითხოს, დაბადების დღეზე რა ჩაიცვას... აგრძნობინე, რომ გაინტერესებს ის, რაც მისთვისაა მნიშვნელოვანი, რომ გახარებს მისი შენდამი ნდობა და ეცდები გაამართლო, რომ მზად ხარ, სიხარულით მოუსმინო და გაიზიარო მისი ემოციები.

რჩევა 4. იქნებ რაღაც მაერთიანებთ?

ახლაც მახსოვს, როგორ ვუსმენდი ხოლმე გაყურსული, როდესაც თავიანთ საყვარელ სათამაშოებზე, მსახიობებზე, მულტფილმებზე, კომპიუტერულ თამაშებზე საუბრობდნენ. ვუსმენდი და ბუტბუტით ვიმეორებდი ჩემთვის უცნობ სახელებს, რომ არ დამვიწყებოდა.

მერე იყო მეცადინეობა. ნამდვილი და სერიოზული. დავჯექი, მოვძებნე, მოვუსმინე, ვუყურე, გავიაზრე... არასოდეს დამავიწყდება, როგორი აღფრთოვანებით მიყურებდნენ, როცა აღმოაჩინეს, რომ მესმის, რაზეც ლაპარაკობენ, შემიძლია აზრი გამოვთქვა იმაზე, რაც მათ აინტერესებთ. არც ჩემი სიხარული დამავიწყდება, როცა ვიგრძენი, რომ მათიანად მიგულეს და მენდნენ. პირველი ხიდი გაიდო! მერე უკვე ადვილია – ხან იმაზე საუბრობთ, რაც შენ მოგწონს, ხან ისინი გიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, ხან ერთად მიდიხართ ახალი აღმოჩენების გასაკეთებლად. ერთი რამ ცხადია – აუცილებლად გაიბმება ძაფი, რომელსაც შეუძლია, მჭიდროდ დაგაკავშიროთ. ჰოდა, მოძებნე!

რჩევა 5. თავად იყავი მაგალითი!

აბსტრაქტულია ნებისმიერ ღირებულებაზე საუბარი ბავშვებთან, თუ თავად არ აჩვენე მაგალითი იმისა, რაც გინდა შეასწავლო. შენ მათ ხელისგულზე ჰყავხარ, შენი თითოეული ქცევა, მიმიკა, შეფასება, ჟესტიკულაცია იქნება ის მაგალითი, რომელსაც ღრუბლებივით შეისრუტავენ და არეკლავენ თავიანთ საქციელში.

გინდა, იყვნენ კაცთმოყვარეები? თავად აჩვენე ყოველდღიური მაგალითით, როგორ გიყვარს ადამიანები.

გინდა, შეძლონ პატიება და ბოდიშის მოხდა? თავად არ შეგეშინდეს მათ წინაშე დაშვებული შეცდომების აღიარების და ნურც მასწავლებლურ წყენას ჩაიდებ გულში.

გინდა, ჰქონდეთ კითხვის მოტივაცია? თავადაც იკითხე მათთან ერთად შენი საყვარელი წიგნი და სიხარულით ისაუბრე მასზე.

გინდა, ყოველთვის მომზადებულნი მოვიდნენ სკოლაში? თავად იყავი თავდაჯერებული



ბავშვები ძალიან მარტივად გენდობიან, უშურველად გაძლევენ სიყვარულს, მუხტებს... მთავარია, მთელი ეს ემოციური არსენალი სწორად მიმართო და შედეგი აუცილებლად მოვა! შეიძლება გვიან, მაგრამ უეჭველად!

და სიღრმისეულად მომზადებული მათთან შესახვედრად.

გინდა, სიხარულით მოდიოდნენ გაკვეთილზე? თავად გამოხატე გულწრფელი სიხარული მათთან შეხვედრისას.

გინდა, რომ არ დასცინონ ერთმანეთს, იყვნენ გულისხმიერები, კეთილგანწყობილნი ერთმანეთის მიმართ? თავად მოექეცი ამგვარად და ბუმერანგივით დაგიბრუნებენ ყველაფერს. არ იყო ცინიკური მათი გულუბრყვილო ქმედებების ან თუნდაც შეგნებული ცუდი საქციელის მიმართ, არ დაგრჩეს რომელიმე მათგანი უყურადღებოდ ან არ დაამძიმო ზედმეტი ყურადღებით, არ მიაკერო იარლიყები, რომლებიც შეიძლება მთელი ცხოვრება ვეღარ ჩამოიხსნან, არ დაგეჩაგროს შენი უფროსული უპირატესობის გამო.

გახსოვდეს, შენ ყოველდღიურად მონოსპექტაკლს თამაშობ! ყველაზე საპასუხისმგებლო სპექტაკლს, რომლის დადგმაც, როლის გათავისებაც, რეკვიზიტისა და დეკორაციის მომზადებაც უზარმაზარ ენერგიას, ფიზიკურსა თუ ემოციურ რესურსს მოითხოვს შენგან მსხვერპლად. ზოგჯერ ძალა არ შეგწევს, ზოგჯერ გარეგანი ფაქტორები სულაც გიკლავენ მოტივაციას, მოირგო შენი როლი და გამოხვიდე ავანსცენაზე...

მაგრამ თავდაუზოგავი შრომის შედეგიც აქვეა:

შენი „აპლოდისმენტები“ რამდენიმე წყვილი ცნობისმოყვარედ აციმციმებული თვალია, შენთვის „მორთმეული ყვავილები“ – საინტერესო პრეზენტაციები.

შენი „ბის“ – „მას, კიდევ როდის გვექნება თქვენი გაკვეთილი?“– ჰოდა, გამოდიხარ, დაღლილი, ფეხებდაქანცული, წინა ღამის უძინარი, მაგრამ მაინც გაღიმებული – შედგა! – იმსჯელეს, იკითხეს, იფიქრეს, ივარაუდეს, წარმოიდგინეს, პარალელები გაავლეს, გაიაზრეს, შეაფასეს... სწორედ ეს გინდოდა! საიდანღაც გამოწურული ენერგიაც გიბრუნდება, ახალი იდეები თავში ფუთფუთს იწყებენ...

ერთგვარი ჟინიც გიპყრობს – ხვალ უფრო საინტერესო მასალას მივუტან, ტექსტს ასე დავამუშავებინებ, ამას ვაჩვენებ, იმას გავაკეთებინებ...

ანა ჯანელიძე

ტრანზიციები ადრეული ბავშვობის პერიოდში:

არსი, მნიშვნელობა და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

ტრანზიცია გულისხმობს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. განათლების კონტექსტში ტრანზიცია მოიაზრებს ისეთ პერიოდებს, როდესაც ბავშვი ერთი საგანმანათლებლო კონტექსტიდან მეორეში გადადის, რაც უკავშირდება გარემოს, ადამიანების, მისაღები ქცევის, მოლოდინებისა და როლების გარკვეულ ცვლილებებს. ამ სფეროში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ტრანზიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადრეულ ასაკში. ადრეულ ასაკად გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი, აგრეთვე ბევრი ქვეყანა თუ საერთაშორისო ორგანიზაცია, განსაზღვრავს 0-დან 8 წლამდე პერიოდს. ეს უმნიშვნელოვანესი ტრანზიციული პერიოდია – შინიდან სკოლამდელ დაწესებულებაში და სკოლამდელიდან დაწყებით საფეხურზე გადასვლის. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის დასკვნის მიხედვით, ადრეული ასაკის ზედა ზღვარი განისაზღვრა ისე, რომ მოიცვა ყველა მცირეწლოვანი ბავშვი „დაბადებისას, ჩვილობაში, სკოლამდელ ასაკსა და აგრეთვე სკოლაში გარდამავალ პერიოდში“. სკოლაში შესვლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანზიციაა ბავშვის ცხოვრებაში. კვლევები ადასტურებს, რომ აკადემიურ და სოციალურ სფეროში წარმატებული ტრანზიციის პოზიტიური შედეგები გრძელვადიანია, ამდენად, ტრანზიციების გამოცდილება არა მხოლოდ აწმყოშია მნიშვნელოვანი, არამედ დიდწილად განაპირობებს ბავშვის წარმატებას სკოლასა და მომავალ ცხოვრებაში.

რას გულისხმობს ტრანზიცია

მრავალი ათწლეულია, ტრანზიცია განათლების მკვლევართა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. თუმცა იცვლება ცნების შინაარსობრივი დატვირთვა და თუკი თავდაპირველად ის გულისხმობდა ერთ კონკრეტულ გარდამავალ მომენტს (მაგალითად, სკოლაში შესვლის მომენტს), დღეს უკვე განიხილება როგორც ხანგრძლივი, მრავალსაფეხურიანი, მრავალმხრივი და კომპლექსური პროცესი. ეს კონცეპტუალური ცვლილება ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ თეორიულ შეხედულებებსა და კვლევებზე, არამედ აქტუალურია სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლაში მიმდინარე პრაქტიკისთვის, მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ტრანზიციების მნიშვნელობისა და მათი მართვის შესახებ განათლებასთან დაკავშირებული არც ერთი სახელმწიფო დოკუმენტი არ საუბრობს, საკითხი ნელ-ნელა იძენს აქტუალობას. ამის მაგალითია ე.წ. „სასკოლო მზაობის პროგრამის“ დანერგვა სკოლამდელ დაწესებულებებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ფოკუსს წარმოადგენს მხოლოდ ბავშვის სასკოლო მზაობა და პრაქტიკულად უგულებელყოფილია ტრანზიციასთან დაკავშირებული სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტები, მათ შორის – სკოლის მზაობის საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის სასკოლო მზაობა ტრანზიციების მთავარ საკვლევ საკითხად რამდენიმე

ტრანზიცია გულისხმობს ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. განათლების კონტექსტში ტრანზიცია მოიაზრებს ისეთ პერიოდებს, როდესაც ბავშვი ერთი საგანმანათლებლო კონტექსტიდან მეორეში გადადის, რაც უკავშირდება გარემოს, ადამიანების, მისაღები ქცევის, მოლოდინებისა და როლების გარკვეულ ცვლილებებს.

ათწლეულის წინ განიხილებოდა, ხოლო 90-იანი წლებიდან მიიჩნევა, რომ ასეთი ხედვა მხოლოდ ნაწილობრივ და არასრულფასოვნად ასახავს ტრანზიციების მრავალგანზომილებიან პროცესს. ამდენად, მნიშვნელოვანია, სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში საქართველოშიც დაინერგოს ტრანზიციების მართვასთან დაკავშირებული ახალი მიდგომები ზემოაღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით.

ტრანზიციებთან დაკავშირებულ ლიტერატურაში გვხვდება განსხვავებული კლასიფიკაციები. ხშირად განასხვავებენ ორი ტიპის ტრანზიციას: ჰორიზონტალურსა და ვერტიკალურს. ვერტიკალური ტრანზიციები უფრო მასშტაბურია და ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლას მოიაზრებს (მაგ., საბავშვო ბაღში სიარულის დაწყება, სკოლაში შესვლა და ა.შ.). ჰორიზონტალური ტრანზიციები კი ბავშვის მიერ დღის განმავლობაში განსხვავებულ კონტექსტში „მოგზაურობას" გულისხმობს (მაგ., შინიდან სკოლამდელ დაწესებულებაში, სკოლამდელი დაწესებულებიდან – ძიძასთან, შემდეგ – კვლავ შინ, მშობლებთან და ა.შ.). ვერტიკალური ტრანზიციები უფრო დიდ ცვლილებებს უკავშირდება და მათი წარმატებულობის (ეფექტიანობის) ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის მომავალ დამოკიდებულებას ახალი გარემოსა და სწავლის მიმართ. ამიტომ, მკვლევრები ტრადიციულად უფრო ვერტიკალური ტრანზიციებით ინტერესდებოდნენ, თუმცა, ახალი სოციალური რეალობებიდან გამომდინარე, ჰორიზონტალურ ტრანზიციებზეც დაიწყეს ყურადღების გამახვილება. ბავშვებს უფრო და უფრო მეტი კონტექსტის გამოცვლა უწევთ დღის განმავლობაში: შინიდან სკოლაში, სკოლიდან – ცურვაზე, ცურვიდან – ინგლისურზე, ინგლისურიდან – ბებიასთან, ბებიასგან – შინ... ბავშვებს დღის განმავლობაში უწევთ განსხვავებულ გარემოში ყოფნა (მაგ., განსხვავებული აღზრდის მეთოდები, ბავშვთან კომუნიკაციის ფორმები, ქცევის მოლოდინები, როლები და ა.შ.), რაც, მიუხედავად მათი ასაკისა, მათგან საკმაოდ ბევრს მოითხოვს: გაიგონ, რა მოეთხოვებათ ამა თუ იმ კონტექსტში, როგორი ქცევაა მისაღები და როგორი – არა, შეცვალონ ქცევა მოლოდინების შესაბამისად, ურთიერთობა დაამყარონ უფროსებთან, თანატოლებთან და სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლების კვლევებში ნაკლებ ადგილს იკავებს სოციალური ტრანზიციები, რომლებიც ბავშვების ცხოვრებაში ხდება საგანმანათლებლო სივრცის მიღმა, თუმცა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათ კეთილდღეობაზე, სწავლასა და წარმატებაზე. აღნიშნული საკითხით ანთროპოლოგები უფრო მეტად ინტერესდებიან, თუმცა განათლების მკვლევრებისა და პრაქტიკოსებისთვის მნიშვნელოვანია ტრანზიციების ამ ასპექტის გათვალისწინებაც.

ტრანზიცია – ბავშვის განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებაა. ბავშვის განვითარების შესახებ ცოდნა მნიშვნელოვანია განვითარების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფისთვის. განვითარება ინდივიდუალური ზრდის, ცვლილებებისა და გარდაქმნის პროცესია, რომელიც ხშირად მოიაზრება ასაკობრივი საფეხურების მონაცვლეობად. განვითარების სხვადასხვა თეორია ტრანზიციასაც განსხვავებული ფოკუსით განიხილავს და სხვადასხვა საკითხსა და ცნებას იკვლევს.

ტრანზიცია სკოლაში

ადრეული განათლების სერვისების გაფართოებასთან ერთად ჩნდება ინტერესი საუკეთესო ადრეული საგანმანათლებლო პრაქტიკისადმი, რომელიც ხელს უწყობს ეფექტურ ტრანზიციას სკოლაში. ტრანზიცია ადრეული განათლებიდან სასკოლო განათლების საფეხურზე ბევრი ბავშვისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებთან არის დაკავშირებული. მარეი (2014) ტრანზიციის პროცესზე მოქმედ ფაქტორებს სამ კატეგორიად ყოფს: ინტრაპერსონალური, ინტერპერსონალური და ინსტიტუციური. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორიცაა სკოლაში შესვლის ასაკი, გენდერი, ლექსიკის ფლობის დონე და ტემპერამენტი, ზეგავლენას ახდენს სკოლაში ეფექტურ ტრანზიციაზე. ინტერპერსონალური ფაქტორები მოიაზრებს ტრანზიციის პროცესში მონაწილე პირებს შორის ინტერაქციას: ბავშვის

ურთიერთობას თანატოლებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან; სკოლაში ზრდასრულებს შორის ურთიერთობას; მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობას. ინსტიტუციური ფაქტორები კი მოიცავს გარემოსთან, სწავლების მეთოდოლოგიასთან, კურიკულუმსა და ბავშვისადმი არსებულ მოლოდინებთან დაკავშირებულ საკითხებს. ზემოაღნიშნული ფაქტორების ურთიერთკავშირის შესწავლა ტრანზიციებთან დაკავშირებულ კვლევებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. როგორც უკვე აღინიშნა, „სასკოლო მზაობის" ცნება, რომელიც ოციოდე წლის წინ ცენტრალურ საკვლევ საკითხს წარმოადგენდა, დღეს მკვლევართა უმრავლესობის მიერ ტრანზიციის ერთ-ერთ ასპექტად განიხილება, რომლის შესწავლაც მნიშვნელოვანია სხვა კონტექსტუალურ და არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად. ტრანზიციის თემაზე ჩატარებული მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე დანლოპი (2014) ასკვნის, რომ, მიუხედავად განსხვავებული თეორიების გამოყენებისა (მათ შორის – სხვადასხვა დისციპლინიდან – განათლება, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და ანთროპოლოგია), ური ბრონფენბრენერის ბიოეკოლოგიური თეორია წარმოადგენს ძირითად თეორიულ ჩარჩოს ტრანზიციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისთვის. ბრონფენბრენერის განვითარების ბიოეკოლოგიური თეორიის ძირითად საკითხს წარმოადგენს აქტიური ბავშვი, რომელის განვითარებაზეც ზეგავლენას ახდენს მის ირგვლივ არსებული მიკრო-, მეზო-, ეგზო- და მაკროსისტემები; ამავდროულად ბავშვი თავადაც ზემოქმედებს თავის უშუალო გარემოზე. მიკროსისტემის ელემენტებს წარმოადგენენ: ოჯახი, საბავშვო ბაღი და სკოლა. თეორია განსაკუთრებულ ადგილს უთმობს დროით ელემენტს და განვითარების პროცესის მოდელს გვთავაზობს როგორც პროცესის, პიროვნების, კონტექსტისა და დროის ურთიერთკავშირს. განვითარების ბიოეკოლოგიური თეორია ტრანზიციის კვლევის და პრაქტიკის სისტემურ მოდელს გვთავაზობს, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის ცენტრალურ და აქტიურ როლს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა ისეთი კვლევების რაოდენობა, რომლებიც ტრანზიციის კვლევებში ბავშვებს აქტიურ მონაწილეებად წარმოადგენს. მიუხედავად იმისა,

ადრეული განათლებიდან დაწყებით განათლებაში ტრანზიციასთან დაკავშირებული კვლევები გამოყოფს სხვადასხვა ინდივიდუალურ თუ გარემო ფაქტორს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სკოლაში სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ ადაპტაციაზე.

რომ კვლევებში მცირეწლოვან ბავშვთა მონაწილეობა სხვადასხვა ეთიკურ და მეთოდოლოგიურ გამოწვევებს უკავშირდება, მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შესწავლა მნიშვნელოვნად ამდიდრებს ტრანზიციის კვლევას და წარმოაჩენს იმ ადამიანთა გამოცდილებას, რომლებიც ტრანზიციის პროცესის ცენტრალურ აქტორებს წარმოადგენენ. ტრანზიციისადმი სისტემური მიდგომა, ბავშვის პერპექტივის გათვალისწინებასთან ერთად, გულისხმობს სხვა აქტორთა და მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულებაზე ფოკუსირებას.

ადრეული განათლებიდან დაწყებით განათლებაში ტრანზიციასთან დაკავშირებული კვლევები გამოყოფს სხვადასხვა ინდივიდუალურ თუ გარემო ფაქტორს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს სკოლაში სოციალურ, ემოციურ და აკადემიურ ადაპტაციაზე. ბავშვის ტემპერამენტი, ქცევა და სკოლაში შესვლის მომენტისთვის სკოლამდელ დაწესებულებაში მიღებული გამოცდილება ზეგავლენას ახდენს მის უნარზე, გაუმკლავდეს სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ გამოწვევებს სკოლაში. სკოლაში სოციალურ და ემოციურ ადაპტაციას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ურთიერთობების ხარისხი ბავშვსა და მასწავლებელს შორის, აგრეთვე – ბავშვებს შორის. როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევები ადასტურებს, რომ ტრანზიციის პროცესში მონაწილე მხარეებს შესაძლოა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ ტრანზიციის პროცესზე, რამაც შესაძლოა განსხვავებული მოლოდინების წინაშე დააყენოს ბავშვი. მაგალითად, დოკეტისა და პერის (2004) მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ მშობლების უმრავლესობისთვის ტრანზიციის პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო აკადემიური უნარების ფლობა, რომლებსაც მასწავლებლები უმნიშვნელოდ აფასებდნენ, მათ ნაცვლად კი პრიორიტეტულად მიაჩნდათ სოციალური უნარ-ჩვევები (რიგის დაცვა, წესების გათვალისწინება და სხვა). ზოგიერთ ქვეყანაში ხშირად კვლევაზე დამყარებული ეფექტური ტრანზიციის ელემენტებს საბავშვო ბაღებსა და სკოლებში კარგად იცნობენ (მაგალითად, სკოლამდელ დაწესებულებასა და სკოლას შორის ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა, მშობლის აქტიური ჩართულობა და ა.შ.).

კვლევები აჩვენებს, რომ მსგავსი პრაქტიკა არცთუ ისე ხშირია. ტრანზიციასთან დაკავშირებული გამოწვევები ხშირად განპირობებულია სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საფეხურებზე განსხვავებული სწავლების მეთოდებით, საგანმანათლებლო სივრცითა და კურიკულუმით. მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე დანლოპი (2014) ასკვნის, რომ გამოწვევების პრობლემატიზება და მათზე პრაქტიკული რეაგირება მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით – იმ ბავშვებისთვის, რომლებიც რთული ტრანზიციის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები

სხვადასხვა ქვეყანაში ტრანზიციების კუთხით არსებული პრაქტიკისა და პოლიტიკის ანალიზის საშუალებით ფაბიანი და დანლოპი (2007) გამოყოფენ რამდენიმე მიმართულებას, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების ეფექტურ ტრანზიციას საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

ტრანზიციის შესახებ სწავლა

ტრანზიციის პროცესში მნიშვნელოვანია ბავშვების ხელშეწყობა, რათა გამოწვევებით სავსე პერიოდი ნაკლებად სტრესული იყოს და ბავშვები მზად იყვნენ იმ სიახლეებისთვის, რომლებსაც ახალი საგანმანათლებლო სივრცე სთავაზობს. მნიშვნელოვანია, ბავშვებს წინასწარ მიეცეთ საშუალება, გაეცნონ ახალ გარემოს (ბაღი, სკოლა), ახალ წესებს; შესაძლებელია ბავშვების, მშობლების, სკოლის მასწავლებლების, ბაღის პედაგოგების მონაწილეობით დაიგეგმოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვებს, უკეთ გააცნობიერონ განსხვავებები საბავშვო ბაღსა და სკოლას შორის, თამაშსა და საგაკვეთილო პროცესს შორის და ა.შ. ერთ-ერთ წარმატებულ სტრატეგიას წარმოადგენს ვიზიტები სკოლაში ან სკოლის მოსწავლეთა ვიზიტი ბაღში და გამოცდილების გაზიარება.

სოციალურ-ემოციური კეთილდღეობის მხარდაჭერა ტრანზიციის პროცესში

ემოციური სტაბილურობა, პოზიტიური დამოკიდებულებები და ეფექტური კომუნიკაციის უნარი მეტად მნიშვნელოვანია წარმატებული ტრანზიციისა და სწავლისთვის. კარგად განვითარებული სოციალურ-ემოციური კომპეტენციები ხელს უწყობს ბავშვებს, გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს, დაძლიონ სირთულეები და ინტერესით გააგრძელონ სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ შეძლებისდაგვარად შემსუბუქდეს „უცხო გარემოს" განცდა ახალ სივრცეში. ამ მიზნით გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, წარსულ გამოცდილებას დაუკავშირონ ახალი გარემო. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია გამოყოს მცირეოდენი დრო თავისუფალი თამაშისთვის, მისცეს ბავშვებს საშუალება, მოიტანონ კლასში მათი საყვარელი წიგნი ან სათამაშო, ნელ-ნელა შესთავაზოს კლასის წესები (მაგ., რიგის დაცვა, გაზიარება, სხვების მოსმენა და ა.შ.) და არა ერთბაშად და სხვა. იმისათვის, რომ თითოეულ ბავშვს გაუჩნდეს კლასისადმი კუთვნილების განცდა, მასწავლებელმა უნდა შეუწყოს ხელი ჯანსაღი სოციალურ-ემოციური გარემოს ჩამოყალიბებას, ბავშვებს შორის მეგობრობასა და თანამშრომლობას, გამოიყენოს ქცევის პოზიტიური მართვის სტრატეგიები და მუდმივად უპასუხოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

კომუნიკაცია ტრანზიციის პროცესში

კომუნიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ოჯახს შორის მეტად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ინფორმირებულობისთვის, არამედ მშობელთა თავდაჯერებულობისა და სკოლისადმი/საბავშვო ბაღისადმი მიკუთვნების, მის ნაწილად აღქმისთვისაც. მაღალი ალბათობით, მშობელთა დამოკიდებულებები ბავშვების დამოკიდებულებებზეც აისახება, ამიტომ სკოლის/ბაღის კარი ღია უნდა იყოს მშობლებისთვის სწავლის დაწყებამდე და შემდეგ, ხოლო მათთვის მიწოდებული ინფორმაცია და შეთავაზებული ღონისძიებები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ოჯახის სოციოკულტურულ თავისებურებებს.

ფაბიანი და დანლოპი (2007) გამოარჩევენ რამდენიმე სტრატეგიას, რომლებიც სკოლებს ეხმარება ეფექტური ტრანზიციების მართვაში:

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი. (2006). ბავშვთა უფლებების კონვენციის ზოგადი კომენტარი 7, ბავშვის უფლებების განხორციელება ადრეულ ასაკში. http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/AdvanceVersions/GeneralComment7Rev1.pdf
2. Ahtola, Annarilla, Gintautas Silinskas, Pirjo-Liisa Poikonen, Marita Kontoniemi, Pekka Niemi, Jari-Erik Nurmi. *Tranisition to Formal Schooling: Do Transition Practices Matter for Academic Performance?* Early Childhood Research Quarterly, 26, pp. 295-302., 2011.
3. Bronfenbrenner, Urie & Pamela A. Morris. *The bioecological model of human development.* In *Handbook of Child Psychology. Vol. 1: Theoretical models of human development.* Eds. William Damon & Richard M Lerner (6th edition), pp. 793- 828. New York: Wiley, 2006.
4. Dockett, Sue & Bob Perry. *What makes a successful transition to school? Views of Australian Parents and Teachers.* International Journal of Early Years Education, 12, 3, pp. 217-230, 2004.
5. Dunlop, Aline-Wendy. *Thinking about Transitions. One Framework or Many? Populating the Theoretical Model Over Time.* In *Transitions to School- International Research, Policy and Practice,* ed. Bob Perry, Sue Dockett, Anne Petriwskyj. pp. 31-46. Dordecht: Springer, 2014.
6. Fabian, H. & Dunlop, A-W. *Outcomes of good practice in transition processes for children entering primary school.* Working Paper 42. Bernard Van Leer Foundation: The Hague, Netherlands. 2007.
7. Hamre, Bridget K., & Robert C. Pianta. *Early teacher-child relationships and the trajectory of children's school outcomes through eighth grade.* Child Development, 72, 2, pp. 625-638, 2001.
8. Ladd, Gary W., Sondra H. Birch & Eric S. Buhs. *Children's social and scholastic lives in kindergarten: Related spheres of influence?* Child Development, 70, 6, pp. 1373-1400, 1999.
9. LoCasale-Crouch, Jennifer, Andrew J. Mashburn, Jason T. Downer, Robert C. Pianta. *Pre-kindergarten teachers' use of transition practices and children's adjustment to kindergarten.* Early Childhood Research Quarterly, 23, pp. 124-139, 2008.
10. Margetts, Kay. *Transition and Adjustment to School.* In *Transitions to School- International Research, Policy and Practice,* ed. Bob Perry, Sue Dockett, Anne Petriwskyj. pp. 75-87. Dordecht: Springer, 2014.
11. Murray, Elizabeth. *Multiple Influences on Children's Transition to School.* In *Transitions to School- International Research, Policy and Practice,* ed. Bob Perry, Sue Dockett, Anne Petriwskyj. pp. 47-59. Dordecht: Springer, 2014.
12. Petriwskyj, Anne, Karen Thorpe and Collette Tayler. *Trends in construction of transition to school in three western regions, 1990-2004.* International Jounral of Early Years Education, 13, 1, pp. 55-69., 2005.
13. Rimm-Kaufman, Sara E., Karen M. La Paro, Jason T. Downer, Rober C. Pianta. *The contribution of classroom setting and quality of instruction to children's behavior in kindergarten classrooms.* Elementary School Journal, 105, 4, pp. 377-394, 2005.

- სკოლაში დასახელებულია პირი ან თანამშრომელთა ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ტრანზიციის პროცესის სტრატეგიულ მართვაზე.
- სკოლა უზრუნველყოფს ბავშვებისა და მათი მშობლების ვიზიტებს პირველ კლასში სწავლის დაწყებამდე; ვიზიტების საშუალებით ბავშვები და მშობლები შეიტყობენ სკოლაში სწავლის შესახებ, გაეცნობიან გარემოსა და ადამიანებს.
- სკოლები იყენებენ ეფექტური კომუნიკაციის გზებს, ურთიერთობენ ოჯახებთან, სკოლამდელ დაწესებულებებთან და აწარმოებენ ინფორმაციის ორმხრივ გაცვლას ბავშვების გამოცდილების შესახებ.
- სკოლები ითვალისწინებენ ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების საჭიროებებს და მიმართავენ სპეციფიკურ სტრატეგიებს მათი მხარდაჭერისთვის;
- სკოლაში მოქმედებს მიღების მოქნილი პროცედურები, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებსა და მშობლებს, სკოლაში სწავლა პირველივე დღიდან პოზიტიურად დაიწყონ.
- მეგობრებს (მაგ., ერთი ბაღის ჯგუფის ბავშვები) საშუალება ეძლევათ, სწავლა დაიწყონ ერთსა და იმავე კლასში; სკოლაში გამოიყენება სტრატეგიები, რომლებიც ბავშვებს ეხმარება ახალი მეგობრების შეძენაში.
- სკოლაში არსებობს სტრატეგია ბავშვებში მედეგობის ხელშეწყობისთვის, რათა ბავშვებს უკეთ შეეძლოთ ტრანზიციასთან აქტიურად გამკლავება.
- უზრუნველყოფილია კურიკულუმის უწყვეტობა და თანამიმდევრულობა განათლების სხვადასხვა საფეხურს შორის. ამისათვის მნიშვნელოვანია, სკოლა იცნობდეს ბავშვების სკოლამდელი სწავლისა და განვითარების პროცესს.
- სკოლები აფასებენ ტრანზიციებთან დაკავშირებულ პრაქტიკას ყველა მონაწილე მხარის შეხედულებების, პირველ რიგში კი ბავშვების მოსაზრებების გათვალისწინებით და შეფასების საფუძველზე ახდენენ მიდგომების გადახალისებას.
- პირველი კლასის მასწავლებლებს გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგი ეფექტური ტრანზიციების ხელშეწყობასთან დაკავშირებით.